

BP საქართველოში
მდგრადი განვითარების ანგარიში
2012

bp.com/sustainability



BP – უფრო ძლიერი,
უფრო უსაფრთხო

ანგარიშის შესახებ

წინამდებარე ანგარიში აღწერს კომპანია BP-ის საქმიანობას საქართველოში 2012 წელს და შეიცავს ინფორმაციას 2013 წელს დაგეგმილი მოვლენების შესახებ. ანგარიში მომზადებულია „BP საქართველოს“ მიერ. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია შეეხება საქმიანობის იმ სფეროებს, რომლებშიც კომპანია ოპერატორის ფუნქციას ასრულებს.

ანგარიშში „BP“-ისა და „BP ჯგუფის“ ხსენებისას იგულისხმება BP p.l.c., მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები. თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული, ანგარიშში BP p.l.c.-ის, მისი ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და საქმიანობა ერთობლივად არის წარმოდგენილი. თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული, ნაცვალსახელები „ჩვენ“ და „ჩვენი“ გულისხმობს BP ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ.

თანხები მოყვანილია აშშ დოლარებში, თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული. ისევე როგორც გასული წლების ანგარიშები, წინამდებარე ანგარიში შემოწმებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

გამაფრთხილებელი განცხადება

BP საქართველოს „2012 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში“ შეიცავს გარკვეულ განცხადებებს BP-ის ბიზნესის, საქმიანობისა და სტრატეგიის შესახებ, რომლებიც, თავისი შინაარსით, მომავალს ეხება.

თავისი არსით, სამომავლო განცხადებები შეიცავს გარკვეულ რისკებსა და უზუსტობებს, რადგან ისინი ეხება ისეთ მოვლენებს და დამოკიდებულებას ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოხდება ან შეიძლება მოხდეს მომავალში. ფაქტიური საბოლოო შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამგვარად პროგნოზირებული შედეგებისგან, რაც მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მათ შორისაა: მრეწველობის ამ დარგის ნედლეულით

მომარაგების დონე, მოთხოვნის დონე და ფასწარმოქმნა, წარმოებაში შექმნილი პრობლემები, ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა მოცემულ რეგიონში; ცვლილებები ქვეყნების კანონმდებლობებში; ვალუტის კურსის ცვალებადობა; ახალი ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, საზოგადოების განსხვავებული მოლოდინი და შეცვლილი ბიზნესგარემო; კონკურენტების საქმიანობა, სტიქიური უბედურებები და არაბელსაყრელი ბუნებრივი პირობები; ომები, ტერორისტული და დივერსიული აქტები; აგრეთვე სხვა ფაქტორები, რომლებიც ნახსენებია წინამდებარე დოკუმენტში ან BP-ის 2012 წლის

ანგარიშში და ფორმა 20-F-ში. მდგრადი განვითარების სფეროში გაწეული საქმიანობის ნებაყოფლობითი ანგარიშების ფარგლებში, წინამდებარე ანგარიშში გამოყენებულია გარკვეული მასალები იმ საკითხების წარმოსაჩენად, რომლებმაც, კომპანიის შეხედულებით, შესაძლოა არსებითი ზეგავლენა იქონიონ მდგრადი განვითარების მაჩვენებლებზე და/ან, საგარაუდოდ, მნიშვნელობა მიენიჭოთ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების თვალსაზრისით. ამიტომ, ამ ანგარიშში გამოყენებული მასალები არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული იმავე სიტყვიერი მნიშვნელობებით, რომლებიც მათ ენიჭებათ BP p.l.c.-ის მიერ გამოცემულ სხვა დოკუმენტებსა და ანგარიშებში.

დამოუკიდებელი აუდიტორის – Ernst & Young-ის შესავალი განცხადება

ჩვენ შეგამოწმეთ BP საქართველოს „2012 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში“, რათა BP-ის ხელმძღვანელობისათვის დაგვედასტურებინა, რომ კომპანიის მიერ საქართველოში მდგრადი განვითარების მხრივ განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია, განცხადებები და მტკიცებულებები სათანადოდ არის დასაბუთებული ფაქტებით და ახსნა-განმარტებით. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა და დასკვნები წინამდებარე ანგარიშის 32-ე გვერდზეა მოყვანილი.



დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ გვერდი

 bpgeorgia.ge
bp.com/sustainability



ყდაზე

BTC ნავთობსადენის 1-ლი ნავთობსაქაჩი სადგური

BP საქართველოს სათავო ოფისის თანამშრომლები სადგურის მუშაობას ეცნობიან

ანგარიშის შინაარსი

მიმოხილვა

2 შესავალი სიტყვა კომპანიის ხელმძღვანელებისგან

BP საქართველოს გენერალური მენეჯერი 2012 წელს განვითარებულ მოვლენებსა და მომავლის გეგმებს მიმოხილავს.

3 მიღწევები და ამოცანები

2012 წელს ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევები და გამოწვევები

ძირითადი სფეროები

4 როგორ ვმუშაობთ

BP საქართველოში; კომპანიის მმართველობითი და მენეჯმენტის სისტემები; ჩვენი თანამშრომლები და ჩვენი ღირებულებები; დაინტერესებული მხარეები; კომპანიის ადგილობრივი წვლილი.

20 გარემოს დაცვა

გარემოს დაცვის მენეჯმენტი; ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების მართვა.

14 შრომის უსაფრთხოება

შრომის უსაფრთხოების მაჩვენებლები; შრომის უსაფრთხოების სფეროს მართვა; რისკების მართვა და რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე.

23 საზოგადოება

ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან; ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობების განვითარება; სოციალური ინვესტიციების პროექტები.

ჩვენი საქმიანობის მაჩვენებლები

30 BP საქართველო ციფრებში

ჩვენი საქმიანობის მაჩვენებლები 2008-2012 წლებში

32 დამოუკიდებელი საგარანტიო განცხადება

Ernst & Young-ის დასკვნები BP საქართველოს „მდგრადი განვითარების ანგარიშზე“.



BP საქართველოს გენერალური მენეჯერის მიმართვა



“
ვცდილობთ, ქვეყნისთვის
სასიკეთო როლი
შევასრულოთ, გავიგოთ რა
სურს ქართველ ხალხს და
ჩვენი წვლილი შევიტანოთ
სასურველი მიზნის მიღწევაში.”

„
ნაილ დანი
BP საქართველოს გენერალური მენეჯერი

2012 წელი ჩვენთვის ერთ-ერთი საუკეთესო წელი იყო, უსაფრთხოების მაჩვენებლების მიხედვით. იმ პირობებში, როცა წლის განმავლობაში ჩვენი თანამშრომლების ნამუშევარმა დრომ დაახლოებით 3,4 მილიონი კაცსათი შეადგინა, ხოლო რამდენიმე მსხვილი პროექტის ფარგლებში შესრულდა ფართო სპექტრის და სხვადასხვა სირთულის სამუშაოები, ჩვენს საქმიანობაში აღინიშნა თანამშრომლის დასაყვამის მხლოდ ერთი შემთხვევა, როცა სამედიცინო დახმარების გაწევა გახდა საჭირო. 2012 წელს კომპანიისა და კონტრაქტორების კუთვნილი ავტორანსპორტით უსაფრთხოდ გავლილმა მანძილმა ცხრა მილიონ კილომეტრს გადააჭარბა, რითაც ჩვენი ავტორანსპორტის მართვის უსაფრთხოების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ეს შედეგები არის გამოხატულება იმ ჭეშმარიტად მაღალი ხარისხის პროცესების, რომლებიც ჩვენ გავაჩინა რისკების მართვის, პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების სფეროში, ისევე როგორც იმ ძალისხმევის, რომელსაც ჩვენი კონტრაქტორების მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად მივმართავთ, რათა ისინი BP-ის სტანდარტების მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ.

2012 წელს გავაგრძელებთ დაგეგმილი მსხვილმასშტაბიანი პროექტების მოსამზადებელი სამუშაოები. პროექტები ითვალისწინებს სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოებას და დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის, იგივე ბაქო-სუფსის ნავთობსადენის, ძველი, საბჭოთა კავშირის დროინდელი სექციების ახალი შეცვლას. მოსამზადებელი ეტაპის სამუშაოები წარმართა პროექტებისთვის საჭირო მიწის მესაკუთრებთან, აგრეთვე, გაიმართა წინასწარი მოლაპარაკებები მთავრობასთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან, დასრულდა მუშაობა სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე“ და გაიმართა მისი საჯარო განხილვა. გავაგრძელებთ მუშაობა ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე დაგეგმილი პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშის მოსამზადებლად. ამ ანგარიშების მომზადება, ისევე როგორც პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოებისთვის საჭირო ნებართვების მიღება, ამ პროექტების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს წარმოადგენს. მომდევნო თვეების განმავლობაში, გავაგრძელებთ მუშაობას ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე დაგეგმილი სამუშაოების ნებართვის მოსაპოვებლად. პარალელურად, ვიმუშავებთ ჩვენს პარტნიორებთან, რომ პროექტით გათვალისწინებული ფიზიკური სამუშაოები 2013 წლის ბოლოს დაიწყო. ჩვენ ამ ორ პროექტს განვიხილავთ, როგორც კიდევ ერთ მნიშვნელოვან ეტაპს საქართველოში ინვესტიციების განხორციელების გეგმებში.

კვლავ მნიშვნელოვანია ჩვენი წვლილი საქართველოს ეკონომიკაში, რაც ჩვენ მიერ შექმნილი სამუშაო ადგილებით და გადახდილი გადასახადებით გამოიხატება. ახლა, როცა მიმდინარეობს მუშაობა, რომ სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტი ჩანაფიქრიდან

რეალობად იქცეს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს ეკონომიკაში ჩვენი მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ჩვენ მიერ ქვეყნის მომარაგება შიდა მოხმარებისთვის საჭირო ბუნებრივი აირის მოცულობებით. ამით ქვეყანა იღებს სარგებელს, რომელიც, გაზსადენის ახალი ობიექტების ამოქმედებასთან ერთად, კიდევ უფრო გაიზრდება. სამხრეთ კავკასიური გაზსადენით საქართველო მომავალში ბუნებრივი აირის მნიშვნელოვნად გაზრდილ მოცულობებს მიიღებს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას.

ფინანსური სარგებლის გარდა, ნაკლებად თვალსაჩინო, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი მივიძღვის საქართველოს საზოგადოებრივ განვითარებაში, ჩვენ არა მარტო ვასაქმებთ ადგილობრივ კომპანიებს და ამით ვქმნით სამუშაო ადგილებს, არამედ ჩვენი კონტრაქტორების დასაქმების პოლიტიკის დახვეწაზე ვმუშაობთ. ჩვენ ვარეგულირებთ ჩვენი ობიექტების ექსპლუატაციით და მიმდინარე მშენებლობის პროექტებით გამოწვეულ ზემოქმედებას გარემოზე და ამ პროცესში ვიცავთ საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას. ჩვენი სოციალური პროექტების მეშვეობით, ადგილობრივ მოსახლეობას ექმნება ხელსაყრელი პირობები ახალი ბიზნესების დასაწყებად, ხოლო ახალგაზრდობა ამ პროექტების მეშვეობით იძენს იმ აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ უკეთესი მომავლის შექმნაში დაეხმარება. ჩვენ ვამაყობთ, რომ 2012 წლის ღონისძიების ოლიმპიურ თამაშებზე ვიცავით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის ოფიციალური პარტნიორი და დავაფინანსებთ ექვსი ქართველი ოლიმპიელისა და პარალიმპიელის გამოსვლა ღონისძიების ოლიმპიადამდე. ჩვენთვის ეს იყო ძალზე ამაღლებული გამოცდილება და ვაპირებთ თანამშრომლობის გაგრძელებას ამ ორგანიზაციებთან.

ეს ინიციატივები დაწვრილებით არის აღწერილი წინამდებარე ყოველწლიურ „მდგრადი განვითარების ანგარიშში“, რომელსაც წელს ზედიზედ მერვედ გამოვეცემთ და რომელიც, ჩვენი აზრით, გამჭვირვალობისა და ეფექტური მმართველობის კარგ მაგალითს იძლევა. ამავე დროს, ჩვენ ვაცნობიერებთ იმ გამოწვევებს, რომლებიც მომავალში გველის, მაგალითად, საჭიროა ვიზრუნოთ კონტრაქტორების უსაფრთხოების დაცვის და ბიზნესის მართვის პროცესების შემდგომ გაუმჯობესებაზე. მუშაობის უსაფრთხოება ჩვენთვის ყოველთვის პირველ ადგილზეა. რაც შეეხება სხვა სფეროებს, ვცდილობთ ქვეყნისთვის სასიკეთო როლი შევასრულოთ, გავიგოთ რა სურს ქართველ ხალხს და ჩვენი წვლილი შევიტანოთ სასურველი მიზნის მიღწევაში.

ნაილ დანი
BP საქართველოს გენერალური მენეჯერი
მაისი, 2013

მიღწევები და ამოცანები

ანგარიშის ეს თავი მიმოიხილავს ჩვენ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევებს 2012 წელს და ჩვენ სამომავლო ამოცანებს.



მიღწევები

ექსპლუატაციის ეფექტურობის სტაბილურად მაღალი მაჩვენებლები
2012 წელს გავაგრძელეთ ნავთობისა და გაზის უდანაკარგო ტრანსპორტირება ჩვენი მილსადენებით, რომელთა ექსპლუატაციის ეფექტურობის საშუალო მაჩვენებელმა 99%-ს გადააჭარბა. (იხ. გვერდი 5).

შრომის უსაფრთხოების უმაღლესი მაჩვენებლები
ჩვენი საექსპლუატაციო საქმიანობისა და მიმდინარე პროექტების განხორციელების პროცესში, მხოლოდ ერთი საწარმოო ტრავმის შემთხვევა აღინიშნა, იმ პირობებში, როცა საერთო ნამუშევარი დრო დაახლოებით 3,4 მილიონი კაცსათი იყო, ხოლო ავტორტანსპორტით გავლილი კილომეტრების მაჩვენებელმა ცხრა მილიონს გადააჭარბა (იხ. გვერდი 15).

სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის მიმდინარეობა
წინსვლა აღინიშნა ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის შესრულების თვალსაზრისით, მათ შორის, ჩატარდა ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედების შეფასების სამუშაოს უდიდესი ნაწილი და მომზადდა შესაბამისი ანგარიშები, საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად (იხ. გვერდი 6).

გარემოზე ზემოქმედების მართვა
გარემოს დაცვის მენეჯმენტის სფეროში ჩვენი მეთოდური მიდგომები დადებითად შეფასდა საგარეო აუდიტის ანგარიშებში და სათანადო ასახვა ჰპოვა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, რომელიც ჩვენი ოპრეციებისა და მიმდინარე პროექტების გამო გარემოზე მიყენებული ზემოქმედების მართვას უკავშირდება (იხ. გვერდი 21).

მილსადენის უშიშროების გაძლიერებული დაცვა
დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის ერთ მონაკვეთზე დავამონტაჟეთ და წარმატებით გამოვცადეთ მილსადენის უკანონო ხელყოფის დეტექტირების ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემა, რითაც საგრძნობლად ავამაღლებთ მილსადენის უშიშროების დაცვის ხარისხს (იხ. გვერდი 5).

საინფორმაციო კამპანია BP-ის ახალი ღირებულებებისა და „ქვეყნის კოდების“ შესახებ
ჩავატარეთ საინფორმაციო კამპანია BP-ის ახალი ღირებულებების უკეთ გასაცნობად, ჩვენი მოქმედი და ახალი თანამშრომლებისთვის (იხ. გვერდი 12).

ამოცანები

დაგეგმილი მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელება
სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტისა და დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილების პროექტის განხორციელებას თან ახლავს მთელი რიგი სირთულეები საექსპლუატაციო, უსაფრთხოების, გარემოსდაცვით და საკადრო სფეროებში. წარსულში შექმნილი გამოცდილება გვანიჭებს საკმარის კომპეტენციას იმისათვის, რომ წარმატებით განვახორციელოთ დაგეგმილი პროექტები, თუმცა ეს კომპეტენცია უნდა გამოვავლინოთ იმ ვალდებულებების ზედმიწევნით შესრულებით, რომლებიც ალბულები გვაქვს ჩვენი აქციონერების, პარტნიორების, კოლეგებისა და საზოგადოების წინაშე (იხ. გვერდი 7).

კონტრაქტორების უსაფრთხოების სფეროს მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება
მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით წინსვლა აღინიშნა, ჩვენ მომავალშიც უნდა დავეხმაროთ ჩვენს კონტრაქტორებს, რომ მათ ჩამოაყალიბონ მუშაობის ისეთი კულტურა, რომელშიც უსაფრთხოებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა. (იხ. გვერდი 16).

კონტრაქტორების უკეთ ინფორმირება სოციალურ საკითხებზე
საჭიროა უფრო ინტენსიური მუშაობა ჩვენს კონტრაქტორებთან, რათა მათ მეტი ყურადღება დაუთმონ მათი საქმიანობით გამოწვეული სოციალური ზემოქმედების მართვის საკითხებს, რაც ხელს შეუწყობს კეთილგანწყობილი ურთიერთობის შენარჩუნებას ადგილობრივ მოსახლეობასთან (იხ. გვერდი 13).

ახალი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება
ჩვენ მზად ვართ, საჭირო დრო და ძალისხმევა დავხარჯოთ კომპანიის ახალი კადრების მოსამზადებლად, რაც მოიცავს როგორც ინგლისური ენის კურსების გავლას, ისე ფართომასშტაბიან ტექნიკურ გადამზადებას, რათა მათ BP-ში მუშაობისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია შეიძინონ (იხ. გვერდი 11).

როგორ ვმუშაობთ

საქართველოში BP-ის ბიზნესი იმართება BP-ის შიდა კონტროლის იმავე სისტემით, რომლითაც რეგულირდება BP ჯგუფის ნებისმიერი საქმიანობა მსოფლიოს მასშტაბით.

ჩვენი მიზნები

ჩვენ ავიღეთ ვალდებულება, რომ უსაფრთხოდ და უდანაკარგოდ მივაწვდით ნავთობსა და გაზს მსოფლიო ბაზრებს, საქართველოს ტერიტორიის გავლით.

ვაგრძელებთ მუშაობას ადგილობრივი მოსახლეობისა და ჩვენი კონტრაქტორი კომპანიების შესაძლებლობების განვითარებისთვის.

ჩვენი ღირებულებები და „ქცევის კოდექსი“ გვეხმარება, რომ ყოველთვის სწორად ვიმოქმედოთ.

ამ თავში

შიდა სისტემები და პროცედურები გვეხმარება, რომ პასუხისმგებლურად წარვმართოთ ჩვენი ბიზნესი.



ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დეტალური ანალიზის საფუძველზე ვაფასებთ სამხრეთ კავკასიური გამსაღდენის სისტემის გაფართოების პროექტთან დაკავშირებულ პოტენციურ ზემოქმედებას.



ჩვენი საქმიანობა სასიკეთო შედეგების მომტანია ქვეყნის ეკონომიკისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის.






BTC ნავთობსადენის 1-ლი ნავთობსაქაჩი სადგური

სადგურის თანამშრომლები მუშაობის დროს.



BP საქართველოში

BP-ის ინტერესები საქართველოში



საქართველოში ჩვენი საქმიანობა მთლიანად მიესადაგება BP-ის მიდგომას მდგრადი განვითარების მიმართ და იზიარებს ჩვენს სტრატეგიას, ღირებულებებს, მენეჯმენტის სისტემებსა და მეთოდებს.

BP ნავთობისა და გაზის ერთ-ერთი წამყვანი კომპანია მსოფლიოში – საერთო საბაზრო ღირებულების, დამტკიცებული მარაგებისა და წარმოების მოცულობის მიხედვით. ჩვენი მიზანია, შევქმნათ სარგებელი ჩვენი აქციონერებისათვის, უზრუნველყოთ ენერჯის მიწოდება უსაფრთხოდ, საიმედოდ და ენერჯორესურსებზე მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით. ჩვენ მსოფლიოს მასშტაბით 85700 თანამშრომელს ვსაქმებთ. ვაწარმოებთ წიაღისეულის საძიებო და მოპოვების ბიზნესს ოცდაათ ქვეყანაში, მათ შორისაა, საქართველოს ტერიტორიის გავლით ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების ოპერაციები.

საქართველოში BP ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გამსადენის ოპერატორია, ენერჯოკომპანიებისა და ინვესტორებისგან შემდგარი ორი საერთაშორისო კონსორციუმის სახელით. ამ მიწისადენების ექსპლუატაციის პერიოდი მეშვიდე სრულ წელს ითვლის. ერთ დერეფანში, ერთმანეთის პარალელურად გაცვანილი ნავთობსადენი და გამსადენი საქართველოს ტერიტორიას 248 კმ სიგრძეზე გადაკვეთს. საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ორი ნავთობსაქანი სადგური, სამხრეთ კავკასიური გამსადენის გამგამანაწილებელი, წნევის მარეგულირებელი და გამგამომი სადგურები. ნავთობსადენზე დამონტაჟებულია 16 ჩამკეტი სარქველი და 11 უკუსარქველი, ხოლო გამსადენზე – ექვსი ჩამკეტი სარქველი.

გარდა ამისა, ენერჯოკომპანიების საერთაშორისო კონსორციუმის მიერ BP დანიშნულია დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მიწისადენის (ბაქო-სუფსის ნავთობსადენის) ოპერატორად. ამ ნავთობსადენის 373 კილომეტრიანი მონაკვეთი საქართველოს ტერიტორიაზე გადის და აღჭურვილია 27 ჩამკეტი სარქველი, ოთხი უკუსარქველითა და ერთი ინტეგრირებული ჩამკეტი და უკუსარქველის სადგურებით. ნავთობსადენით კასპიის ზღვის სანაპიროს ტერიტორიიდან ნავთობი შავ ზღვაზე მდებარე სუფსის ნავთობტერმინალს მიეწოდება.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ავიაკომპანიებს საერთაშორისო მარკის საავიაციო საწვავით ემსახურება BP-ის ერთობლივი საწარმო Air BP.

ძირითადი საექსპლუატაციო მაჩვენებლები 2012 წელს

2012 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობის მოცულობამ 246 მილიონ ბარელს გადააჭარბა, ხოლო დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მიწისადენით 29 მილიონი ბარელი გადაიზიდა, ამასთან, ორივე ნავთობსადენის ექსპლუატაციის ეფექტურობის საშუალო მაჩვენებელმა 99%-ს გადააჭარბა. ჩვენ უსაფრთხოდ მოვახდინეთ დაახლოებით 143 მილიარდი სტანდარტული კუბური ფუტი გაზის ტრანსპორტირება, რაც 25 მილიონზე მეტ ბარელ ნავთობის ეკვივალენტს უდრის.

2012 წლის განმავლობაში 320 ტანკერი დაიტვირთა ნავთობით, თურქეთის ხმელთაშუა ზღვისპირეთში მდებარე ჯეიჰანის საზღვაო ტერმინალზე, სადაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ბოლოვდება, ხოლო სუფსის ტერმინალიდან გავიდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობით დატვირთული 49 ტანკერი.

2012 წელს მიწისადენებსა და მიწისადენების ობიექტებზე განახორციელეთ ტექნიკური მომსახურებისა და მოდიფიკაციის რამდენიმე პროექტი, მათ შორის, ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე დაიწყო მიწისადენის უკანონო ხელყოფის დეტექტირების ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემის დამონტაჟება, რომლის დანიშნულებაცაა მიწისადენიდან ნავთობის დატაცების ინციდენტების აღკვეთა; დამონტაჟდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საკომუნიკაციო ქსელი, რომლითაც შესაძლებელია დისტანციურად მართვადი მეორადი შემაკავებელი ობიექტების უკეთ გაკონტროლება BP-ის ქსელიდან; გაგრძელდა სამუშაოები ნავთობის ავარიულად ჩამოსაღვლი ობიექტისა და სუფსის ტერმინალის ელექტრომომარაგების საქართველოს ენერჯის-ტემასთან მისაერთებლად; მიწისადენის გაყოფებით მდებარე ათ სხვადასხვა ობიექტზე დამონტაჟდა ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემა; დაიწყო მე-2 ნავთობსაქანი სადგურზე პერსონალის მუდმივი საცხოვრებელი შენობის მშენებლობა.

სამხრეთ კავკასიური გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტი

ვავრძელებთ მუშაობას კასპიის ზღვაში მდებარე შაჰ დენიშის საბაზის კომპლექსური ათვისების პროექტზე. სამხრეთ კავკასიური გამსადენი ამ საბაზოზე მოლოდინი გაზით მარაგდება. პროექტით გათვალისწინებულია ახალი საექსპლუატაციო პლატფორმების მოწყობა, წყალქვეშა ჭაბურღილებისა და მიწისადენების გაცვანა, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილია ორი ახალი გაზის საკომპრესორო სადგურის მშენებლობა, აგრეთვე, საქართველო-თურქეთის საზღვარზე – წნევის მარეგულირებელი და გამომი სადგურის (PRIMS) მშენებლობა, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან ამუშავდ მოქმედი გამსადენის პარალელურად 56 კმ სიგრძის მიწისადენის გაცვანა და წალკის რაიონში ახალი საკომპრესორო სადგურთან მისასვლელი 16 კმ სიგრძის ახალი გაზის მშენებლობა.

ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედების შეფასება

2011 წელს ჩატარებული მარშუტის შერჩევის წინასწარი სამუშაოებისა და საველე კვლევების შემდეგ, ფართომასშტაბიანი სამუშაო ჩატარდა პროექტის ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ანგარიშის მოსამზადებლად. ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ფარგლებში შეგროვდა დეტალური ინფორმაცია პროექტის განხორციელების არეალში ბუნებრივი გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ბუნებრივი და სოციალური გარემოზე პროექტით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, განალიზდა პოტენციურად მგრძობიარე სფეროები, როგორებიცაა, ადგილობრივი მაცხოვრებლების უსაფრთხოების დაცვა, საშენებლო ტექნიკის ინტენსიური მოძრაობით გამოწვეული დისკომფორტი, დასაქმებისა და ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობების შექმნა, პროექტით გამოწვეული ზემოქმედება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტებზე, წყალმომარაგებაზე, ადგილობრივი გზების მდგომარეობაზე, ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილება, კულტურული მემკვიდრეობის რესურ-

ჩვენი ბიზნესის გაფართოება საქართველოში

ჩვენ ჩავატარეთ ფართომასშტაბიანი მოსამზადებელი სამუშაოები და კვლევები სამხრეთ კავკასიური გამსადენის გაფართოების პროექტის ხელშეწყობის მიზნით.



მიხეილ წერეთელი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოადგილე

კომპანია BP-ისა და მისი პარტნიორების მიერ დაფინანსებული არქეოლოგიური ძეგლების გადარჩენის პროგრამა, რომელიც ბექო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გამსადენის შენელობის დროს გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად შეიქმნა, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ვალდებულებას, რომელიც ოდესმე აუღია მისადენის რომელიმე საერთაშორისო პროექტს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. ამ პროექტმა ერთგვარი „მაველი რგოლის“ ფუნქცია შეასრულა ქართველი არქეოლოგებისათვის და ბიძგი მისცა ახალი პროექტების განხორციელებას. დღესდღეობით, ჩვენ მოწვევ ვართ, რომ სამხრეთ კავკასიური გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებებში მომუშავე ქართველი არქეოლოგები პროფესიონალიზმის უფრო მაღალ დონეს ავლენენ, რადგან 1990-იანი წლების რთული პერიოდის გამოვლის შემდეგ, მათ შეძლეს და საგრძნობლად აიმაღლეს კვალიფიკაცია.

სების დაცვა, მიწის საკუთრება და რეგისტრაცია. ანგარიში ასევე მიმოიხილავს პროექტის განხორციელების რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს.

ყველა საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის დეტალური შესწავლა, რაც მოიცავდა ამ ტერიტორიების ზედაპირის ვიზუალურ დათვალიერებას და შეფასებას, აგრეთვე არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას. კულტურული მემკვიდრეობის სამუშაოები წარიმართა რამდენიმე საპროექტო უბანზე, წალკისა და მარნეულის რაიონებში. 2012 წლის ივნისიდან ნოემბრამდე მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები იმ ფართობებზე, რომლებზეც პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარება იგეგმება. ასეთ ფართობებს მიეკუთვნება ახალი მილსადენის სამშენებლო დერეფანი, მილსადენთან დაკავშირებული ობიექტებისა და მისასვლელი გზების მარშრუტები. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ მოწვეულმა ჯგუფმა არქეოლოგიური გათხრები ჩატარა მთელ რიგ საპროექტო ფართობებზე. უშუალოდ გათხრების პროცესში არქეოლოგიური ძეგლები არ გამოვლენილა, თუმცა წალკის ტერიტორიაზე დადასტურდა ბრიჯოს ხანის ნამოსახლარისა და სამარხების არსებობის ნიშნები, ხოლო მარნეულის ტერიტორიაზე აღმოჩნდა შუა საუკუნეების ნამოსახლარი.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში ასევე ჩატარდა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზემოქმედების შეფასების კამერალური კვლევა, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფესიული მედიკოსისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტები. მათ მოიპოვეს და გაანალიზეს უშუალოდ პროექტის ტერიტორიებზე და მათ სიახლოვეს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ეს პროცესი

მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პროექტით გამოწვეული პოტენციური ზემოქმედების შეფასებას, რომლის საფუძველზეც უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილებები და შემუშავდეს ღონისძიებები, რომლებიც ჯანმრთელობაზე ზემოქმედებისგან დაცვის ღონისძიებების გეგმისა და „ვალდებულებების“ ნაწილი გახდება.

გარდა ამისა, ფართო კონსულტაციები გავმართეთ ადგილობრივ მოსახლეობასთან. შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ცალკეული პირებისა და საზოგადოებების ჯგუფებისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ გაეცნონ შეფასების ანგარიშს და გამოთქვან საკუთარი შენიშვნები. საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები გავმართეთ თბილისსა და რაიონებში. შეფასების ანგარიშის შესახებ ინფორმაციის გასაშუქებლად გამოვიყენეთ საჯარო განცხადებები, საგამეთო რეკლამა, პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაციის შემცველი ბროშურები, შენიშვნებისა და რეკომენდაციების ფორმები, აგრეთვე პირდაპირი საუბრები ადგილობრივ მოსახლეობასთან. წინამდებარე ანგარიშის თავი „საზოგადოება“ შეიცავს დამატებით ინფორმაციას კონკრეტულად სამხრეთ კავკასიური გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტთან დაკავშირებით გამართული კონსულტაციების შესახებ.

მომავალი პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული მოსახლეობის წარმომადგენლები რამდენიმე საკითხით დაინტერესდნენ, რომლებიც ძირითადად ეხებოდა კომპენსაციის თანხებს კერძო საკუთრებაში არსებულ და საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთებზე, აგრეთვე მუზეუმდების მიწის ნაკვეთებით სარგებლობაზე. გარდა ამისა, მოსახლეობის შეკითხვები ეხებოდა სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეულ ზემოქმედებას სოფლის ინფრასტრუქტურის ობიექტებზე და პროექტის ფარგლებში გაჩენილ დასაქმების შესაძლებლობებს.

ჩვენ მოვამზადეთ სახელმძღვანელო მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციის საკითხებზე, რომელიც პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებსა და მოსარგებლებებს, აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და ფართო საზოგადოებას, აწვდის პრაქტიკულ ინფორმაციას პროექტის მიზნებისათვის მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კომპენსაციების გაცემის პროცესის შესახებ. სახელმძღვანელოს გაცნობა შესაძლებელია „BP საქართველოს“ ვებსაიტზე. 2012 წელს დასრულდა მუდმივმოქმედი ობიექტების (საკომპრესორო სადგურების) მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე უფლებების მოპოვების პროცესი. გარდა ამისა, პროექტის მიერ წარმატებით არის შესყიდული მილსადენის სამშენებლო დერეფანში მოქცეული მიწის ნაკვეთების 82%.

BP-ის ინტერესები კასპიის ზღვის რეგიონში



მმართველობითი და მენეჯმენტის სისტემები

ვცდილობთ ავამაღლოთ ჩვენი შრომის უსაფრთხოებისა და რისკების მართვის ხარისხი, შევინარჩუნოთ ნდობა და გავზარდოთ სარგებელი.



BTC ნავთობსადენის 1-ლი ნავთობსაქანი სადგური.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი

2011 წელს წინსვლა აღინიშნა პროექტში, რომელიც დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-სუფის ნავთობსადენის) განახლებას და მილსადენის ძველი, საბჭოთა კავშირის დროინდელი სექციების ახლით შეცვლას ითვალისწინებს. ამავდროულად ფარგლებში იგეგმება მილსადენის ზოგიერთი მონაკვეთის მარშრუტის ცვლილება, რაც მიზნად ისახავს გეოლოგიური მოვლენებით – მეწყრებით, ერობითა და დატბორვით გამოწვეული საფრთხეების შემცირებას და მილსადენის მონაკვეთის გატანას ახალგორის რაიონის საზღვრებს გარეთ. სამუშაოები მიზნად ისახავს მილსადენის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების პროცესში უსაფრთხოებისა და უშიშროების მთავარი რისკების დონის შემცირებას.

2011 წელს, ამ პროექტის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე გაფართოებული შეხვედრები მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან და მათთან განვიხილეთ პროექტის განხორციელების გრაფიკი, აგრეთვე ფონური მდგომარეობის შესწავლის დროს დასმული ძირითადი საკითხები და საკონსულტაციო შეხვედრებზე წამოჭრილი თემები. საკითხები ეხებოდა მიწაზე უფლებების მოპოვების სანაცვლო კომპენსაციის გადახდას, მშენებლობის შემოქმედებას მიწის ნაყოფიერებაზე, წყლის რესურსებსა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტებზე, დასაქმების შესაძლებლობებს, მილსადენის მარშრუტის შერჩევას იმ მონაკვეთებზე, რომლებიც თბილისის ეროვნული პარკის საგურამოს მკაცრი დაცვის ზონას და მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონას გადაკვეთს. ეს კონსულტაციები გაგრძელდა 2012 წელს, პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში.

BP-ის სტრატეგია და მდგრადი განვითარება

ჩვენ მივისწრაფვით, რომ ვიყოთ დარგის ლიდერი უსაფრთხოების სფეროში, მსოფლიო დონის კომპანია, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესი და საუკეთესო დამსაქმებელი. ჩვენ ვცდილობთ ავამაღლოთ ჩვენი შრომის უსაფრთხოების დონე, გავაუმჯობესოთ რისკების მართვის ხარისხი, დავიზრუნოთ ჩვენდამი ნდობა და გავზარდოთ კომპანიის კაპიტალიზაციის დონე.

ჩვენს უმთავრეს პრიორიტეტად რჩება გამუდმებული ყურადღება შრომის უსაფრთხოების მიმართ. რისკების დარეგულირების გამართული სისტემა ვეხმარება, რომ დავიცვათ ჩვენს საწარმოებში დასაქმებული ადამიანები, ჩვენი საქმიანობის ადგილები და ჩვენი კაპიტალი. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ პოლიტიკურად, გეოგრაფიულად და ტექნიკურად რთულ პირობებში საქმიანობის პროცესში, მაგალითად, ღრმა წყლების რეზერვუარების ან ნავთობიანი ქვიშის საბადოების ათვისებისას, მოვითხოვთ განსაკუთრებით მგრძობიარე დამოკიდებულება ადგილობრივი გარემოსა და საზოგადოების მიმართ. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი სისტემების, პროცედურებისა და სტანდარტების დახვეწას, მათ შორის, ვცდილობთ უკეთ ვმართოთ რისკები, რომლებიც ჩვენი კონტრაქტორების,

აგრეთვე ჩვენი მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი საწარმოების ოპერატორების ქმედებებს უკავშირდება. ჩვენი მუშაობა წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევინარჩუნებთ ჩვენდამი ნდობას როგორც საკუთარი თანამშრომლების, ისე გარეშე საზოგადოების მხრიდან. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით იმისათვის, რომ ადამიანების ნდობა მოვიპოვოთ. ჩვენ ყურადღებით აღვრიცხავთ ჩვენი საქმიანობის შედეგებს და უზრუნველყოფთ ჩვენი ანგარიშების პროცესის გამჭვირვალობას. გვწამს, რომ მხოლოდ სრულფასოვანი კომუნიკაციისა და ღია დიალოგის გზით შევძლებთ, რომ გავამართლოთ ჩვენი თანამშრომლების, მომხმარებლების, აქციონერებისა და ჩვენი საქმიანობის ქვეყნების საზოგადოების მოლოდინი.

ჩვენ ვცდილობთ გავამართლოთ ჩვენი ბიზნესი და მეთი ყურადღება დავუთმოთ იმ სფეროებს, რომლებშიც უპირატესობას ვფლობთ. ჩვენი გამორჩეულად ძლიერი მხარეებია – გეოლოგიური ძიება, ღრმა წყლების რეზერვუარების ათვისება, გიგანტური საბადოების ათვისების სამუშაოების მართვა და გაბის ბიზნესი, აგრეთვე ჩვენი მსოფლიო კლასის გადამამუშავებელი სექტორი. თითოეულ მათგანს საფუძვლად უდევს ჩვენი მოწინავე ტექნოლოგიები და გრძელვადიანი ურთიერთობები. მყარი ფინანსური მაჩვენებლები აუცილებელია იმისათვის, რომ მოვხადინოთ ინვესტირება მსოფლიოსთვის ესოდენ საჭირო ენერგომატარებლების წარმოებაში, უზრუნველყოთ სარგებელი ჩვენი აქციონერებისათვის და შევინარჩუნოთ მათი ნდობა.

მსოფლიოსთვის ენერჯის მიწოდებით, ჩვენ ხელს ვუწყობთ ეკონომიკურ განვითარებას და მსოფლიოს მასშტაბით ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ჩვენი საქმიანობით სტიმულს ვაძლევთ სამუშაო ადგილების შექმნას, ინვესტიციების განხორციელებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, მთავრობისა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. ჩვენი კომპანიის აქტივების პორტფელის ნაწილია ნახშირბადის დაბალი შემცველობის პროექტები, რომელთაც მნიშვნელოვანი ცვლილების მოხდენა შეუძლიათ აწმყოსა და მომავალში.

მმართველობითი სისტემა და რისკების მართვა

BP-ის რისკების მართვის სისტემა უზრუნველყოფს რისკების გამოვლენას, განსაზღვრას და მართვას, რაც უსაფრთხო და საიმედო მუშაობის წინაპირობაა.

ყოველდღიურ საქმიანობაში რისკების განსაზღვრა და მართვა ხდება ჯგუფის საოპერაციო და ფუნქციონალური დანაყოფების დონეზე, რომელთა შემადგენლობაში შედის ჩვენი საქმიანობა საქართველოში. ჩვენ ყოველდღიურად ვფასებთ და ვარეგულირებთ ჩვენს საოპერაციო რისკებს, ჩვენი მართვის სისტემების მოთხოვნების მიხედვით და, საჭიროების შემთხვევაში, მივმართავთ ზომებს რისკების მართვის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. ბიზნესსტრატეგიებისა და ფუნქციონალური დანაყოფების დონეზე ხდება რისკების დონეებისა და რისკების მართვის გეგმების პერიოდული გადასინჯვა, მათ შორის, გადასინჯვას ექვემდებარება მსხვილი ავარიებისა და სხვა პოტენციურად ფართომასშტაბიანი შედეგების გამოწვევი რისკების დონეები.

ჩვენი წარმოების მართვის სისტემა

BP-ში მოქმედი მმართველობითი, მენეჯმენტის და საოპერაციო სისტემები გვცხადებენ, რომ პასუხისმგებლურად წარვმართოთ ჩვენი ბიზნესი.



მე-2 ნავთობსაქანი სადგური თეთრიწყაროში. სადგურის ხელმძღვანელები ობიექტის ყოველდღიური შემოვლის დროს.

მმართველობა და ზედამხედველობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს, აღმასრულებელი გუნდის და ფუნქციონალური დანაყოფების დონეებზე, რაც ხელს უწყობს მთლიანად ჯგუფის მასშტაბით ეფექტური კონტროლის განხორციელებას, ბიზნესის უკეთ დაგეგმვას და რესურსების რაციონალურ განკარგვას, ოპერატიული ზომების გატარებას და ცოდნის გამზარებას.

დირექტორთა საბჭო, აქციონერების სახელით, წარმართავს და აკონტროლებს BP-ის ბიზნესსაქმიანობის ყველა ასპექტს, მათ შორის, მდგრადი განვითარების მიმართულებით გაწეულ საქმიანობას. დირექტორთა საბჭო ასევე განიხილავს მთავარ რისკებს ჯგუფის დონეზე და ამ რისკების დასარეგულირებლად გატარებულ ზომებს. დირექტორთა საბჭო ახდენს კონტროლისა და მონიტორინგის ზოგიერთი ფუნქციის დელეგირებას საბჭოს ექვს კომიტეტზე, რომლებიც მთლიანად არააღმასრულებელი დირექტორებით არის დაკომპლექტებული. მათ შორის არის უსაფრთხოების, ეთიკისა და გარემოს დაცვის კომიტეტი, რომელიც გადასინჯავს იმ პროცესებს, რომელთაც BP იყენებს მნიშვნელოვანი არაფინანსური რისკების იდენტიფიცირებისა და დარეგულირებისათვის, რათა დარწმუნდეს, რომ პროცესები გამართულია და ეფექტურად ასრულებს ფუნქციას. გარდა ამისა, ჯგუფის ეთიკისა და კორპორაციულ წესებთან შესაბამისობის კომიტეტი ამოწმებს და იძლევა ინფორმაციას ეთიკისა და კორპორაციულ წესებთან შესაბამისობის პროგრამის შესახებ.

ჩვენ გვეკისრება პასუხისმგებლობა, რომ ჩვენი ოპერაციები იყოს უსაფრთხო, საიმედო და სრულად აკმაყოფილებდეს ნორმატიულ მოთხოვნებს. ამ ამოცანის მიღწევაში გვცხადებენ ჩვენი უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების (S&OR) ფუნქციონალური დანაყოფი, რომელიც გასცემს დამოუკიდებელ რეკომენდაციებს, საგულდაგულოდ ამოწმებს და კრიტიკულად აფასებს პროცესებს და, საჭიროების შემთხვევაში, იღებს კონკრეტულ ზომებს. უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების ფუნქციონალური დანაყოფი, რომლის შემადგენლობაში შედის ერთი ცენტრალური გუნდი და ასევე ქვედანაყოფები ცალკეულ ბიზნესერთეულებში, აწესებს მკაფიო მოთხოვნებს, აყალიბებს თავის დამოუკიდებელ აზრს საოპერაციო რისკებზე, ფართო ტექნიკურ დახმარებას უწევს ბიზნესს და, საჭიროების შემთხვევაში, ერთვება პროცესში და საკითხი გადააქვს უფრო მაღალ დონეზე.

გვევაში, იღებს კონკრეტულ ზომებს. უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების ფუნქციონალური დანაყოფი, რომლის შემადგენლობაში შედის ერთი ცენტრალური გუნდი და ასევე ქვედანაყოფები ცალკეულ ბიზნესერთეულებში, აწესებს მკაფიო მოთხოვნებს, აყალიბებს თავის დამოუკიდებელ აზრს საოპერაციო რისკებზე, ფართო ტექნიკურ დახმარებას უწევს ბიზნესს და, საჭიროების შემთხვევაში, ერთვება პროცესში და საკითხი გადააქვს უფრო მაღალ დონეზე.

წარმოების მართვის სისტემა

კომპანიის საქმიანობის მართვის საკითხში ჩვენი თანმიმდევრული მიდგომები BP-ის წარმოების მართვის სისტემას (OMS) ეფუძნება.

მართვის სისტემაში თავმოყრილია BP-ის სტანდარტები ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოების, უშიშროების, გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობისა და საექსპლუატაციო საიმედოობის სფეროებში, აგრეთვე ამ სფეროებთან დაკავშირებულ საკითხებში, როგორებიცაა ტექნიკური მომსახურება, კონტრაქტორებთან ურთიერთობა და სწავლება სამუშაო ადგილზე. სისტემა უზრუნველყოფს ერთიან კონტროლს დაქვემდებარებულ, თანმიმდევრულ და კომპლექსურ მიდგომას ბიზნესის მართვის მიმართ.


OMS-ის პრინციპები და სტანდარტები განმტკიცებულია ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური მეთოდოლოგიებით, რომლითაც ვხელმძღვანელობთ ახალი მსხვილმასშტაბიანი პროექტების თანხმობის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გამოვლენისა და მართვის პროცესში. კერძოდ, ისინი ვრცელდება პროექტებზე, რომლებზეც ან ახალი ტერიტორიების ათვისებას ითვალისწინებს, ან პოტენციურ შემოქმედებას ახდენს საერთაშორისო მნიშვნელობის დაცულ ტერიტორიაზე, ან BP-ის მიერ ახალი აქტივების შექმნის შესახებ მოლაპარაკებებთან არის კავშირში.



12

წელია ISO 14001 სერტიფიკატს ვფლობთ.

ჩვენი წარმოების მართვის სისტემა



დაინტერესებული მხარეები

ჩვენ სისტემატური კავშირი გვაქვს იმ დაინტერესებულ მხარეებთან, რომელთაც ჩვენი საქმიანობა რაიმე ფორმით ეხებათ.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა

უკვე დიდი ხანია ჩვენ საქართველოში გარემოსდაცვის მართვის სფეროში სისტემურ მიდგომებს ვიყენებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ აუცილებელია არსებობდეს მკაფიო და გამართული მექანიზმები, რომლითაც ჩვენ შევძლებთ, რომ ვაკონტროლოთ, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენ მიერ მილსადენების მშენებლობის პერიოდის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმებით აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესი. ჩვენს მენეჯმენტის სისტემას საფუძვლად უდევს ISO 14001-ის პრინციპი – „დაგვემა-შესრულება-შემოწმება-ქმედება“, რაც ასევე სრულად არის ასახული წარმოების მართვის სისტემაში.

ჩვენი ოპერაციები საქართველოში უკვე 12 წელია სერტიფიცირებულია საერთაშორისო სტანდარტის – ISO 14001-ის მიხედვით, ხოლო ამ სისტემის ფარგლებში მოქმედი ოპერაციების მასშტაბები თანდათან ფართოვდება. ISO-ს მოთხოვნების თანახმად, სისტემას პერიოდულად უტარდება საგარეო აუდიტი. გასული წლების აუდიტის შედეგები ჩვენს წინა „მდგრადი განვითარების ანგარიშებში“ არის გამოქვეყნებული.

გარდა ამისა, რეგულარულად მოწმდება ჩვენი გარემოსდაცვითი საქმიანობის ეფექტიანობა სხვა აუდიტების მიერ, მათ შორისაა, დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტის მიერ, თავდაპირველი პროექტის კრედიტორების სახელით ჩატარებული ყოველწლიური აუდიტი, რომელიც უკვე 14-ჯერ ჩატარდა, მათ შორის, ბოლოს 2012 წელს.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის (EMS) განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება. საქართველოში სისტემის შესრულების უზრუნველყოფა და კოორდინირება კომპანიის გარემოს დაცვისა და ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის განყოფილების მართვის სფეროში შედის, ხოლო რეგიონის მასშტაბით სისტემას შედამხედველობას უწევს BP-ის შესაბამისობისა და გარემოს დაცვის რეგიონალური დირექტორი. ობიექტებზე სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ობიექტების მენეჯერებს ეკისრება.

თანამშრომლები

საქართველოში ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენი თანამშრომლების რიცხვი იზრდება და ამჟამად 480-ს აღარაბრებს. ჩვენ თანმიმდევრულად ვზრდით საქართველოს მოქალაქეების ხვედრით წილს კომპანიის პერსონალის შემადგენლობაში. ამ მაჩვენებელმა გასული ხუთი წლის განმავლობაში საშუალოდ 95% შეადგინა, რაც სრულად ეხმარება ჩვენ წინაშე დასახულ ამოცანას, რომელიც ჩვენს ადგილობრივ ენერჯოკომპანიად ჩამოყალიბებას გულისხმობს. გარდა ამისა, ჩვენ ხელს ვუწყობთ ჩვენი ადგილობრივი თანამშრომლების გადამზადებას და პროფესიულ წინსვლას და მათგან სულ უფრო მეტი იკავებს ხელმძღვანელ პოზიციებს. ჩვენ გავაჩნია ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების ვრცელი პროგრამა და ჩვენი სურვილია, რომ ჩვენს თანამშრომლებს მივცეთ BP-ში საინტერესო და ნაყოფიერი კარიერის შექმნის შესაძლებლობები.

ხელისუფლების ორგანოები

ჩვენ ვთანამშრომლობთ საქართველოს ხელისუფლების ორგანოებთან ყველა დონეზე, მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან ვმუშაობთ კონკრეტული დასახლებების პრობლემებზე, ხოლო ზოგად სტრატეგიულ საკითხებს ქვეყნის ცენტრალურ მთავრობასთან განვიხილავთ. ჩვენ მუდმივად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა მარეგულირებელ ორგანოსთან, ნებართვებისა და ლიცენზიების მისაღებად, აგრეთვე მათი მხრიდან ჩვენი საქმიანობის მონიტორინგის განსახორციელებლად. ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ საქვალდებულო სამთავრობო უწყებებთან, როგორცაა, მაგალითად, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი, რომელიც Bთ/შჩპ მილსადენებს უშიშროების დაცვის დამატებითი ღონისძიებებით უზრუნველყოფს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2012 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 176 ქვეყანას შორის 51-ე ადგილზეა, ხოლო რეგიონის ქვეყნებს შორის ამ მაჩვენებლით პირველ ადგილს იკავებს. სამთავრობო უწყებებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან ნებისმიერი ურთიერთობისა, ჩვენ ვხელმძღვანელობთ ჩვენი „ქვეყნის კოდექსით“, რომელიც გვაკლავს, რომ ნებისმიერი ურთიერთობა წარმართოთ კეთილსინდისიერად, პატივსა და გამჭვირვალედ. მაგალითად, უშიშროების დაცვის სფეროში, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებს ვუტარებთ ტრენინგებს „უშიშროებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპების“ თემაზე. „ნებაყოფლობითი პრინციპები“ არის ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ უსაფრთხოებისა და უშიშროების დაცვის მიზნით ჩვენ მიერ გატარებული ღონისძიებები ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის ჩარჩოებს არ გასცდეს. 2012 წელს უშიშროების დაცვისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ექსპერტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციის თანახმად, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარეთ ტრენინგები ძალის გამოყენების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე.

საქართველოს სამრეწველო სექტორი

ჩვენ ვთანამშრომლობთ მთელ რიგ ბიზნესებთან და სამრეწველო ჯგუფებთან, ვუზიარებთ მათ გამოცდილებას, ვახორციელებთ ერთობლივ პროგრამებს და ხელს ვუწყობთ მოწინავე პრაქტიკის დანერგვას. როგორც წინამდებარე ანგარიშში არის აღნიშნული, ჩვენ ვართ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოსა და ანერჯის საჯარო პალატის წევრი და ვთანამშრომლობთ მრავალ კომპანიასთან, ორმხრივი ინიციატივების ფარგლებში.



ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრებამდე ქართველ სპორტსმენს BP საქართველომ უმასპინძლა.

ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან



გიორგი ძველიაია – დაბრუნება შინ, სუფსაში

გიორგი ძველიაია სუფსის ტერმინალის უფროსად 2012 წლის იანვარში დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მის პასუხისმგებლობებში შედის ტერმინალზე მიმდინარე ყველა სახმელეთო და საზღვაო ოპერაცია, ისევე როგორც BP-ის 38 თანამშრომლისაგან შემდგარი კოლექტივის ხელმძღვანელობა.

სუფსის ტერმინალზე მუშაობა გიორგიმ 1998 წელს დაიწყო და თავდაპირველად ექსპლუატაციის ტექნიკოსის მოვალეობებს ასრულებდა, შემდეგ თანდათან დაწინაურდა და ვერ ექსპლუატაციის უფროსის თანამდებობა ეკავა, ხოლო 2006 წელს ტერმინალის მენეჯერის მოვალეობები დაინიშნა. მოკლე დროის განმავლობაში იგი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მე-2 ნავთობსაქარ სადგურზე, ვერ ექსპლუატაციის ინჟინრის, შემდეგ სადგურის მმართველის ფუნქციებს ასრულებდა. ამის შემდეგ, გიორგი სამი წლით მივლინებულ იქნა კასპის ზღვაში მდებარე პლატფორმაზე – „შაჰ დენიზ ალფა“, სადაც საზღვაო ოპერაციების ინჟინრად მუშაობდა.

„ოფორში მუშაობამ ძალიან სასარგებლო პრაქტიკული გამოცდილება შემძინა, რადგან მუშაობა მომიხდა ურთულესი საწარმოო პროცესების შუაგულში, სხვადასხვა ეროვნების და განსხვავებული გამოცდილების ადამიანებთან ერთად. შორეულ პლატფორმაზე მუშაობისას რეალურად აცნობიერებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს განათრული პროცედურები და თითოეული სამუშაო სრულდებოდეს ხარისხიანად. გარდა ამისა, თავისთავად, შევიძინე ცოდნა ვაშის მოპოვებისა და გადამამუშავების სფეროში, ტრენინგების შემცობით მივიღე ფართო კვალიფიკაცია, მათ შორის ისეთ სფეროში, როგორცაა რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე.“

სუფსაში რამდენიმე მიზეზის გამო დაბრუნდა. პროფესიონალური თვალსაზრისით, ჩემი სურვილია, რომ ოფორში მიღებული გამოცდილება აქ, ტერმინალზე არსებულ განსხვავებულ გარემოში გამოვიტანო, რაც ხელს შეუწყობს, მაგალითად, უსაფრთხოების დაცვის კულტურის განმტკიცებას ტერმინალზე. ჩემი დაბრუნება პირადად გარემოებებზე განაპირობა – ახლახან მეორე ქალიშვილი შემიძინა და გადავწყვიტე, რომ უკვე დროა შინ დაბრუნდეთ და ჩემს ოჯახთან ახლოს ვიყო.

ახლა ჩემი მთავარი ამოცანაა, რომ ვიზრუნო ტერმინალის მუშაობის გაუმჯობესებაზე, რათა ავამაძლოთ ჩვენი ოპერაციების საიმედოება და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შევინარჩუნო მუშაობის მაღალი ხარისხი. მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, რომ განსხვავებულ სფეროებში მიმელო გამოცდილება და ყოველმხრივ ვეცდები, რომ სხვებსაც მივიტოვო ასეთი შანსი. ძალიან კარგი იქნება, თუ ჩემსავით სხვებსაც ექნებათ შესაძლებლობა, რომ იმუშაონ ოფორში და იქ მიღებული კვალიფიკაცია საქართველოში ჩამოიტანონ“.

საქართველოში ჩვენ დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრთან ვთანამშრომლობთ, ვაწვდით მათ ინფორმაციას ჩვენი საქმიანობის შესახებ და ვეცნობით მათთვის აქტუალურ საკითხებს.

ჩვენი პარტნიორები და კონტრაქტორები

ჩვენი ბიზნესის ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ თითქმის არასდროს ვმოქმედებთ იზოლირებულად. ჩვენი უსაფრთხო და საიმედო ოპერაციები დამოკიდებულია ჩვენი მომწოდებლების, კონტრაქტორებისა და პარტნიორების შესაძლებლობებსა და წარმატებულ საქმიანობაზე. ჩვენ მათ ვუწყებთ მუშაობის სტანდარტებს, რომლებსაც ავსახავთ მათთან გაფორმებულ იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებებში, ტრენინგებსა და აქტიური კომუნიკაციის მეშვეობით ვეხმარებით მუშაობის პრაქტიკის დახვეწაში. ვაგრძელებთ მუშაობას ადგილობრივი კონტრაქტორების კვალიფიკაციის ასამაღლებლად უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, დასაქმების პოლიტიკისა და სოციალური ზემოქმედების მართვის სფეროებში.

პარტნიორებთან ერთად, ჩვენ ვაფინანსებთ ინიციატივებს, მათ შორის, მთელი რიგ სოციალური პროგრამებს, რომლებიც საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას უწყობს ხელს.

ადგილობრივი მოსახლეობა

გასული წლების განმავლობაში ჩვენ მტკიცე და კონსტრუქციული ურთიერთობა ჩამოვიყალიბებთ ჩვენი საქმიანობის ზემოქმედების არეალში მოქცეულ ადგილობრივ მოსახლეობასთან. ჩვენ ვახორციელებთ ფართო სპექტრის სოციალურ პროგრამებს, რომლებიც ამ ანგარიშში დაწვრილებით არის აღწერილი. პროგრამები გათვლილია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე და მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა ინფრასტრუქტურის ობიექტების გაუმჯობესება, განათლება, გარემოს დაცვა, ახალგაზრდა თაობის უნარების განვითარება, ბიზნესის ხელშეწყობა. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცირები ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რათა სისტემატური კავშირი ჰქონდეთ მოსახლეობის მარშრუტების სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან, ეცნობინათ მათ პრობლემებსა და საჭიროებებს.

ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი გვებნარება, რომ უკეთ განვსაზღვროთ, რაში გამოიხატება ჩვენი საქმიანობით გამოწვეული პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამის ცოდნა აუცილებელია ნებისმიერი ჩვენი საქმიანობისთვის, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალ პროექტებთან კავშირში, რადგან ახალ პროექტებს თან ახლავს ლოკალური მასშტაბის ცვლილებები, მათ შორის არის, ერთი მხრივ, სამუშაო ადგილების შექმნა, ადგილობრივი მომწოდებლებისთვის შესაძლებლობების გაფართოება, ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა, მეორე მხრივ, ტრანსპორტის განვითარებული მოძრაობა გზებზე, ცვლილებები მიწათსარგებლობაში, შეცვლილი ლანდშაფტი, მტკნარი წყლის მოხმარების ზრდა და შიდა მიგრაციის დონის ცვლილება.

არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები

ჩვენ სისტემატურად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. რამდენიმე მათგანმა ჩვენი დახმარებით გაიფართოვა გამოცდილება და კვალიფიკაცია. ჩვენ შევიწყობთ სტრატეგია, რომლის თანახმად, ჩვენი სოციალური პროგრამის რამდენიმე წამყვანი კომპონენტის განმარტოვებულ პარტნიორებად შეირჩნენ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები. ჩვენი პროგრამების მეშვეობით, არასამთავრობო ორგანიზაციები იძენენ გამოცდილებას ისეთ სფეროებში, რომლებიც აქტუალურია მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორისაა, საგზაო უსაფრთხოება და ენერჯეტიკტური ტექნოლოგიები. ჩვენ ხელს ვუწყობთ მედიის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მაგალითად, ჟურნალისტებს ჩაუტარებთ გაცნობითი კურსი ენერჯეტიკული სექტორის საფუძველში. ვაგრძელებთ თანამშრომლობას „ბრიტანეთის საბჭოსთან“, მედიის წარმომადგენლებისთვის ინგლისური ენის სწავლების პროექტის ფარგლებში.

ჩვენ ვართ რამდენიმე მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო დაწესებულების დამფუძნებელი წევრი, მათ შორისაა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა და პროექტების მართვის კოლეჯი. ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით, ეს სასწავლებლები აგრძელებენ მაღალკვალიფიკაციის სპეციალისტების კადრის მოზიდვას, რომლებიც მზად არიან დაიძვიდნენ კუთვნილი ადგილი საქართველოსა და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე.


ჩვენი პერსონალის შემადგენლობა

ჩვენი პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა მისადაგება იმ საქმიანობას, რომელსაც კომპანია კონკრეტულ პერიოდში ახორციელებს. უკანასკნელ წლებში კომპანიაში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების რიცხვის თანმიმდევრულ ზრდასთან ერთად, ზოგიერთ თანამდებობას იკავებენ უცხოელი კონტრაქტორებიც, ძირითადად იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა სპეციალიზებული კვალიფიკაცია ან მიზანშეწონილია ქართველი კოლეგებისთვის ცოდნის გადაცემა.

2012 წელს საქართველოში BP-ის თანამშრომლების საერთო რაოდენობა გაიზარდა, თუმცა ოდნავ შემცირდა საქართველოს მოქალაქეების ხვედრითი წილი კომპანიის პერსონალის მთლიან შემადგენლობაში. უცხოელი თანამშრომლების რიცხვის ზრდა გამოწვეულია მომავალი პროექტების მიზნებისთვის უცხოელ სპეციალისტებზე გამრდილი მოთხოვნით. 2012 წლის ბოლოს, საქართველოში BP-ის თანამშრომელთა 94%-ს საქართველოს მოქალაქეები შეადგენდნენ. ჩვენი მენეჯერებისა და მუშაუდური ხელმძღვანელი რგოლის დაახლოებით 91% საქართველოს მოქალაქეები არიან და მათი ხვედრითი წილი, გასულ წელთან შედარებით, 4%-ით არის გაზრდილი. ქართველი მენეჯერებისა და მუშაუდური ხელმძღვანელი რგოლის 13%-ს ქალები შეადგენენ.

ჩვენი თანამშრომლები და ჩვენი ღირებულებები

BP საქართველოს პერსონალის შემადგენლობა 2012



აკაკი დევიძე – სამუშაო მივლინებით აზერბაიჯანში

აკაკი დევიძემ ცოტა ხნის წინ დაასრულა შვიდთვიანი მივლინება აზერბაიჯანში, სადაც ის ფინანსურ დეპარტამენტში, ნარჩენების მართვის კონტრაქტების ფინანსურ ანალიტიკოსად მუშაობდა. ამ თანამდებობაზე ის სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდა – მონაწილეობდა BP-ის ჯგუფის კვარტალური ბიუჯეტის შედგენის პროცესისთვის საჭირო ინფორმაციის მომზადებაში, ატარებდა მომსახურების მოწოდებელთა დანახარჯების ანალიზს გეგმიურ ხარჯებთან მიმართებით, მონაწილეობდა ბიზნესის ხუთწლიანი – 2013-2018 წლების გეგმის შედგენის პროცესში. მისი სამუშაოს უმეტესი ნაწილი ეთმობოდა კონტრაქტს ნარჩენების მართვის ახალ კონტრაქტორთან, რომლის მოვალეობებში შედიოდა საბურთალოს შლამის, ანუ რევიონში ჩვენი საქმიანობის თანამშრომლები ყველაზე რთული ნარჩენის, უტილიზაცია.

აკაკი ბაქოში 2012 წლის აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით იყო. „ეს განსხვავებული გამოცდილება იყო. ნარჩენების მართვის საკითხზე, კერძოდ, მის ფინანსურ მხარეზე მუშაობის პროცესში, კომპანიის სხვადასხვა დანაყოფთან ურთიერთობის ძალზე სასარგებლო გამოცდილება მივიღე და უშუალოდ გავიცანი, თუ რა ზემოქმედება შეიძლება იქონიოს, მთელი ბიზნესის მასშტაბით, ისეთმა კომპლექსურმა საკითხმა, როგორც არის, მაგალითად, ნარჩენების მართვა. რაც შეეხება პირად ურთიერთობებს, გავიცანი ბევრი ჩემი კოლეგა, რომლებთანაც მანამდე მხოლოდ სატელეფონო ან წერილობითი კავშირი მქონდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ სამუშაო კომუნიკაციის გაუმჯობესების და საქმიანი კავშირების დამყარების კარგი შესაძლებლობა მომცა“.



ჩვენ მიზნად ვისახავთ ჩვენი ადგილობრივი თანამშრომლების პროფესიული ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებას, ვაძლევთ მათ კარიერული წინსვლის შესაძლებლობას ისეთ სამუშაო გარემოში, რომელშიც ადამიანებს კონკრეტული ღირებულებები აერთიანებთ და რომელიც „ქვეყნის კოდექსის“ მკაფიოდ გაცხადებულ პრინციპებს ეფუძნება.

ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ 70-ზე მეტ ქართულ კომპანიასთან. მათი თანამშრომლები ჩვენი ორგანიზაციული სტრუქტურის ნაწილი არიან და მონაწილეობას იღებენ კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში.

2012 წელს რამდენიმე ახალ თანამდებობაზე კანდიდატურები შევარჩიეთ კომპანიის შიდა რესურსიდან, რაც შეესაბამება ჩვენს მიდგომას კადრების კარიერული წინსვლის საკითხში. გარდა ამისა, მთელ რიგ ტექნიკურ და სხვა პოზიციებზე დავინიშნეთ გარე დასაქმების პროცესის მეშვეობით შერჩეული პირები. კომპანიაში მუშაობის პირველ წელს, ტექნიკოსებად დანიშნული პირები ინგლისური ენის კურსებს და ტექნიკურ სწავლებას გაივლიან.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე თანამშრომლებისთვის ვატარებთ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს, რომლებიც მათ მართვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში ეხმარება. მათ შორისაა, ინდივიდუალური საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების, ქმედითი გუნდური მუშაობისა და სააგენტოს პერსონალის მართვის ტრენინგები.

გარდა ამისა, კადრების ფუნქციონალური დანაყოფი ატარებს ტრენინგებს ჯგუფის ხელმძღვანელებისათვის, რომლებმაც ყურადღება ეთმობა კადრების მართვის ისეთ საკითხებს, რომლებიც ჯგუფის ხელმძღვანელების კომპეტენციას განეკუთვნება, მათ შორისაა, საუბრის წარმართვა თანამშრომელთან რთული სიტუაციის დროს, საქმიანობის შედეგების განხილვა, ახალი თანამშრომლების სამუშაოზე აყვანის პროცესი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, თანამშრომელთა ანაზღაურების საკითხები.

ვაგრძელებთ თანამშრომელთა უმაღლესი პროფესიული განათლების დაფინანსებას, რომლის შედეგად მათ ოფიციალური ხარისხი ან საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი ენიჭებათ. 2012 წელს ორმა თანამშრომელმა დაამთავრა BP-ის მიერ დაფინანსებული პროექტების მართვის კოლეჯი.

ჩვენ ასევე ხელს ვუწყობთ ჩვენი თანამშრომლების კარიერულ წინსვლას რეგიონის მასშტაბით, BP-ის აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ბიზნესდანაყოფის შემადგენლობაში. ამჟამად საქართველოდან რვა თანამშრომელი არის მივლინული სამუშაოდ (აზერბაიჯანში, თურქეთსა და დიდ ბრიტანეთში), ხოლო ხუთი აზერბაიჯანელი თანამშრომელი სამუშაო მივლინებით იმყოფება საქართველოში.

2012 წელს საქართველოში პირველად შეგუერთდით ინიციატივას სახელწოდებით „Challenge“, რომელიც მთელი BP-ის ჯგუფის მასშტაბით ხორციელდება და ითვალისწინებს უნივერსიტეტების კურსდამთავრებული ახალგაზრდების დასაქმებას და მათ პროფესიულ განვითარებას, სპეციალურად მათზე მორგებული სასწავლო პროგრამების მეშვეობით. პროგრამის განმავლობაში, რომელიც ჩვეულებრივ 24-დან 36 თვემდე გრძელდება, მის მონაწილეებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ იმუშაონ ბიზნესის მინიმუმ ორ სხვადასხვა სფეროში და ფართო სექტორის უნარები შეიძინონ. პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის საჭიროა, რომ მონაწილეებმა გაიაროს ყველა საჭირო ტრენინგი და აითვისოს აუცილებელი

ბელი პროფესიული უნარ-ჩვევები. წინამდებარე ანგარიშის თავში „შრომის უსაფრთხოება“ მოთხრობილია „Challenge“ პროგრამის პირველი ქართველი მონაწილის – თორნიკე თორდიას ისტორია, რომელიც ამჟამად კომპანიის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების შემადგენლობაში მუშაობს.

ჩვენი ღირებულებები

BP-ის ახალი ღირებულებების დანერგვა საქართველოში 2011 წლის ბოლოდან დაიწყო. 2012 წელს ჩვენ ჩაატარეთ ახალი ღირებულებების გასაცნობი კამპანია თანამშრომლებისათვის, რათა უკეთესად წარმოგვეჩინა ახალი ღირებულებების მნიშვნელობა თითოეული თანამშრომლის ყოველდღიურ საქმიანობაში. ეს ღირებულებები უკვე ასახულია BP-ის „ქვეყნის კოდექსში“, რაც ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

- ჩვენი ღირებულებები
- უსაფრთხოება
- პატივისცემა
- სრულყოფილება
- გამბედაობა
- ერთი გუნდი

უსაფრთხოება: ჩვენი საქმიანობის საფუძველი ჩვენი თანამშრომლებისა და ჩვენი ობიექტების ირგვლივ მცხოვრებ მოსახლეობის უსაფრთხოებას დაცვაა. ჩვენ ასევე ვზრუნავთ გარემოს უსაფრთხოებაზე და ალბულო გვაქვს ვალდებულება, რომ უსაფრთხოდ მოვამარაგოთ მსოფლიო ენერჯორესურსებით.

პატივისცემა: ჩვენ პატივისცემით ვვცრობით გარემოს, რომელშიც ვსაქმიანობთ. პირველ რიგში, ეს გამოიხატება ქვეყნის კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულებით. ჩვენ საკუთარ თავს ვუყენებთ უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებს და ვიქცევით იმგვარად, რომ ირგვლივ მყოფთა ნდობა დაიმსახუროთ.

სრულყოფილება: ჩვენს ბიზნესს თან ახლავს პოტენციური საფრთხეები და ჩვენ გამუდმებით ვცდილობთ, მაქსიმალურად დავხვეწოთ ჩვენი ოპერაციები და მეთოდურად და რაციონალურად ვმართოთ ჩვენი ბიზნესი. ჩვენ შედეგით ვიცავთ და ვასრულებთ იმ წესებსა და ნორმებს, რომლებიც ჩვენი კომპანიისთვის შეგომავით.

გამბედაობა: სწორად, საუკეთესო შედეგების მიღწევა ჩვენთან მოითხოვს გამბედაობას, რომ გავუმკლავდეთ სირთულეებს, ლაღ გამოვხატოთ ჩვენი აზრი და არ გადავუხვიოთ ჩვენს პრინციპებს. ჩვენ მუდამ ვცდილობთ, რომ ვიმოქმედოთ სწორად. ვეძებთ ახალ ხედვებს და დახმარების თხოვნის არ ვგვჩინია.

ერთი გუნდი: რა ინდივიდუალური ღირსებებიც არ უნდა გავაჩნდეს თითოეულ ჩვენგანს, ერთობლივი ძალისხმევით ვაკლავთ მტრს მივალწევთ. ჩვენ გუნდის ინტერესებს პირად წარმატებაზე წინ ვაყენებთ და ვზრუნავთ მთელი გუნდის პოტენციალის ამაღლებაზე.

ჩვენი ქცევის კოდექსი

„ჩვენ ვართ BP“ ფორუმის მონაწილეები BP-ის ღირებულებებს განიხილავენ.

ჩვენს საქმიანობას წარვმართავთ BP-ის „ქცევის კოდექსის“ შესაბამისად და ვაგრძელებთ კოდექსის მნიშვნელობის წარმოჩენას ჩვენი თანამშრომლების წინაშე.



2012 წლის იანვარში, BP საქართველოს ხელმძღვანელი როგორც წევრებმა, მათ დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს, გააცნეს საკუთარი ხედვა ღირებულებებთან დაკავშირებით და გაუზიარეს ყოველდღიურ მუშაობაში ღირებულებების გატარების მაგალითები, რაც ერთობლივი სავარჯიშო ღონისძიებით დასრულდა. აპრილში გაგმართეთ ორი შიდა სემინარი თემაზე „ჩვენ ვართ BP“, რომლებიც მთლიანად განახლებულ ღირებულებებსა და ქცევის მოდელს მიეძღვნა და რომელშიც მონაწილეობა მიიღო 150-ზე მეტმა თანამშრომელმა. მათ ერთმანეთს გაუზიარეს ღირებულებების ცხოვრებაში გატარების მაგალითები, მონაწილეობა მიიღეს ჯგუფურ ღონისძიებებში და მრავალი მაგიდის ფორმატში გამართულ დისკუსიებში.

BP-ის ქცევის კოდექსი

ღირებულებების გარდა, ჩვენს საქმიანობას წარვმართავთ BP-ის „ქცევის კოდექსის“ შესაბამისად, რომელშიც ჩამოყალიბებულია ის ძირითადი ქცევის ნორმები, რომელთა დაცვაც მოგვეთხოვება BP-ში. კოდექსი ასევე განმარტავს, თუ როგორ უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენი ღირებულებებით, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს.

BP-ის ახალი ღირებულებების მიხედვით განახლებული „ქცევის კოდექსი“ 2011 წელს ხელახლა გამოიცა და გავრცელდა სრულიად BP-ის მასშტაბით. საქართველოში „ქცევის კოდექსი“ ხელმისაწვდომია ქართულ ენაზეც. ჩვენ ვაგრძელებთ კოდექსის მნიშვნელობის ხაზგასმას, რადგან იგი გვეხმარება ჩვენი საქმიანობის წარმართვაში, ეთიკის ნორმებისა და კანონის სრული დაცვით.

„ქცევის კოდექსში“ შეტანილი ცვლილებები 2012 წელს ჩატარებულ ტრენინგებზე გავაცანით საქართველოში კომპანიის ხელმძღვანელ პირებს, ხოლო ჯგუფების ხელმძღვანელებმა და მენეჯერებმა, თავის მხრივ, შესაბამისი ტრენინგები ჩაუტარეს მათ დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს ობიექტებზე.

„ქცევის კოდექსის“ გაცნობითი კურსი უტარდება როგორც BP-ის, ისე სააგენტოს ყველა ახალ თანამშრომელს. ჩვენ ასევე ვაცნობთ ჩვენს თანამშრომლებს, თუ რა გზებით უნდა განაცხადონ BP-ის სტანდარტებისთვის შეუფერებელი გადაცდომებისა და თაღლითობის სავარაუდო ფაქტების შესახებ და ვის უნდა მიმართონ, თუ ასეთი ფაქტების მომსწრე გახდებიან.

საქართველოში BP-ს ჰყავს ეთიკისა და კორპორაციული წესებთან შესაბამისობის ოფიცერი, რომლის ფუნქციებში შედის „ქცევის კოდექსის“ მოთხოვნების შესრულების ზოგადი კონტროლი და თანამშრომლებისთვის განმარტების მიცემა საქმიანი ეთიკის საკითხებზე. თანამშრომლები მას ხშირად მიმართავენ იმის გასარკვევად, თუ რა არის ნებადართული კოდექსის მიხედვით, მაგალითად, ისეთ საკითხებში, როგორებიცაა საჩუქრებისა და გასართობი ღონისძიებებზე მიწვევის მიღება და გაცემა, ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობა.

ჩვენს თანამშრომლებს ხელი მიუწვდებათ რამდენიმე საკომუნიკაციო საშუალებაზე, რომლითაც მათ შეუძლიათ განაცხადონ „ქცევის კოდექსის“ ან რომელიმე სხვა კანონის მოთხოვნების პოტენციური დარღვევების შესახებ. ასეთ საშუალებებს მიეკუთვნება კონფიდენციალური სატელეფონო ხაზი – Open Talk, რომელსაც მართავს დამოუკიდებელი კომპანია და რომელთან დაკავშირებაც შესაძლებელია ყოველდღე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს. ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს თანამშრომლებს, რომ ყველა ასეთი პოტენციური პრობლემა მიმართონ საკუთარ ზემდგომ მენეჯერს, კადრების ან იურიდიული განყოფილებების წარმომადგენლებს, ან კომპანიის ეთიკისა და კორპორაციულ წესებთან შესაბამისობის ოფიცერს საქართველოში.


კომპანიის ადგილობრივი წვლილი

ნათო თხლაშიძე


სოციალური საკითხების ჯგუფის ხელმძღვანელი, BP საქართველო

ჩვენ ვაგნობიერებთ, რომ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული შემოქმედების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ჩვენი ურთიერთობა ადგილობრივ კონტრაქტორებთან, რომელთაც, თავის მხრივ, ურთიერთობა აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან. გვჯერა, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის სასიკეთო შედეგების მომტანი იქნება ჩვენი მხრიდან კონტრაქტორების დასაქმების პრაქტიკის დახვეწა მუშაობა და კონტრაქტორების უკეთ გათვითცნობიერება სოციალური შემოქმედების საკითხებში.


გადახდილი ტარიფები და გადასახადები



საოპერაციო და კაპიტალური ხარჯები (მილიონი ლარი)



ადგილობრივი კომპანიებისთვის გადახდილი თანხები (მილიონი ლარი)



ჩვენი ინვესტიციები და მიმდინარე საქმიანობა დადებით ზეგავლენას ახდენს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებზე, რაც გამოიხატება არა მარტო ჩვენ მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადებით, არამედ სამუშაო ადგილების შექმნით და ჩვენი კონტრაქტორებისთვის გაჩენილი შესაძლებლობებით.

ჩვენი წვლილი ქვეყნის ფინანსურ სექტორსა და ეკონომიკაში

ჩვენ მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში, ტარიფისა და მოგების გადასახადის სახით გადახდილი თანხების მეშვეობით, რომელთა რაოდენობა მილსადენებით გადახდილი ენერგომატარებლების მოცულობების მიხედვით იანგარიშება:

- 2012 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ყველა პარტნიორის მიერ გადახდილი მოგების გადასახადმა 34,6 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2011 წელს იგივე მაჩვენებელი 33 მილიონი დოლარი იყო.
- 2012 წელს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ყველა პარტნიორის მიერ საქართველოს ბიუჯეტში ტარიფის სახით ნ.მ მილიონი დოლარი გადაირიცხა.

მნიშვნელოვანია ჩვენი წილი ქვეყნის ექსპორტის საერთო ღირებულებაში:

- ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2012 წელს, BP-ის მილსადენების ოპერაციებმა მოსახურების ექსპორტის საერთო ღირებულების დაახლოებით 9% შეადგინა.

ჩვენ ასევე ვახდენთ კაპიტალდაბანდებას საქართველოში, ჩვენი ბიზნესის განვითარებისთვის:

- 2012 წელს საქართველოში გაწეულმა საოპერაციო ხარჯებმა 118 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2011 წელს იგივე მაჩვენებელი 104,5 მილიონი დოლარი იყო. 2012 წელს კაპიტალური დაბანდების მოცულობამ დაახლოებით 26,7 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2011 წელს ეს მაჩვენებელი 19,5 მილიონი დოლარი იყო.

თანამშრომლობა ადგილობრივ კონტრაქტორებთან

ჩვენ კვლავ ვცდილობთ, რომ რაც შეიძლება მეტ ადგილობრივ კონტრაქტორთან ვითანამშრომლოთ. 2012 წელს ჩვენ მიერ ადგილობრივი კომპანიებისთვის გადახდილი თანხამ 75,8 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2011 წელს ეს მაჩვენებელი 54,7 მილიონი დოლარი იყო. ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია კონტრაქტორებისთვის გასული ხუთი წლის განმავლობაში გადახდილი თანხების რაოდენობები.

მოშორებულბებთან გაფორმებული კონტრაქტების ერთ-ერთი პირობის თანახმად, მათ მეთხოვრებთ, რომ წარმოგიდგინონ გეგმა, თუ როგორ აპირებენ ადგილობრივი კონტინენტის გაზრდას მათი კომპანიის პერსონალის შემადგენლობაში. ვიმედოვნებთ, რომ ეს იქნება ეფექტური მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ეკონომიკაში დასაქმებულთა ტექნიკური და პროფესიული უნარების ამაღლებას. რამდენიმე შერჩეული ძირითადი კონტრაქტორის მაგალითზე, ჩვენ ვამოწმებთ, თუ რამდენად სრულდება ეს მოთხოვნები ჩვენი კონტრაქტორების მიერ.

გარდა ამისა, ვატარებთ კონტრაქტორების დასაქმების პროცედურების აუდიტს, მათ შორის, ვსწავლობთ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სამუშაოზე მიღების

პრაქტიკა, სამუშაო პირობები, შემცირებისა და სამსახურიდან დათხოვნის წესები, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და დასაქმებულთა საჩივრების განხილვის პროცედურები. 2012 წელს აუდიტი ჩავატარეთ ჩვენი უშიშროების დაცვის კონტრაქტორს – „შპს ვეზირს“ და შევამოწმეთ, რამდენად სრულდება მათ მიერ სოციალური და ადგილობრივი კონტინენტის დასაქმებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომლებიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის „უზუნბრივ და სოციალურ გარემოზე შემოქმედების შეფასების“ ანგარიშში არის გაწერილი. აუდიტის დასკვნაში აღნიშნულია კონტრაქტორის მიღწევები შემოსეხე-ბული მოთხოვნების დაკმაყოფილების მხრივ, თუმცა ასევე მოყვანილია რამდენიმე რეკომენდაცია, აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით გასატარებელი ქმედებების შესახებ. ჩვენ მთელი წლის განმავლობაში ვადავებთ თვალყურს, თუ როგორ სრულდება ეს რეკომენდაციები კონტრაქტორის მიერ.

ჩვენ ვმუშაობთ ჩვენს კონტრაქტორებთან, რათა მათ მეტი ყურადღება დაუთმონ სოციალური რისკების გამოვლენას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას. 2012 წელს ჩავატარეთ სოციალური საკითხებისადმი მიძღვნილი 11 სემინარი, რომლებსაც დაესწრო სხვადასხვა მომსახურების მოწოდებელი კონტრაქტორის 100-ზე მეტი წარმომადგენელი, მათ შორის, კვების სერვისის მოწოდებელი, სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი და სხვა კონტრაქტორების თანამშრომლები. ტექნიკური პერსონალის და სხვადასხვა სამუშაოების შემსრულებელი სხვა პერსონალისთვის განკუთვნილი სემინარებზე ხაზგასმით აღინიშნება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სოციალურ სფეროზე შემოქმედების გათვალისწინება, მათ შორის, ყოველდღიური საქმიანობის დროს. მათ ეძლევათ რჩევები, თუ წინასწარ როგორ უნდა განსაზღვრონ პოტენციური შემოქმედების სახეები და გამოამუშავონ სათანადო ქვეყნის ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისას, მაგალითად, იმ სიტუაციაში, როცა პროექტის მიმდინარეობის დროს ამა თუ იმ დასახლებაში თავს იყრის ერთბაშად ბევრი უცხო ადამიანი.

სამოგადოების განვითარება

ჩვენს კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული პირდაპირი სარგებლის გარდა, ჩვენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვაფინანსებთ მთელ რიგ სამოგადოებრივ პროექტებს, რომლებიც საქართველოში სამოქალაქო სამოგადოების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას უწყობს ხელს.

რამდენიმე სოციალური პროექტი ინფრასტრუქტურის ობიექტების ფიზიკურ რეაბილიტაციას ისახავდა მიზნად, მათ შორის იყო სკოლებისა და სამოგადოებრივი ობიექტების რეაბილიტაცია. ჩვენი ფინანსური დახმარებით აშენდა მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი ქ. რუსთაველაში, რომელსაც ამჟამად ადგილობრივი ხელისუფლება ამუშავებს. სხვა პროექტების თემები იყო სამოგადოების განვითარება, მაგალითად, ტრენინგები ახალგაზრდობის ჯგუფებისა და სამოქალაქო სამოგადოების განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის. ჩვენი ბოლოდროინდელი საქმიანობა ამ მიმართულებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშის თავში – „სამოგადოება“ (იხ. გვერდი 23).

შრომის უსაფრთხოება

შრომის უსაფრთხოება და საოპერაციო რისკების მართვა ჩვენი ნებისმიერი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

ჩვენი მიზნები

ჩვენი ამოცანაა უმაღლესი სტანდარტის, უსაფრთხო და საიმედო ოპერაციები.

ჩვენ განვსაზღვრავთ და ვმართავთ რისკებს, ვატარებთ საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის ტრენინგებსა და საგარეო ღონისძიებებს.

ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი თანამშრომლების, კონტრაქტორებისა და ვიზიტორების ჯანმრთელობის დაცვაზე, აგრეთვე იმ ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რომლებიც ჩვენი ობიექტების სიახლოვეს ცხოვრობენ და მუშაობენ.

ამ თავში

ვაგრძელებთ წარმოების მართვის სისტემის (DMS) დანერგვას, რომელიც ჩვენი მუშაობის უსაფრთხოებასა და საიმედოობას უზრუნველყოფს.



ვაგრძელებთ მუშაობას ჩვენს ძირითად კონტრაქტორებთან მათ ორგანიზაციებში უსაფრთხოების სფეროს მართვის კულტურის ასამაღლებლად.



ინფორმაცია კრიზისული სიტუაციების მართვის, ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფისა და პროფესიული ჯანდაცვის შესახებ.



სუფსის ტერმინალი

მსხვილმასშტაბიანი ავარიის ლიკვიდაციისა და დასაგებულთა ევაკუაციის წვრთნების მონაწილეები.



უსაფრთხოების მარჯვენა



კახა შევარდნაძე

შპს „ფერის“ ტექნოლოგიური მენეჯერის მოადგილე

ვიზიტი სამუშაო უბანზე საუკეთესო გზა იმისათვის, რომ ამოწმდეს ინფორმაცია მიიღო ადგილზე მიმდინარე სამუშაოების უსაფრთხოების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ. სამშენებლო ობიექტებზე უნდა მიმდინარეობდეს უწყვეტი კონტროლი და მეთვალყურეობა, რათა ოპერატიულად გამოვალდებოთ და დავარეგულიროთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები.

სამუშაო უბანზე უსაფრთხოების მდგომარეობის ინსპექტირებისა და დათვლიერების მიზნით მოწყობილი ერთობლივი ვიზიტების დროს, ჩვენ ვიღებთ სასარგებლო პრაქტიკულ ინფორმაციას, რომელიც უსაფრთხოების დაცვის საკითხების უკეთ გაანალიზებასა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში გვეხმარება. BP-ის წარმომადგენლებთან ერთობლივი ვიზიტების მიზანია, რომ წახალისებოთ ობიექტებზე მიმდინარე სამუშაოებზე პასუხისმგებელი პირები და შევასწავლოთ მათი მოვალეობები უსაფრთხოების დაცვის საკითხში. სამუშაოს მნიშვნელოვანი ეტაპების მიმდინარეობისას, ან გარკვეული პერიოდული ინტერვალებით ჩატარებული ინსპექტირების შემდეგ, ხდება შეუსაბამობების გამოვლენა და მოწოდება, არსებობს თუ არა ამა თუ იმ კონკრეტული სამუშაოს რისკების შეფასების დოკუმენტი და მისი შესრულების მეთოდოლოგია. გარდა ამისა, ეს ვიზიტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამუშაო უბანზე უსაფრთხოების კულტურის ამაღლების თვალსაზრისით.

ჩვენ ასევე ეფექტურ მექანიზმად განვიხილავთ უსაფრთხოების სფეროს ხელმძღვანელობასთან გამართულ შეხვედრებს, რომლებზეც სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლები ერთმანეთს უზიარებენ უსაფრთხოების მოწინავე პრაქტიკის მაგალითებს, პრაქტიკულ გამოცდილებას და ინფორმაციას პრევენციული ღონისძიებების შესახებ. ყველაფერი ეს ხელს უწყობს გამოცდილების გადართობას, მოწინავე პრაქტიკის დანერგვას და HSE სფეროს მართვის სისტემების დანერგვას.

ჩვენი პრიორიტეტებია – სამუშაოს წინასწარი შეფასება, პოტენციური საფრთხეების განსაზღვრა და მათი აღმოფხვრა. ჩვენი მხრიდან ეს არის ზრუნვის გამოხატულება ჩვენი პერსონალის და ბუნებრივი გარემოს მიმართ, რაც მთლიანად კომპანიის მუშაობაზე დადებითად აისახება.

ჩვენი მთავარი მიზანია უსაფრთხო, საიმედო ოპერაციები, კანონებისა და რეგულაციების მოთხოვნების სრული დაცვა. სამუშაოს შესრულების უმაღლესი მარჯვენა მიღწევის პარალელურად, ჩვენთვის უმთავრესია დავიცვათ ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობა, ჩვენი წარმოების უსაფრთხოება და თავიდან ავიცილოთ უბედური შემთხვევები.

ვგარძელებთ რეგიონალური დანაყოფის დონეზე წარმოების მართვის სისტემის (OMS) დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი მუშაობის უსაფრთხოებასა და საიმედოობას. ვგარძელებთ მუშაობას, რათა მივაღწიოთ ჩვენი ოპერაციების შესაბამისობას OMS-ის მოთხოვნებთან და ამ მიზნით ყოველწლიურად ვამოწმებთ თითოეული მოთხოვნის შესრულების მხრივ არსებულ მდგომარეობას და მივმართავთ გეგმავით მენეჯერებს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, განვსაზღვრავთ პრიორიტეტულ სფეროებს, რომლებზეც გაუმჯობესებას საჭიროებს, რაც ჩვენ წინაშე არსებული რისკების დონების კლების და ჩვენი მუშაობის ხარისხის ამაღლების უწყვეტი პროცესების წინაპირობაა. 2011 წელს OMS-ის მოთხოვნებთან ჩვენი შესაბამისობა შეამოწმეს BP ჯგუფის აუდიტორებმა, რომელთაც მოამზადეს რეკომენდაციები კონკრეტულ სფეროებში გარკვეული ქმედებების გასატარებლად. ამ თავში აღწერილია ჩვენი მიღწევები და ინიციატივები შრომის უსაფრთხოების სფეროში და მათი კავშირი OMS-ის შემადგენელ კონკრეტულ ელემენტებთან.

2012 წლის დეკემბერში BP-ის თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისთვის გამოიცა განახლებული „ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების, უშიშროებისა და გარემოს დაცვის (HSSE) დებულება“, რომლის მიხედვით, უცვლელი რჩება ჩვენი ვალდებულება – თავიდან ავიცილოთ უბედური შემთხვევები, დავიცვათ ადამიანების უსაფრთხოება და გავუფრთხილდეთ გარემოს.

შრომის უსაფრთხოების მარჯვენა

2012 წელს, BP-ისა და მისი კონტრაქტორების მიერ ნაშუქვარმა დრომ 3,4 მილიონი კაცსაათი შეადგინა, ხოლო ავტორანსპორტით გავლილი კილომეტრების რაოდენობა ცხრა მილიონს გაუტოლდა და ამ პროცესში არ მოხდარა არც ერთი უბედური შემთხვევა ან მსხვილი ავარია და არ აღრიცხულა პერსონალის ტრავმის ან ავადმყოფობის გამო სამუშაო დღეების გაცდენის შემთხვევები.

2012 წელს აღირიცხა ერთი საწარმოო ტრავმის შემთხვევა (კონტრაქტორის ერთ-ერთ თანამშრომელს ფეხი გაუსრიალდა, დაცვა და მხარი იღრძო). 2011 წლისგან განსხვავებით, როცა წლის განმავლობაში მოხდარი ცხრა ავტოსაგზაო შემთხვევიდან ორი „მძიმე“ კატეგორიის იყო, 2012 წელს აღირიცხა ექვსი ავტოსაგზაო შემთხვევა და მათგან არც ერთი არ ყოფილა მძიმე კატეგორიის.

ჩვენ ყურადღებით ვიძიებთ თითოეული ავტოსაგზაო შემთხვევის გამოწვევ მიზეზებს, მომავალში მსგავსი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად. ჩვენ მოუწოდებთ ჩვენს თანამშრომლებსა და კონტრაქტორებს, რომ განაცხადონ ყველა პოტენციური ინციდენტის ან ინციდენტის წინაპირობის შესახებ, რომლებიც თავიდან ასაცილებლად. ჩვენი მხრივ შემთხვევების შედეგად მიღებული გამოცდილება, რათა მინიმუმადე შეამცირონ მსგავსი ინციდენტების განმეორების ალბათობა. 2012 წლის განმავლობაში ჩვენი კონტრაქტორებისა და ჩვენ მიერ აღრიცხული ინციდენტების 57% იყო „პოტენციური ინციდენტი“, საიდანაც მნიშვნელოვანი გაკვეთილები მივიღეთ, რეალური დანაკარგების გარეშე.

რისკების შეფასება, კლასიფიკაცია და მართვა

ჩვენ ყოველკვარტალურად ვაანალიზებთ და განვასახელებთ BP საქართველოს რისკების რეესტრში ასახულ ინფორმაციას. ასეთი ანალიზი მიზნად ისახავს სხვადასხვა დისციპლინის სპეციალისტების გაერთიანებას, რათა მათ ერთობლივად გადასინჯონ მანამდე არსებული რისკები, გამოავლინონ რისკების ახალი შესაძლო სცენარები და, მათი გათვალისწინებით, გააუმჯობესონ რისკების პრევენციისა და შერბილების ღონისძიებები. კომპანიის ხელმძღვანელობა სრული შემადგენლობით მონაწილეობს რისკების გაანალიზების პროცესში. BP-ის მოთხოვნების შესაბამისი თანმიმდევრული პროცესის გამოყენებით, რისკებს ვახარისხებთ მათი მნიშვნელობის მიხედვით და ვატარებთ რისკების მართვის სათანადო ღონისძიებებს.

ინციდენტების გამოწვევი ძირითადი მიზეზების კვარტალური ანალიზი

ჩვენ ვიძიებთ ყველა ინციდენტს, ვაკეთებთ სათანადო დასკვნებს და ვითვალისწინებთ მიღებულ გამოცდილებას. ჩვენ ასევე ვმოვილოთ ინციდენტების გამოწვევი ძირითადი მიზეზების კვარტალური ანალიზი, რომელშიც მონაწილეობენ ექსპლუატაციის, ტექნოლოგიის, პროექტების, საინჟინრო-ტექნიკური და HSE სფეროების ხელმძღვანელი პირები. ინციდენტების გამოწვევი ძირითადი მიზეზების გამოვლენა და ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, დავიგეგმავთ და სპეციალურ პროგრამაში აისახა გაუმჯობესების ღონისძიებები. პროგრამის შემდეგ, მომავალში გაკონტროლდება ამ ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობა, რომლის საბოლოო შედეგი კომპანიის მასშტაბით ინციდენტების რიცხვის თანდათანობით კლება უნდა იყოს.

სამუშაოს კონტროლი


2012 წლის ნოემბერში ჩატარებულ სამუშაოს კონტროლის სფეროში არსებული ნაკლოვანებების შეფასება, რომლისთვისაც ვიხელმძღვანელებთ BP ჯგუფის დადგენილი სტანდარტის (GDP) განახლებული ვერსიით, რომელიც თორმეტი ელემენტისგან შედგება. მასში თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული კომპანიის მიდგომა ამა თუ იმ კონკრეტული სამუშაოს თანხლები რისკების მართვის საკითხში და იგი წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს ჩვენი თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისათვის, რომლებიც სამუშაოებს BP-ის დავალებით ასრულებენ.

ამ შეფასებას წინ უძღოდა ვიზიტები ჩვენს ობიექტებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ BP საქართველოს ხელმძღვანელი პირები და რეგიონალური დანაყოფის ექსპლუატაციის ჯგუფები, აგრეთვე რეგიონში სამუშაოს კონტროლის სფეროზე პასუხისმგებელი BP-ის უფლებამოსილი პირები.

რეგიონალური მასშტაბით მოქმედი შეფასების სისტემის შემუშავებით, ჩვენ დავადგინეთ, რომ ჩვენი საქმიანობა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. ჩვენ მოვამზადეთ შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები ვგება, რომელიც უნდა განხორციელდეს ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე და მომავალშიც ვავარძლებთ მუშაობას სამუშაოს კონტროლის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიმართულებით.

ჩვენი კონტრაქტორების საქმიანობის მართვა

აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე 2008–2012 წლებში (ყოველ ორას ათას ნამუშევარ საათზე)



ჯონ პაიპი MQS-ის მენეჯერი

ობიექტზე ვიზიტის დროს ჩემი პირველი რეაქცია იყო კმაყოფილების და ერთგვარი კოლექტიური პასუხისმგებლობის, იმასთან დაკავშირებით, რომ „ერთი გუნდის“ პრინციპით, MQS თანამონაწილე ხდება იმ პროცესის, როცა ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენს ხედვებს, თუ როგორ შეიძლება მივაღწიოთ ერთ საერთო მიზანს, რომელსაც ეწოდება „უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა“.

ჩვენ გავატარებთ ზომები ჩვენი მუშაობის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით, ჩვენს სამუშაო ობიექტებზე არსებული უსაფრთხოების დონის ასამაღლებლად. ჩვენი ეს ძალისხმევა სათანადოდ დაფასდა, რამაც სტიმული მოგვცა, რომ გავაგრძელოთ მუშაობა ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემებისა და სამუშაოს კონტროლის მექანიზმების დასახელებად.



ჩვენი მუშაობის უსაფრთხოება და საიმედოობა, ნაწილობრივ, ჩვენი კონტრაქტორების შესაძლებლობებზე არის დამოკიდებული.

თანამშრომლობა კონტრაქტორებთან

ჩვენი, როგორც უსაფრთხო და საიმედო ოპერატორის წარმატება, ნაწილობრივ დამოკიდებულია ჩვენი კონტრაქტორების შესაძლებლობებსა და საქმიანობის შედეგებზე.

კვარტალში ერთხელ ვაწყობთ შეხვედრებს უსაფრთხოების სფეროს ხელმძღვანელი პირებისა და ჩვენი კონტრაქტორების მონაწილეობით. ამ შეხვედრებზე განვიხილავთ ჩვენი საქმიანობის პროცესში მომხდარ ინციდენტებს და ამ ინციდენტებიდან გამოვარდნილ დასკვნებს, საზგასმით გამოვყოფთ ყველაზე აქტუალურ საკითხებს და მთავარ გზავნილებს და ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას. წლის განმავლობაში ჩავატარებთ ორი ფორუმი კონტრაქტორი კომპანიების მმართველი რგოლის მონაწილეობით. ამ ფორუმებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხელმძღვანელობის როლს უსაფრთხოების დაცვის სფეროში, მათ ორგანიზაციებში უსაფრთხოების კულტურის ასამაღლებლად. ჩვენ კონტრაქტორების ხელმძღვანელ პირებს ვაძლევთ საშუალებას, რომ პირადად გაეცნონ მათი თანამშრომლების მუშაობას ჩვენს კუთვნილ ობიექტებზე. კონტრაქტორების მმართველი პირების მონაწილეობით მოვაწყვეთ ორი ასეთი ერთობლივი ვიზიტი ობიექტებზე, რომელთა ფარგლებში ახლო-დან გავეცანით ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე მიმდინარე სარემონტო და შედრეულების სამუშაოებს, აგრეთვე ბაქო-თბილისი-ჯიჯიანის ნავთობსადენის ობიექტებზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს. ამავე ვიზიტების დროს კონტრაქტორების ხელმძღვანელმა პირებმა უშუალოდ სამუშაოების შედეგზე ვეუბნებოდნ და შემსრულებლებთან განიხილეს მიმდინარე სამუშაოს თანხლები რისკები და ამ რისკების შემარბილებელი ზომები. გარდა ამისა, შემოწმდა სამუშაოს შესრულების პრაქტიკა, ტექნიკისა და აღჭურვილობის მდგომარეობა და ობიექტზე სისუფთავისა და წესრიგის მხრივ არსებული მდგომარეობა. გამოიკვეთა მთელი რიგი გასაუმჯობესებელი სფეროები და დაისახა კონკრეტული სამუშაო გეგმები. კონტრაქტორების ხელმძღვანელი პირების ფორუმზე მოხდა ამ ვიზიტების შედეგების გაზიარება კონტრაქტორების წარმომადგენელთა ფართო წრესთან.

ჩვენ ასევე ვმუშაობთ ჩვენი კონტრაქტორების თანამშრომლებთან, რომლებიც ასრულებენ კონკრეტული სამუშაო ნებართვით გათვალისწინებულ სამუშაოზე პასუხისმგებელი პირის (Performing Authority) ფუნქციას და რომელთა მოვალეობებში შედის კონკრეტული დავალების შესრულება, დამტკიცებული პროცედურების მიხედვით და რისკების შესამცირებლად შეთანხმებული ღონისძიებების სრულად გათვალისწინებით. კომპანიის ხელმძღვანელობამ გამართა ექვსი შეხვედრა თერთმეტ ძირითადი კონტრაქტორის მენეჯერებთან, სამუშაოების შედეგზე ვეუბნებოდნ და კონკრეტულ სამუშაოებზე პასუხისმგებელი პირებთან, რომელთა მიზანი იყო იმის შეხსენება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტულად ამ ფუნქციის შემსრულებელი ადამიანების სამუშაო მთლიანად ბიზნესისთვის და რომ მათ გააჩნიათ სრული უფლება, რომ შეაჩერონ სამუშაო, თუ ის უსაფრთხო არ სრულდება.

2012 წელს კონტრაქტორებისთვის განკუთვნილი ყოველწლიური ჯილდო გადაეცა სამ კომპანიას, რომლებმაც უსაფრთხოების სფეროში სამაგალითო შედეგები აჩვენეს. ესენია:

- GHG Global Operations International Inc., ვერტმფრენით ფრენების სერვისის მოწოდებელი კონტრაქტორი – საავიაციო უსაფრთხოების წესების მოთხოვნების შედეგად შექმნილი შერეული უსაფრთხოებისა და საავიაციო სიტუაციებზე რეაგირების საწვრთნელ ღონისძიებებში მათი აქტიური მონაწილეობისათვის.
- შპს „აიდიხი“ – ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და მდინარე არაგვის გადაკვეთაზე, ნავთობსადენის სტაბილიზაციის სამუშაოებისა და მეწყერსაშიში უბნების გასამაგრიებელი გაბიონის კედლების მოწყობის სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებისთვის.
- შპს „მაღოპავიკი“ – საქართველოში BP-ის ავტოსატრანსპორტო მომსახურების უსსვილესი კონტრაქტორი – 2012 წლის განმავლობაში, ავტოსაგზაო შემთხვევების გარეშე, სამი მილიონი კილომეტრის გავლისთვის.

ავტოსაგზაო მოძრაობის უსაფრთხოება

საქართველოში ავტოსაგზაო მოძრაობა კვლავ ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მაღალრიცხოვანი სფეროა რჩება, რადგან BP-ისა და კონტრაქტორების თანამშრომლებს უხდებათ ინტენსიური მოძრაობა ავტოსატრანსპორტით, იმ საფრთხეების პირობებში, რომლებიც მოცემულ რეგიონში საგზაო მოძრაობისთვის არის დამახასიათებელი. ჩვენ აქტიურად ვუწევთ პროპაგანდას საგზაო უსაფრთხოების მთელი კომპანიის მასშტაბით და ასევე ვახორციელებთ საგზაო უსაფრთხოების მხარდაჭერა ინიციატივებს ადგილობრივ მოსახლეობაში.

2012 წელს კომპანიის თანამშრომლებმა და კონტრაქტორებმა ცხრა მილიონზე მეტი კილომეტრი დაფარეს ავტოსატრანსპორტით. წლის განმავლობაში მომხდარი ექვსი ავტოსაგზაო შემთხვევიდან არც ერთი არ იყო „მძიმე“ კატეგორიის. ტრენინგებისა და შემოწმების უწყვეტი პროცესის შემდეგობით, ჩვენ თანმიმდევრულად ვახორციელებთ „BP-ის ავტოსატრანსპორტის მართვის უსაფრთხოების სტანდარტს“ და ჩვენი „უსაფრთხო მართვის წესების“ პროგრამას.

2012 წელს რამდენიმე ღონისძიება გავატარებთ მართვის უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით. კერძოდ, კონტრაქტორების შორის დაგვირგვინებთ BP-ის მოთხოვნები მართვის უსაფრთხოების სფეროში, შევიმუშავებთ მათი მართვის უსაფრთხოების შემდგომი გაუმჯობესების გეგმა და კონტრაქტორებისთვის ჩავატარებთ სავიდეო მართვის უსაფრთხოების სტანდარტის საკითხებისადმი მიძღვნილი სემინარი. ჩვენი რამდენიმე საკითხი, მაგალითად, აუცილებელია კომპანიის BP-ის მოთხოვნებთან შესაბამისობა შეამოწმოს მართვის უსაფრთხოების სფეროს სპეციალისტებმა ბაქოში. შემოწმების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, მაგალითად, აუცილებელია, რომ კონტრაქტორებმა სათანადოდ მდგომარეობაში მოიყვანონ მათი კუთვნილი რამდენიმე ავტოსატრანსპორტო საშუალება. ჩვენი მართვის პრაქტიკის

თანამშრომელთა ინდივიდუალური შრომის უსაფრთხოება

ჩვენ რეგულარულად ვახორციელებთ სხვადასხვა ღონისძიებებს თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.



თორნიკე თოდრაია: "Challenge" პროგრამის პირველი ქართველი მონაწილე BP საქართველოში

2012 წლის სექტემბერში, BP საქართველოს შრომის უსაფრთხოებისა და განმრთვლების დაცვის განყოფილების თანამშრომელი გახდა თორნიკე თოდრაია – საქართველოში პროგრამა Challenge-ის პირველი ქართველი მონაწილე. Challenge არის BP-ის დასაქმების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა დასაქმებას კონკრეტულ დისციპლინებში და მათ ჩამოყალიბებას კვალიფიციურ და დამოუკიდებელ პროფესიონალებად, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ BP-ის მომავალ წინსვლასა და წარმატებაში.

თორნიკე 24 წლისაა. 2007 წელს წარჩინებით დაამთავრა ამერიკული აკადემია თბილისში და სრული აკადემიური სტიპენდია მიიღო აშშ-ის ვესტ პოინტის სამხედრო აკადემიაში ჩასარიცხად, რომელიც 2011 წელს დაამთავრა და მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი მენეჯმენტში. ინდივიდუალური უსაფრთხოებისა და რისკების მართვის საკითხებს თორნიკე პირველად სამხედრო აკადემიაში გაეცნო. ის სამხედრო აკადემიაში ნაწარმოებულ ერთ-ერთ მთავარ პრინციპს იხსენებს – "თითოეული ადამიანი უსაფრთხოების თანამშრომელია", რაც იმას ნიშნავს, რომ უსაფრთხო გარემოს შექმნა და საკუთარ და სხვების უსაფრთხოებაზე ზრუნვა თითოეული ადამიანის უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს. აშშ-ში სწავლის პერიოდში, თორნიკე აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მონაწილეობდა "ამერიკის კიბოსთან ბრძოლის საზოგადოებისთვის" შემოქმედებულ-ბების შეგროვების კამპანიაში, ირიცხებოდა ნიუ იორკის შტატში სპეციალური ოლიმპიური თამაშების მოწყობის საორგანიზაციო გუნდში, სამხედრო აკადემიის ფეხბურთის გუნდში თამაშობდა ნახევარდაცვაში და გაწყვეტილი იყო სათხილამურო და ნადირობის მოყვარულთა კლუბებში.

2011 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, თორნიკემ მუშაობა დაიწყო კომპანია "ენკორეჯი", პროექტების კოორდინატორად. ამ თანამდებობაზე მას მოუხდა მუშაობა BP-ის რამდენიმე პროექტზე, ამავე პერიოდში დაინტერესდა BP-ში დასაქმების პერსპექტივით და შეიტანა განაცხადი Challenge პროგრამის ფარგლებში გაჩენილ ვაკანსიაზე, კომპანიის შრომის უსაფრთხოებისა და განმრთვლების დაცვის განყოფილებაში.

ამჟამად თორნიკე აქტიურად არის ჩართული ამ განყოფილების საქმიანობაში, რაც მისი პროფესიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის ნაწილია. ის ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ჯგუფთან არის მიმაგრებული და აქტიურად ეცნობა ნავთობსადენთან დაკავშირებულ საფრთხეებს და ამ საფრთხეების დარეგულირებასა და შემცირების მექანიზმებს. მის სწავლებაზე ზრუნავს განყოფილების ხელმძღვანელები და ასევე სხვა თანამშრომლები. თორნიკე BP-შიც აგრძელებს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში – ის იყო BP-ის განსარი ცხოვრების ინიციატივის – "Ran-A-Muck"-ის გუნდის წევრი და თამაშობს ბაქო-სუფსის მილსადენის ფუსალის გუნდში.

"ჩვენ დიდი სიამოვნებით მივიღეთ თორნიკე BP საქართველოს ოჯახში. ჩვენი განყოფილება მზად არის, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მის პროფესიულ წინსვლას და ვუსურვებთ მომავალ წარმატებულ კარიერას BP-ში", აცხადებს დიმი კალმეიკოვი, BP საქართველოს შრომის უსაფრთხოებისა და განმრთვლების დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელი.

გაუმჯობესების წლიური გეგმის ფარგლებში, რომელიც წარსული გამოცდილების გათვალისწინებით არის შედგენილი, ჩვენ ვგეგმავთ, რომ წელიწადში ერთხელ ჩავეუბრებთ აუდიტო კონტრაქტორების ავტორიზაციის მართვის სფეროს. გეგმის შესრულების მიმდინარეობა ყოველთვიურად მოწმდება შრომის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის დეპარტამენტების წარმომადგენლების მიერ.

2012 წელს კონტრაქტორებისთვის ავამოქმედეთ ინტერნეტის ბაზაზე შექმნილი მგზავრობის დაგეგმვის პროგრამა, რომლითაც გაუმჯობესდება BP-ის სავსე ობიექტებისა და სადგურების მიმართულებით ავტორიზაციის გადაადგილების დაგეგმვისა და კოორდინაციის პროცესი. პროგრამაში გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორც გეგმვა არსებული მდგომარეობა და კლიმენტური პირობები. პროგრამა მიზნად ისახავს იმ საგარეო რისკების შემცირებას, რომლებიც 2011 წელს მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვით, მაგალითად, რეკომენდებულია, რომ შეიზღუდოს და მხოლოდ გარდაცვალებული აუცილებლობით შემოიფარგლოს ავტორიზაციის გადაადგილება ზამთრის პირობებში.

საინფორმაციო კამპანიები

უსაფრთხოების თემაზე

უსაფრთხოების ინციდენტების მაგალითზე სათანადო დასკვნების გამოსატანად და მომავალში მათი განმეორების თავიდან ასაცილებლად, BP-ის თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისათვის პერიოდულად ვატარებთ საინფორმაციო კამპანიებს მთავარი რისკებზე და უსაფრთხოების სხვა აქტუალურ საკითხებზე. 2012 წელს ასეთი საინფორმაციო კამპანიების თემატიკა იყო:

- გველეხისა და ნესტრიანი მწერებისგან დაცვის ღონისძიებები
- უსაფრთხოების წესები კიბით სარგებლობისას
- ავტორიზაციის მართვა ზამთრის პირობებში
- შენობების ელექტროუსაფრთხოება
- საინფორმაციო კამპანია მხუთავი აირის შესახებ.

იმის გამო, რომ რეგიონში მხუთავი აირით მოწამების რამდენიმე შემთხვევა აღინიშნა, ჩვენ ხუთასზე მეტ თანამშრომელს დაფორმებთ CO-ს დეტექტორები, სახლებში დასამონტაჟებლად.

საწარმოო პროცესის უსაფრთხოება

ინდივიდუალურ უსაფრთხოებასთან ერთად, ჩვენ ყურადღებას ვუთმობთ საწარმოო პროცესების უსაფრთხოებას, რაც ნიშნავს ჩვენი საოპერაციო სისტემებისა და საწარმოო პროცესების ურღვევობის მისაზრუნველს, რაც პროექტორების, საინჟინრო ტექნიკური, საექსპლუატაციო და ტექნოლოგიური მოწინავე მეთოდების გამოყენებით მიიღწევა.

ჩვენი უსაფრთხოების სფეროს სპეციალისტები ექსპლუატაციის პერსონალს ეხმარებიან საწარმოო პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების უკეთ გაცნობიერებაში. საწარმოო პროცესების რისკების შესახებ ვსაუბრებთ ჩვენს თანამშრომლებს სამუშაო წინა ინსტრუქციის დროს, ხოლო ობიექტებზე მომუშავე პერსონალს

მოეუწოდებთ, რომ განაცხადონ საწარმოო პროცესების უსაფრთხოების დარღვევის ყველა ინციდენტის შესახებ. მენეჯმენტის შეხვედრების რეგულარული განხილვის თემაა საწარმოო პროცესების უსაფრთხოების სფეროს ძირითადი ინდიკატორები, რომელთა უმეტესობა ეგრეთ წოდებული „წინსწრებითი“ ინდიკატორია, რაც ჩვენ მიერ დანერგული კონტროლის მექანიზმების გამართულობაზე მიუთითებს. ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში მომუშავე სხვა კომპანიების მსგავსად, რაც უფრო მეტ გამოცდილებას ვიძენთ, უფრო თანმიმდევრულად ვახდენთ საწარმოო პროცესების უსაფრთხოების მანიპულაციის ანგარიშგებას.

უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების აუდიტის რეკომენდაციები

შრომის უსაფრთხოების სწორად მართვისთვის აუცილებელია, რომ პროცესების გაუმჯობესებისკენ მიმართული ქმედებები დროულად და ეფექტიანად შესრულდეს. 2011 წელს BP ჯგუფის უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების სფეროს აუდიტორების მიერ ჩვენს ობიექტებზე ჩატარებული აუდიტის პროცესში სერიოზული შესაბამისობები არ გამოვლენილა, თუმცა აუდიტმა ზოგიერთი გასაუმჯობესებელი ღონისძიების რეკომენდაცია გასცა. მომხდლა ამ რეკომენდაციების შესრულების გეგმა და 2012 წელს დაგეგმილი ყველა ქმედება დროულად შესრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გეგმის 90% უკვე შესრულებულია, ხოლო დანარჩენი 10%-ის დასრულება 2013 წელს იგეგმება. ეს არის ამ პროცესში ჩართული სხვადასხვა სფეროს სპეციალისტების დაუღალავი შრომის, მკაცრი კონტროლის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ერთი გუნდის პრინციპით მუშაობის შედეგი.

კრიზისული სიტუაციების მართვა და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფა

2012 წელს მჭიდროდ ვთანამშრომლეთ BP ჯგუფისა და რეგიონის საოპერაციო და ფუნქციონალური დანაყოფების წარმომადგენლებთან და გავანალიზებთ ჩვენი ახლანდელი მიდგომა კრიზისული სიტუაციების მართვისა და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის საკითხში, BP ჯგუფის ახალი სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით. შედეგად, ჩვენ შევიმუშავეთ BP საქართველოს კრიზისული სიტუაციების მართვისა და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის სფეროში არსებული ნაკლოვანებების სია და სამომავლო გეგმა.

ჩვენ ასევე მოვამზადეთ და განვხორციელებთ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ახალი გეგმა, რომელიც BP საქართველოს მოქმედი ობიექტებისთვის არის განკუთვნილი. ახალი გეგმა არის უფრო მარტივი, უფრო კონკრეტული და უფრო ადვილად ერგება ობიექტის სპეციფიკას. გეგმაზე მუშაობის დასრულებისა და მისი დამტკიცების შემდეგ, კომპანიის ყველა ობიექტზე, მენეჯერებმა თავად გააგნეს გეგმის მოთხოვნები მათ დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს, რომელთაც გეგმის ასლებიც დაურიცხათ.

ავარიებისა და ნავთობის დაღვრის ინციდენტების პრევენცია

მარინა ვაშაკიძე

NRC-ის მენეჯერი საქართველოში

ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილი საწვრთნელი ღონისძიების ფარგლებში, ჩვენს კომპანიას – NRC-ის დაევალია ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებების უზრუნველყოფა, BP საქართველოს ინციდენტების მართვის ჯგუფთან შეთანხმებით. ჩვენთვის ეს იყო საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული ერთ-ერთი ყველაზე რთული, მაგრამ საინტერესო საწვრთნელი ღონისძიება.

სირთულე არ იყო დაკავშირებული ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ალტურვილობის განთავსებასთან, რადგან ამ მხრივ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული ჩვენს შესაძლებლობებში და პერსონალის კვალიფიკაციაში, გაგვიჩინა სათანადო ალტურვილობა და წლების განმავლობაში ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების არაერთი სტრატეგია გვაქვს დამუშავებული. სირთულე ძირითადად უკავშირდებოდა პარალელურად რამდენიმე ამოცანის შესრულებას, მათ შორის იყო კოორდინაცია და კომუნიკაცია სამთავრობო სტრუქტურებთან და სხვა მესამე მხარეებთან, საკოორდინაციო ცენტრის ინციდენტების მართვის სისტემასთან მორგება, ინავერსიული, ჩვენი საკუთარი და BP-ის ინციდენტების მართვის პროცედურების შედარებით დაცვა, და ბოლოს, რასაკვირველია, ჩვენი ალტურვილობისა და პერსონალის ფიზიკური განთავსება რამდენიმე უბანზე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ჩვენ მოგვიხდა რეაგირების ჯგუფებისა და ალტურვილობის მობილიზება ჩვენი ყველა რეაგირების ბაზიდან ისე, რომ შეგვენარჩუნებინა რეალურ ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების უნარი. ამ წვრთნების პროცესში გამოიკვეთა, თუ რომელი სფეროების გაუმჯობესება გვმართებს. გარდა ამისა, დადასტურდა საქართველოში BP-ის სრული მზადყოფნა ავარიულ სიტუაციებზე რეაგირებისთვის. ჩვენ ყველამ გარკვეული წვლილი შევიტანეთ მსხვილმასშტაბიან ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების თვალსაზრისით ქვეყნის პოტენციალის განმტკიცებაში.



ძალისხმევას არ ვიშურებთ, რომ უზრუნველვყოთ როგორც ჩვენი, ისე ჩვენი კონტრაქტორების მუდმივი მზადყოფნა ავარიულ სიტუაციებსა და ნავთობის დაღვრის ინციდენტებზე ქმედითი რეაგირებისთვის.



სამღვაო ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების საწვრთნელი ოპერაცია სუფსის ტერმინალზე.

ტრენინგი კრიზისული სიტუაციების მართვისა და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის სფეროში

საქართველოში რეაგირების ფუნქციის მქონე ჯგუფებს ჩუბარდა ტრენინგები კრიზისული სიტუაციების მართვის, ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სფეროებში. მათ შორის:

- სამდღიანი ტრენინგი სპეციალურად ექსპლუატაციის განყოფილების იმ თანამშრომლებისათვის, რომელთაც, ავარიული სიტუაციების დროს, შეიძლება დაევალოთ, რომ შემთხვევის ადგილზე ავარიის ლიკვიდაციის სამუშაოების ხელმძღვანელის ფუნქცია შეასრულონ.
- ტრენინგი საქართველოში ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფის წევრებისათვის და შესაბამისი სავარჯიშო ღონისძიება, პირობითად გაზრდილი პოლიტიკური და უშიშროების რისკების გათვალისწინებით.
- ორდღიანი ტრენინგი მსხვილმასშტაბიანი ინციდენტების მართვის საკითხში, საქართველოში ინციდენტების მართვის ჯგუფის ძირითადი წევრებისათვის. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს ჩუბარდათ ექვსი თეორიული სავარჯიშო და ინდივიდუალური შეფასებები.

რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე

2012 წელს BP საქართველოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების წვრთნების გეგმით გათვალისწინებული 151 საწვრთნელი ღონისძიება ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ღონისძიებები განსხვავდებოდა მასშტაბის, რისკების პროფილისა და მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით, ყველა მათგანი უსაფრთხოების ნორმების დაცვით ჩატარდა. თითოეული ღონისძიება დოკუმენტურად აღირიცხებოდა და მოკლე ინფორმაცია მათ შესახებ ვრცელდებოდა ყოველთვიურად, შესაბამის დასკვნებთან და გაუმჯობესების გეგმებთან ერთად. ზოგიერთი საწვრთნელი ღონისძიება პირველად ჩატარდა და მიზნად ისახავდა კონკრეტული სცენარებისა და რეაგირების სისტემების შესაძლებლობების გამოცდას. მაგალითად, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან ერთობლივად ჩატარებული წვრთნების სცენარი ითვალისწინებდა სამძებრო-სამაშველო ვერტმფრენის მობილიზაციას ჩვენს ობიექტებზე. გარდა ამისა, სუფსის ტერმინალზე

ჩატარდა სამღვაო საწვრთნელი ოპერაცია, რომლის სცენარი ითვალისწინებდა მასშტაბური უბედური შემთხვევის დროს დაჭრილი ხუთი ადამიანის დახმარებას და მათ ევაკუაციის ზღვაში მყოფი მცურავი საშუალებიდან, აგრეთვე მასობრივი მსხვერპლის შემთხვევებზე გათვლილი მარაგების შემცველი ტრიელერის მობილიზებას და მის განთავსებას გემბარისაზე. წვრთნების მიმდინარეობაში უჩვენა, რომ საჭიროა უფრო დაიხვეწოს რეაგირების პროცესის ზოგიერთი ელემენტი და იმ ოპერატიული პერსონალის უნარ-ჩვევები, რომლებიც ფარდობისშტაბიან ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში მონაწილეობენ. გარდა ამისა, მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს ნაყოფიერ თანამშრომლობას სახელმწიფო უწყებებთან და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სფეროს კონტრაქტორებთან.

2012 წლის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ჩვენი მონაწილეობა საქართველოს მთავრობის მიერ, ნატოს ხელმძღვანელობით ჩატარებულ საწვრთნელ ღონისძიებაში, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის მასშტაბით მსხვილ ავარიებზე რეაგირების უნარის გამოცდას. მას შემდეგ, რაც წინასწარ საორგანიზაციო შეხვედრებზე მუსტად განხილვით ჩვენი როლი ამ ღონისძიებაში, ჩვენს ნავთობის დაღვრაზე რეაგირების კონტრაქტორთან – NRC-სთან ერთობლივი ძალისხმევით, სრულ მზადყოფნაში მყოფი ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ალტურვილობა განვითარებთ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გასწვრივ სამ პუნქტში და აგრეთვე კუმისის ტბაზე. სექტემბერში ჩავერთეთ წვრთნებში, ოცდაათზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელთან ერთად. ჩვენ წარგზავნილი გვყავდა წარმომადგენლები სავსე სამეთაურო ცენტრებში და აგრეთვე მილსადენის მარშრუტზე მოწყობილი ოთხ პუნქტში, სადაც ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ალტურვილობა იყო მობილიზებული. ჩვენი მონაწილეობა წვრთნებში ნატოს მხრიდან მაღალი შეფასებით აღინიშნა და ამის დასტურად გადმოგვცა მადლობის სერტიფიკატები.

ზრუნვა თანამშრომლების

ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე

კარგი ჯანმრთელობა თანამშრომელთა მაღალი მოტივაციის შენარჩუნების და შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი საქმიანობის მაღალი მაჩვენებლების მიღწევის უზენიმველოვანესი წინაპირობაა.

თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა

თანამშრომელთა ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობა შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი საქმიანობის მაღალი მაჩვენებლების მიღწევის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ალექსანდრე ანთელავა
BP საქართველოს მრჩეველი
ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში

ჩვენ, როგორც ერთი გუნდი, ვზრუნავთ თითოეული ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ადამიანის კარგი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად საუკეთესო საშუალებაა ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების წესი. ამიტომაც, ჩვენ აქტიურად ვუწევეთ პროპაგანდას ჯანსაღი ცხოვრების წესს ჩვენს თანამშრომლებს შორის, რათა ისინი, სამსახურსა თუ სახლში, მუდამ საუკეთესო ფორმაში იყვნენ და შეინარჩუნონ კარგი ჯანმრთელობა კიდევ მრავალი წლის განმავლობაში.



შეხვედრა კონტრაქტორებთან სამშენებლო უბანზე.

ჯანმრთელობის რისკების შეფასება

BP-ის სპეციალური ელექტრონული პროგრამის – Healthmap-ის გამოყენებით, ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ ჯანმრთელობის რისკების შეფასებას, გამოვავლენთ ჯანმრთელობის სფეროში მოსალოდნელ საფრთხეებს და განვსაზღვრავთ მათ მასშტაბებს. წელს ჩვენ ასევე შევქმენით ჯანმრთელობის რისკების რეესტრი, როგორც BP საქართველოს მასშტაბით ჯანმრთელობის რისკების გამოვლენისა და მართვის ერთ-ერთი საშუალება, საიდანაც ინფორმაცია კომპანიის მთავარი რისკების რეესტრს მიეწოდება.

თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ჩვენ ფართო სპექტრის პროცესებზე გვაქვს დანერგული, მათ შორის, პროფესიული ვარვისობის შემოწმება, ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი და მთელი რიგი პროგრამები, რომლებიც ჩვენს ობიექტებზე სამრეწველო ჰიგიენის ნორმების დაცვას უზრუნველყოფს.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები და პროცესები

ჩვენ ჯანმრთელობის დაცვის არაერთი პროგრამა და პროცესი გვაგაჩნია. აქედან, 2012 წელს ჩატარდა:

- სამუშაო ადგილებზე მავნე საწარმოო ფაქტორების შემოქმედების დონის განსაზღვრა.
- პირველი სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმება, აგრეთვე მრავლობითი მსხვერპლის გამომწვევი ავარიების ლიკვიდაციის საგარეო ლონისძიება სუფსის ტრენინგებსა და 1-ლ ნავთობსაქაჩ სადღურზე.
- სურსათის უვნებლობის რეგულარული შემოწმება კომპანიის საწარმო ობიექტებზე, აგრეთვე სურსათის უვნებლობის ყოველწლიური აუდიტი. ჩვენ ასევე სისტემატურად ვაკონტროლებთ სასმელი წყლის ხარისხს.
- სამედიცინო მომსახურების კონტრაქტორის აუდიტი პროფესიული ჯანდაცვის სფეროში.
- პროფესიული ჯანდაცვის პროგრამები, მათ შორის, პირველი სამედიცინო დახმარება, პროფესიული ვარვისობის შემოწმება, კანის გამოკვლევის პროგრამა მაღალრისკული სამუშაოების შემსრულებელი თანამშრომლებისათვის (რომლებიც, მაგალითად, სისტემატურად მუშაობენ ქიმიკატებთან); ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების კონტროლი, მათ შორის, ტესტი აკრძალული ნივთიერებების მოხმარების ფაქტების გამოსავლენად.
- ჩავატარეთ თანამშრომლების პროფესიული ვარვისობის შემოწმება, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტების გამოვლენის ტესტები, სურსათის უვნებლობისა და სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის ლონისძიებები.
- სამედიცინო ტექნიკის ყოველწლიური დაკალიბრება და სერტიფიცირება, რომელსაც გარედან მოწვეული საერთაშორისო კომპანია ატარებს.

შრომის დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ტრენინგები. 2012 წელს თანამშრომლებისათვის ჩავატარეთ ტრენინგები შემდეგ საკითხებზე:

მუშაობა ქიმიურ ნივთიერებებთან; ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობის გამოყენება; ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ინციდენტების აღრიცხვის წესი. გარდა ამისა, ჩვენმა პროფესიონალმა სამედიცინო პერსონალმა გაიარა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების კურსები. მათ შორის იყო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა მსხვილმასშტაბიანი ავარიული სიტუაციების დროს, ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა თანამშრომლებისა და ხელმძღვანელი პირებისათვის.

2012 წელს ასევე ჩავატარეთ ჯანმრთელობის დაცვის კონკრეტული თემებისადმი მიძღვნილი რამდენიმე საინფორმაციო კამპანია:

- გამაჰანალებელი კამპანია – „Run-A-Muck“, რომელიც მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას, სახალისო შეჯიბრების ფორმით. წელს BP საქართველო პირველად შეუერთდა ჯგუფს ამ გლობალურ ინიციატივას და წარმოდგინდა იყო ორი გუნდით. თითოეულ გუნდში ათამდე თანამშრომელი იყო გაერთიანებული. მონაწილეები ყოველდღე ვარჯიშობდნენ და „ონლაინ“ პროგრამაში აღრიცხავდნენ ვარჯიშისთვის დათმობილი დროის ხანგრძლივობას.
- „ათი ათასი ნაბიჯი“ ინიციატივა, რომელიც მონაწილეებს აძლევს სტიმულს, რომ იაქტიურად გაიარონ მინიმუმ ათი ათასი ნაბიჯი დღეში და აღრიცხონ მათ მიერ დღის განმავლობაში ფეხით გავლილი მანძილები.
- ახალი ერგონომიკული ინიციატივა – „Remedy“, რომლის მეშვეობით გაანალიზდება, თუ რა ტიპის საქმიანობით არის დაკავებული ადამიანი, რა საგნებს იყენებს მუშაობისას და როგორ გარემოში უხდება მუშაობა. ერგონომიკის მოწესრიგება ხელს უწყობს კომფორტს, შრომის ნაყოფიერების, საიმედოობისა და კარგი განწყობის ამაღლებას. ამ ინიციატივის მიზნებისათვის, ჩვენ გამოვიყენეთ კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც აერთიანებს კითხვარებს, „ონლაინ“ შეფასებებს, ტრენინგებს და საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, რაც მიზნად ისახავს სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების შემცირებას, მაგალითად, მონოტონური მოძრაობებით გამოწვეული დაავადების პრევენციას.
- ჯანმრთელი გულის კამპანია – თანამშრომლები გაცნენ გულის ჯანმრთელობაზე ზრუნვის ძირითად წესებს, ჩავატარეთ მარტივი კვლევები, რომელთა პასუხების მიხედვით, ისინი შეძლებენ, რომ წლიდან წლამდე დააკვირდნენ ცვლილებებს. შეფასების კითხვარი შეიცავდა კითხვებს მათი ცხოვრების სტილის შესახებ, აგრეთვე ჩავატარეთ წონისა და სიმძლავის ობიექტური გამოვლენები და რამდენიმე პარამეტრის გამოვლა სისხლში.
- სემონური საინფორმაციო კამპანიები ისეთ თემებზე, როგორებიცაა, გრიპისა და გაციების პროფილაქტიკა, დაცვა სითბური დარტმისგან. 2012 წელს განსაკუთრებით გვაქტიურეთ ჯანსაღი ცხოვრების სტილის პროპაგანდა და ამ მიზნით ჩავატარეთ მრავალი შიდა და გარე სპორტული შეჯიბრება, მათ შორის, შეჯიბრი თხილამურებით სრიალში და ფუტსალის ჩემპიონატი.

გარემოს დაცვა

ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება.

ჩვენი მიზნები

ჩვენი საქმიანობა რეგულირდება გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის – ISO 14001-ის მიხედვით.

ჩვენ ვანალიზებთ და ვაკონტროლებთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეულ ზემოქმედებას გარემოზე – ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგსა და წყლის რესურსებზე და მუდმივად მივისწრაფვით, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი მაჩვენებლები.

ჩვენ ვეხმარებით კონტრაქტორებს, რათა მათი საქმიანობა ჩვენს გარემოსდაცვით სტანდარტებს მიესადაგებოდეს.

ამ თავში

ეკოლოგიური მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის – ISO 14001-ის შესაბამისი ოპერაციები.



ვცდილობთ შევამციროთ გარემოზე ჩვენი საქმიანობით მიყენებული ზემოქმედების მასშტაბები.



ეკოლოგიური მენეჯმენტი და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესების პროექტები.



წყლის ხარისხის მონიტორინგი სუფსის ტერმინალზე
სუფსის ტერმინალზე მიმდინარეობს ტანკრების ბალასტური წყლების ხარისხის შემოწმება.



გარემოს დაცვის მენეჯმენტი

გარემოს დაცვის სფეროში აღებული ვალდებულებების დაგეგმვასა და შესრულებაში გვეხმარება ჩვენი გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემა, რომელიც სისტემატურ შემოწმებას და გამოცდას ექვემდებარება.



ნიდაგის ნაყოფიერი ფენის დროებითი შესანახი ადგილი სამშენებლო უბანზე.

საერთაშორისო სტანდარტი ISO 14001 და სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილება

ვაგრძელებთ ჩვენი ობიექტების ექსპლუატაციას ჩვენი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის ფარგლებში (EMS), რომელსაც გავლილი აქვს სერტიფიცირება საერთაშორისო ეკოლოგიური მართვის სისტემის სტანდარტის – ISO 14001-ის მიხედვით. 2012 წელს სისტემაში წარმატებით გაიარა საგარეო აუდიტორული შემოწმება და ხელახალი სერტიფიცირება.

2012 წელს საქართველოში ჩატარდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის კრედიტორების რიგით მეთოთხმეტე აუდიტი, რომელსაც, კრედიტორების სახელით, დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტი ატარებს. აუდიტის მიზანია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის იმ გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესრულების მხრივ არსებული მდგომარეობის შემოწმება, რომლებიც ასახულია ექსპლუატაციის ეტაპის გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესრულების მხრივ არსებული მდგომარეობის შემოწმება, რომლებიც ასახულია ექსპლუატაციის ეტაპის გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესრულების მხრივ არსებული მდგომარეობის შემოწმება, რომლებიც ასახულია ექსპლუატაციის ეტაპის გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესრულების მხრივ არსებული მდგომარეობის შემოწმება.

BP-ის წარმოების მართვის სისტემა ჩვენ გვავალდებულებს, რომ შევძლიავენთ შევასრულოთ ყველა შესაბამისი მოთხოვნა ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების, უშიშროებისა და გარემოს დაცვის სფეროებში. ჩვენი ვალდებულებების შესრულების გასაკონტროლებლად ვიყენებთ ელექტრონულ ბაზას, რომლის მეშვეობით ვახდენთ კონკრეტულ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მუდმივ განახლებას, ამ ვალდებულებების მიწერას მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის და მათი შესრულების კონტროლს. 2012 წელს ვაგრძელებდა მუშაობა გარემოს დაცვის სფეროში არსებული ვალდებულებების რევიზიის, პრიორიტეტის განისაზღვრისა და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის მიმართულებით. ეს პროცესი შეეხო უკვე არსებულ ვალდებულებებს, თუმცა ასევე ჩატარდა ქვეყნის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ხელახალი შეფასება, ცვლილებების გათვალისწინებით.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები

სამხრეთ კავკასიური გამზადენის სისტემის გაფართოების პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ დაწერილობით აღწერს გარემოს ფონურ მდგომარეობას და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეებს საპროექტო ტერიტორიაზე. ასეთ ზემოქმედებას განეკუთვნება გაფრქვევები პროექტით გათვალისწინებული ორი საკომპრესორო სადგურიდან, რომელთაგან ერთი უნდა აშენდეს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, ხოლო მეორე – წალკის რაიონში, ზღვის დონიდან 1720 მეტრის სიმაღლეზე, გამის საკომპრესორო სადგურების ექსპლუატაციის თან ახლავს სათბურის აირების გაფრქვევები, წვის პროცესის შედეგად წარმოქმნილი გოგირდის და აზოტის ოქსიდების (SOx და NOx) გამოყოფა, ხმაური, ვიბრაცია და ვიზუალური ზემოქმედება. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში შემუშავებული სრულფასოვანი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ზემოქმედების ეს სახეები, მათი მნიშვნელობის მიხედვით, დაბალ ან საშუალო კატეგორიას განეკუთვნება.

2012 წელს მომზადდა დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიში, რომელშიც აღწერილია გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, მათ შორის, ზემოქმედება მიწათსარგებლობაზე იმ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, რომლებიც მილსადენის შეცვლილ მარშრუტზე მდებარეობს. ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის საკითხებისა და გარემოსდაცვითი ფაქტორების გავლენით, აგრეთვე ზოგიერთი საინჟინრო-ტექნიკური მოთხოვნის გათვალისწინებით, მილსადენის თავდაპირველმა მარშრუტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა.

კონტრაქტორების საქმიანობის მართვა

ჩვენ ვთანამშრომლობთ კონტრაქტორებთან, რათა მათი საქმიანობა ჩვენს გარემოსდაცვით სტანდარტებს შეესაბამებოდეს. ჩვენი გარემოსდაცვითი ვგუფი მუშაობს შესყიდვების განყოფილებაში, რომ გარემოს დაცვის საკითხები სათანადოდ ისახოს კონტრაქტორებთან გაფორმებულ კონტრაქტებში. ჩვენ ვაღვნიშებთ გარემოს დაცვის იმ სტანდარტებსა და პრაქტიკას, რომელთა შესრულებაც მოეთხოვება ჩვენს კონტრაქტორებს. ჩვენ კონტრაქტორების პერსონალს ვუტარებთ ტრენინგებს ამ სტანდარტების შესრულების მეთოდებში. ჩვენ ვამტკიცებთ კონტრაქტორების გარემოსდაცვით გეგმებს, ვიდრე ისინი სამუშაოების შესრულებას შეუდგებიან. ჩვენ ასევე ვაკვირდებით სამუშაო უბნებზე მიმდინარე ფიზიკურ სამუშაოებს, ვამოწმებთ კონტრაქტორების შესრულებული სამუშაოს დასკვნით ანგარიშებს, რომლებიც ასახავს გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების მხრივ არსებულ მდგომარეობას.

ნარჩენების მართვა

ვაგრძელებთ მუშაობას ჩვენი ნარჩენების მართვის განკუთვნილი ტექნიკური საშუალებების დასახვეწადა.

ნარჩენების გადაამუშავებისა და უტილიზაციის ობიექტზე დაგეგმილ ახალი და ძძლავარი ნარჩენების დასაქმვაცხებელი დანადგარი, რომელიც განკუთვნილია ნარჩენის ხის, პლასტმასის, ნახშირი საბურავებისა და ჰაერის ფილტრების მოცილოების შესამცირებლად, რომლებიც ვერ კიდევ მილსადენის მშენებლობის დროიდან ინახება. სულ გათვალისწინებულია 11 კონტეინერი ჰაერის ფილტრების დაქმვაცხება და ნაგავსაყრელზე განთავსება, ხოლო 16 კონტეინერი პლასტმასი და 251 კუბური მეტრი ნახშირი საბურავები, დაქმვაცხების შემდეგ, მეორად დადამუშავებას დაექვემდებარება.

ნარჩენების ცენტრალური კოლექტორის ტერიტორიაზე მოვაწყვეთ ნარჩენი ქიმიური ნივთიერებების შესანახი ახალი საწყობი. ეს პროექტი მოზად ისახავს სათანადო პირობების შექმნას ნარჩენი ქიმიური ნივთიერებების ხანგრძლივად და უსაფრთხოდ შენახვისთვის.


ემისიებისა და ჩამდინარე წყლების მონიტორინგი

წინასწარ განსაზღვრული მონიტორინგის გეგმის მიხედვით, რეგულარულად ვზომავთ და ვაკონტროლებთ ჩვენი ობიექტების ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილ გაფრქვევებს ატმოსფერულ ჰაერში,

გარემოზე ზემოქმედების მართვა

საქართველოში ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებაში გარემოს დაცვის მიმართ ჩვენი სისტემური მიდგომები გვეხმარება.

2008–2012 წლებში დაღვრილი ნავთობის მოცულობა ლიტრებში



ნარჩენების დასაქუცმაცებელი დანადგარი ნარჩენების გადამუშავებისა და უტილიზაციის ობიექტზე.



83 კილოტონა
სათბურის აირის
პირდაპირი გაფრქვევები.

თხევადი ნარჩენების მოცულობებს და ხმაურის დონეებს. 2012 წელს შესრულდა საქართველოს მარეგულირებელი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნა, გაფრქვევებისა და ჩამდინარე წყლების მოცულობებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, 2012 წელს წყლის ობიექტებში ჩამშვებული თხევადი ნარჩენის მოცულობამ კრედიტორების მიერ დაწესებულ ნორმას გადააჭარბა. ჩვენ ჩავატარეთ სათანადო კვლევა, დავადგინეთ მიზეზები და გავატარეთ ზომები მომავალში მსგავსი დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

დავასრულეთ მუშაობა ორ პროექტზე, რომლებსაც „საქართველოს ენერჯოფექტურობის ცენტრთან“ ერთად ვახორციელებთ, საკომპენსაციო პროექტების სახით, რაც უკავშირდება ჩვენ მიერ წარსულში ამოტის ოქსიდის იმ ზღვრული კონცენტრაციების გადაჭარბებას, რომლებიც „გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმით“ იყო განსაზღვრული, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის კრედიტორების წინაშე აღებული ვალდებულებას წარმოადგენს. პროექტების ფარგლებში, მზის ენერჯიაზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი სისტემები დამონტაჟდა თბილისის 2013-ე საჯარო სკოლაში, რომელშიც სმენადაქვეითებული ბავშვები სწავლობენ, აგრეთვე თბილისში მდებარე ბავშვთა სოფელში – „SOS“. მესამე პროექტი, რომლის დასრულება 2013 წელს იგეგმება, ითვალისწინებს მზის ენერჯიაზე მომუშავე გათბობის სისტემის დამონტაჟებას და შენიშის თბოიზოლაციის სამუშაოების ჩატარებას თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში.

ეკოლოგიური მენეჯმენტი

ვაგრძელებთ დაკვირვებას BTC/SCP მილსადენების გასხვისების დერეფანში აღმოცენებულ მცენარეულ საფარზე. სპეციალურად გამოყოფილ ფართობებზე გადავრგვეთ მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე სახეობები. თერთმეტიდან რვა სახეობის შემთხვევაში მიღწეულ იქნა მინიმუმ 75%-ი გახარების კოეფიციენტი. ჩვენ ასევე ვაკვირდებით ინვაზიური სახეობების გამრავლების ტემპებს და ვახორციელებთ მათი გავრცელების საწინააღმდეგო მექანიკურ ღონისძიებებს, რომელთა მეშვეობით ხდება ინვაზიური სახეობების განადგურება და მათი ადგილობრივი მცენარეულობით ჩანაცვლებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ამ სამუშაოების შედეგები პერიოდულად მოწმდება როგორც შიდა კონტროლის მექანიზმებით, ისე გარეშე დამოუკიდებელი მხარეების მიერ, მათ შორის, პროექტის კრედიტორების სახელით მოქმედი დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტის (IEC) მიერ.

სპეციალურად შერჩეულ ცხრა ფართობზე გადარგული მერქიანი სახეობების გახარების კოეფიციენტზე გავლენას ახდენს მრავალი სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორისაა, ჰაბიტატის ტიპი, კონკრეტული სახეობების ადაპტაციის ხარისხი, აგრეთვე ჩვენგან დამოუკიდებელი ფაქტორები, მაგალითად, კლიმატური პირობები და ნიადაგი. 2012 წელს შერჩეულ უბნებზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, ფოთლოვანი და წიწვოვანი სახეობების ნერგების გახარების საშუალო მაჩვენებელი 54%-ით განისაზღვრა.

2012 წელს ასევე ჩატარეთ ჩვენი ტანკერების ბალასტური წყლების ხარისხობრივი კვლევა.

კვლევის ანგარიშის მიხედვით, ბალასტური წყლების სანიტარული და წყლის ხარისხობრივი მახასიათებლები (ჰიდროქიმიური, ჰიდროფიზიკური და ბიოლოგიური) აკმაყოფილებდა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, ანგარიში ასცენის, რომ ჩვენ მიერ გაანალიზებული ბალასტური წყლების ჩამშვება სუფსის ნავსადგურის აკვატორიაში არ გამოიწვევდა ადგილობრივი ეკოსისტემისთვის უცხო სახეობების ინვაზიას ან სხვა უარყოფით ზემოქმედებას.

ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესების პროექტები

ჩვენს ობიექტებზე მოდიფიკაციის ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას, ვცდილობთ არ დავაზიანოთ ბუნებრივი გარემო. მაგალითად, 2012 წელს, BTC/SCP მილსადენების მე-2 ნავთობსატეხი ადგურთან მისასვლელი ახალი გზის შშენებლობა დაგეგმეთ ისე, რომ დაცული ყოფილიყო საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობის ხეებისა და ბუჩქების ინდივიდები. მისასვლელი გზის სამი ალტერნატიული მარშრუტის შესწავლის შედეგად, საბოლოოდ შეირჩა ეკოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მიზანშეწონილი მარშრუტი, რომელიც, თავდაპირველ მარშრუტთან შედარებით, გაცილებით ნაკლები მასშტაბის ზემოქმედებას იქონიებს მაღალი ეკოლოგიური ღირებულების მქონე ჰაბიტატებზე.

ჩვენ ასევე ვუღმოდგინეთ და პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ ზედაპირის აღდგენის ღონისძიებებს, ბაქო-სუფსის მილსადენის გაყოფებით, 75 კმ სიგრძის მონაკვეთზე, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის სამუშაოების შესრულების დროს. ზედაპირის აღდგენის სამუშაოები შესრულდა პროექტის მიზნებისათვის დროებით დაკავებულ და ასევე დამატებით საჭირო მიწის ფართობებზე. გაჭრილი თხრილი მთელ სიგრძეზე ხელახლა შეივსო გრუნტით და მოხდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაბრუნება თავდაპირველ მდგომარეობაში. ჩვენ თითოეული მიწის ნაკვეთის შესაკუთრისგან მივიღეთ დადასტურება, რომ ზედაპირის აღდგენის ხარისხი მათთვის დამაკმაყოფილებელი იყო. ნარჩენების შეგროვება ხდებოდა ყოველი სამუშაო დღის ბოლოს, ამიტომ ტრასის არც ერთ მონაკვეთზე ნარჩენებით დაბინძურებას ადგილი არ ჰქონია.

ეკო-პრემიების პროგრამა

ჩვენს პარტნიორებთან ერთად, ავიღეთ ვალდებულება, რომ მომავალშიც დავაფინანსებთ ეკო-პრემიების პროგრამას, რომელიც რამდენიმე გარემოსდაცვითი ორგანიზაციის, სხვა ინსტიტუტებისა და მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობს. საქართველოს ახალი მთავრობა ამჟამად მუშაობს ამ ინიციატივის გაგრძელების გეგმებზე.

საზოგადოება

ჩვენი მიზანია, რომ ჩვენმა საქმიანობამ დადებითად იმოქმედოს საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებზე. ჩვენ ვაცნობიერებთ ჩვენი ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას და ვახორციელებთ ინიციატივებს, რომლებიც სასიკეთო შედეგების მომტანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე BP-ისთვის.

ჩვენი მიზნები

ჩვენი მიზანია, ღია და კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბება ჩვენი ობიექტების ახლომდებარე დასახლებების მოსახლეობასთან.

სოფლის მეურნეობის, სოფლის ინფრასტრუქტურისა და ბიზნესის განვითარების ინიციატივების მეშვეობით, ხელს ვუწყობთ ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას.

ჩვენი მიზანია, რომ უზრუნველვყოთ გრძელვადიანი სარგებელი საქართველოს მოსახლეობისთვის.

ამ თავში

კეთილგანწყობილ ურთიერთობას ჩვენი მილსადენებისა და ობიექტების სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან არსებითი მნიშვნელობა აქვს ურთიერთსასარგებლო საქმიანობისათვის.



ჩვენი „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას.



ჩვენი პროგრამები რეალურად უწყობს ხელს სოციალურ და ეკონომიკურ წინსვლას მთელი ქვეყნის მასშტაბით.



რძის გადამამუშავებელი საწარმო

ჩვენი ფინანსური დახმარებით გახსნილ რძის გადამამუშავებელ საწარმოში მომუშავე ქალები.



ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან

ჩვენ სისტემატური კავშირი გვაქვს ჩვენი მილსადენების სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან, რათა ხანგრძლივად შევინარჩუნოთ მათთან კონსტრუქციული ურთიერთობა.

ლიკა კვიწინაშვილი


BP საქართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი

ჩვენ არ ვიშურებთ ძალისხმევას, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მივაწოდოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მათ დაეხმარება, რომ დაიცვან საკუთარი უსაფრთხოება, გაუფრთხილდნენ გარემოს და ზიანი არ მიყენონ ჩვენს მილსადენებს. ჩვენ მივითვლით, რომ შევექმნათ გარემო, რომელშიც კომპანია აღიქმება, როგორც ყურადღებიანი მემობელი, რომელიც მუდამ მზად არის, რომ მოისმინოს მოსახლეობის პრობლემები და მოსაზრებები. მოსახლეობასთან სისტემატურ ურთიერთობას არსებითი მნიშვნელობა აქვს ურთიერთდობის, ურთიერთგაგებისა და ორმხრივი ზრუნვის ატმოსფეროს ჩამოყალიბებისათვის.



შეხვედრა მოსახლეობასთან წალკაში, SCP გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში.

საჩივრების სტატისტიკა 2012 წელს



კავშირი მოსახლეობასთან

ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის მიზნები და კომუნიკაციის ფორმები აღწერილია ჩვენს „მოსახლეობასთან ურთიერთობის გეგმაში“. ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები, რეგულარულად ხვდებიან მოსახლეობას, რათა მუდმივად იყვნენ ადგილობრივი მოვლენების საქმის კურსში. ისინი ისმენენ და აგვარებენ მოსახლეობის მხრად ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებით დასმულ საკითხებს, უსაუბრებია მოსახლეობას მილსადენების სიახლოვეს უსაფრთხოების წესების დაცვის აუცილებლობაზე და განუმარტავენ მილსადენების დერეფანში მოქმედ შეზღუდვებს. ყოველწლიურად, მოსახლეობას ვურიგებთ BP-ის კალენდარს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მილსადენების სიახლოვეს მოქმედი უსაფრთხოების წესების შესახებ. გარდა ამისა, 2012 წლის კალენდრის თემა იყო ნავთობი და გაზი და მათი წარმოშობის თეორიები.

წლის განმავლობაში ჩვენ განვახლებთ ჩვენი მონაცემთა ბაზა მილსადენების ახლომდებარე სოფლების შესახებ, რაც გვეხმარება, რომ უკეთ გავერკვეთ, თუ რა საკითხები შეიძლება წარმოიშვას მშენებლობის პროექტების განხორციელების დროს ან ყოველდღიური ექსპლუატაციის პროცესში, ან რა სიხშირით არის მიზანშეწონილი შეხვედრა ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობასთან. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მოსახლეობას შეიძლება შეექმნას დისკომფორტი მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ან მცირემასშტაბიანი სამშენებლო პროექტების განხორციელების პერიოდში, როგორც უმნიშვნელოვან არ უნდა იყოს ასეთი დისკომფორტი, მშენებლობით გამოწვეულ ზემოქმედებასთან შედარებით. 2012 წელს, მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობის პირობებში, დავარეგულირეთ და შეძლებისდაგვარად შევამცირეთ რამდენიმე მცირემასშტაბიანი მშენებლობის პროექტით გამოწვეული დისკომფორტი. ერთ-ერთი ასეთი პროექტი იყო BTC/SCP და WREP მილსადენებთან მისასვლელი გზის გაყვანა, რომელიც საჭირო იყო მილსადენის გარკვეულ მონაკვეთებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დასამონტაჟებლად.

ურთიერთობა მოსახლეობასთან სამხრეთ კავკასიური გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში

2012 წელს ჩვენი სამუშაოს უდიდესი ნაწილი დაეთმო მოსახლეობასთან ურთიერთობის სამხრეთ კავკასიური გამსადენის სისტემის გაფართოების პროექტის მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში. ჩვენ გავმართეთ „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშის საჯარო განხილვები, ოთხი საჯარო შეხვედრა მოსახლეობასთან (თბილისში, წალკაში, რუსთავსა და ახალციხეში), დავხმარეთ პროექტს მშენებელთა ბანაკისა და მილენის სასაწყობო მოედნებისათვის ოპტიმალური ტერიტორიის შერჩევის პროცესში, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა, საპროექტო ობიექტების სიახლოვე დასახლებულ პუნქტებთან და მოსალოდნელი ზემოქმედება მოსახლეობაზე. მუნიციპალიტეტებში, ტერიტორიულ ორგანოებსა და სოფლებში დავარაგეთ ბროშურები, რომლებიც შეიცავდა საჭირო ინფორმაციას როგორც ზოგადად პროექტის შესახებ, ისე პროექტისთვის საჭირო მიწაზე უფლებების მოპოვების პროცესის შესახებ. მოსახლეობაში გავავრცელეთ ანკეტები პროექტთან დაკავშირებით შენიშვნების, შეკითხვებისა და წინადადებების მისაღებად.

საჩივრებზე რეაგირება

ჩვენ გავაჩინა შესაბამისი პრეტენზიებზე რეაგირების მკაცრი განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ჩვენი მოსახლეობასთან ურთიერთობის სტრატეგიის ნაწილია. 2012 წელს სამი შემთხვევა გექონდა, როცა გარკვეული სამუშაოები მცირე ხნით შეფერხდა, მოსახლეობის მხრიდან გამოხატული უკმაყოფილების გამო.

ბაქო-სუფსის მილსადენზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე დაკავებული მძიმე ტექნიკის მოძრაობის გამო, დროებით მწყობრიდან გამოვიდა სოფლის გზა, რამაც ადგილობრივების უკმაყოფილება გამოიწვია. პრობლემა მალე მოგვარდა და სამუშაოები განახლდა, ხოლო კონტრაქტორს მიეცა მითითება, რომ მეტი სიფრთხილით მოეკიდოს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას გზებზე. ციხისჯვარში სასმელი წყლის მილის სარემონტო სამუშაოების დაგვიანების მიზეზით, მოსახლეობას დროებით შეუწყდა წყალმომარაგება, რის გამოც უკმაყოფილო მოსახლეობამ მცირე ხნით შეაფერხა ჩვენი სამუშაოები.

ადგილობრივ წარმოებისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

კითხვა: რა იქნა მიღწეული?

პასუხი: ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მესამე ფაზის სტრატეგიასა და მიდგომებს საფუძვლად დაედო პროექტის მიზანი – დაეხმაროს მოსახლეობას იმ უნარ-ჩვევების განვითარებაში, რომლებიც მათ დაეხმარება, რომ განახორციელონ თვითდახმარების პროექტები და უზრუნველყონ მათი მდგრადობა, მინიმალური გარეშე დახმარებით, და აიხსნა გარდაცვალების საკუთარი შემოსავლები და გაიუმჯობესონ პერსპექტივები. პროგრამამ საშუალება მისცა ცალკეულ ფერმერებსა და მოსახლეობის ჯგუფებს, რომ მონაწილეობა მიეღოთ ფართო სპექტრის პროექტებში, მათ შორისაა:

- ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების განვითარება;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაცია;
- სოფლის მეურნეობის განვითარება;
- ფერმერთა ჯგუფებისა და ასოციაციების შექმნა და დახმარება, აგრეთვე ახალი ბიზნესების დაწყება.

პროექტის ფარგლებში მიღწეული ძირითადი შედეგებია:

- განხორციელდა ეკონომიკური ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციის 30 პროექტი.
- რეაბილიტირებული სარწყავი არხებისა და სისტემის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ცხრა დასახლებაში 3198 ჰექტარი მიწის მორწყვა.
- გამოკითხული ფერმერების 68%-მა დაადასტურა, რომ მათ ნაკვეთებზე მოსავლიანობა გაიზარდა მინიმუმ 20%-ით, რაც პირდაპირ კავშირში იყო სარწყავი სისტემის მოწესრიგებასთან.
- მოსავლიანობის ზრდა იმ ხელი შეიწყო ოჯახების შემოსავლების ზრდას. შემოსავლების ზრდის მაჩვენებელმა CDI-ს აღმოსავლეთ სექტორში საშუალოდ 22%, ხოლო დასავლეთში 20% შეადგინა.
- გაიხსნა 11 სოციალური საწარმო, აქედან ცხრა საწარმო წარმატებით ფუნქციონირებს.
- სესხების სუბსიდირების სქემის ფარგლებში, ფერმერებზე გაიცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 257 სესხა.
- 635 ფერმერს ჩატარდა ტრენინგები მარკეტინგის საფუძვლებში. რამდენიმე მათგანმა გამოიყენა შექმნილი ცოდნა საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის გასაფართოებლად.
- 78 მცირე მეწარმეზე გაიცა ფინანსური დახმარება ახალი ბიზნესების დასაწყებად. გამოკითხვებმა უჩვენა, რომ გრანტის მიმდებარე შემოსავლები საშუალოდ 28%-ით გაიზარდა.

ჩვენი „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა“ ადგილობრივ ფერმერებს მეტი მოსავლის მიღებაში დაეხმარა.

„ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ (CDI) ფარგლებში, ჩვენ ვახორციელებთ მთელ რიგ პროექტებს, ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებისათვის.

ჩვენი კონტრაქტორის დასაქმების პრაქტიკა გააპროტესტეს მე-2 ნავთობსაგაჩი სადგურის სიახლოვეს მდებარე სოფელ ჭივჭავის მაცხოვრებლებმა, რომლებმაც მოითხოვეს, რომ კონტრაქტორს მეტი ადგილობრივი მაცხოვრებელი დაედასაქმებინა მიმდინარე სამუშაოებზე.

მათ თითქმის ორი დღის განმავლობაში გადაკეტეს ბანაკთან მისასვლელი გზა. ამ ინციდენტზე რეაგირების პროცესში ჩაერთვნენ BP-ის შესაბამისი დეპარტამენტები. მოსახლეობასთან გამართული საუბრების შედეგად ინციდენტი აღიკვეთა. ამის შემდეგ, ჩვენ მეტი კონტრაქტი დავაწესეთ კონტრაქტორების მიერ სოციალური საკითხების მართვაზე. ამ ინციდენტიდან გამომდინარე, ჩვენ შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა, რომელიც დაგვხმარდება, რომ დროულად გამოვავლინოთ და გადავტრაოთ ანალოგიური საკითხები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ჩვენს სხვა ობიექტებზე ქვეყნის ტერიტორიაზე.

ჩვენი ვცდილობთ, რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად მოვახდინოთ რეაგირება ყველა საჩივარზე. 2012 წელს შემოსული 23 საჩივრიდან 21 მოგვარებულია.

ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:

- სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
- სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა: ფერმერები ჯგუფებად ერთიანდებიან გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად და თანაბრად იყოფენ შემოსავალსა და ხარჯებს. ისინი გეგმავენ და ახორციელებენ ერთობლივ საქმიანობას და ორგანიზებას უწევენ ტრენინგებს. გარდა ამისა, ცალკეული ფერმერების შინამეურნეობების ბაზაზე მოწყობილია სადემონსტრაციო ფერმები, რომლებიც ხელს უწყობს სოფლის დანარჩენი მოსახლეობის დაინტერესებას და ჩართვას ცოდნის შექმნის პროცესში.
- შემოსავლების ზრდის სტიმულირება მიკროკრედიტების გაცემის გზით: CDI-ს ფარგლებში

რამდენიმე ბენეფიციარი სოფლის ფერმერებს ხელი მიუწვდებოდათ საკრედიტო რესურსზე, სუბსიდირებული ავარადი სესხების პროგრამის მეშვეობით.

- სათემო ორგანიზაციების გაძლიერება, რათა მათ უფრო ეფექტურად განახორციელონ გრძელვადიან შედეგებზე გათვლილი ინიციატივები.
- მცირე ბიზნესების წამოწყების ხელშეწყობა, რაც მოიცავს ტრენინგების ჩატარებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ბიზნესის დაგეგმვა, ბაზრის ფუნქციონირების პრინციპები, „ღირებულების ჯეკინის“ („Value Chain“) ცნების განმარტება, პროდუქცია და ფასი, პროდუქტის ცნება და ფასწარმოქმნის მეთოდოლოგია, რეალიზაცია და მარკეტინგი. სამოცდახუთმეტ მეწარმეს გაეწია დახმარება და შეიქმნა 58 ახალი მცირე ბიზნესი, მათ შორისაა, სოფლის ბაზრობები, მესაქონლეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის ფერმები და მცირე სახელოსნოები.
- სოციალური საწარმოების შექმნა, რაც სათემო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-ინიციატივების მხარდაჭერას ითვალისწინებს. ამ პროექტების მთავარი მიზანია, რომ შეიქმნას იმ ტიპის მომსახურება, რომელიც ზუსტად პასუხობს ამა თუ იმ სოფლისა თუ თემის საჭიროებებს, ხოლო საწარმოდან მიღებული შემოსავალი ამავე მოსახლეობას მონხმარდეს.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მეოთხე ფაზა 2012 წლის მაისში დაიწყო. პროგრამის „ნაციონალიზაციის“ სტრატეგიის გათვალისწინებით, პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორებად შეირჩა ორი ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია. ინიციატივის მიმდინარე ფაზას საფუძვლად დაედო წინა ფაზის წარმატებული შედეგები, რომლებმაც რეალური სიკეთე მოუტანა არაერთ ადგილობრივ მაცხოვრებელს, რომლის პრაქტიკული მავალითები ქვემოთ არის აღწერილი.



ჩვენი სოციალური პროგრამები და ინიციატივები



ანა ბოგვერაძე

ბოგვერეთის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჯგუფის წევრი

ჩვენი შედეგად შედეგს ხედავენ ადამიანებისათვის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ზრუნვა გარემოზე. ვფიქრობ, ჩვენმა მცდელობამ შედეგი გამოიღო, ხოლო ჩვენი გუნდური მუშაობით, დისციპლინითა და მონდომებით ხალხის მოწონება დავიმსახურეთ. ჩვენმა პრეზენტაციამ სკოლის მოსწავლეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მათ გარემოს დაცვის საკითხების მიმართ ინტერესი აღუძრა.

გიორგი აბულაშვილი

საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრის დირექტორი

უკანასკნელი წლების განმავლობაში, BP სულ უფრო მეტად აქტიურებს ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ასპარეზზე და გასაკვირი არ არის, რომ კომპანია მონაწილეობს ეკოლოგიურად სუფთა ენერჯის წყაროების შექმნაში და მზარს უცვლელ ენერგოდამზომველი ტექნოლოგიების გამოყენებას. უბრალოდ ეს BP-ის, როგორც გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესის, პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია.



63,000

ათასი ადამიანი გაეცნო ინფორმაციას ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შესახებ.

ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით, რამდენიმე ორგანიზაცია, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ახორციელებს ფართო სპექტრის სოციალურ პროექტებს, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე არის გათვლილი.

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მეოთხე ფაზა (CDI 4) მიზნად ისახავს კეთილ-განწყობილი ურთიერთობის გაღრმავებას კომპანიასა და BTC/SCP მილსადენების მარშრუტის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის და ითვალისწინებს სოციალური საწარმოების, აგრარული წარმოებისა და რეგიონალური აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობას. დღევანდელი მდგომარეობით:

- დასრულდა სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ცხრა პროექტი.
- 88 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე შეიქმნა სადემონსტრაციო მეურნეობა.
- 48 გრანტის მიმღებმა დაიწყო 34 მცირე ბიზნესი.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გაიგა 108 სესხი.

მცირე ბიზნესის განვითარება

2012 წელს ჩატარებული ტენდერის მეშვეობით, სკაუტური მოძრაობის ადგილობრივი ორგანიზაცია შეირჩა პარტნიორად, რომელიც „მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის“ მომდევნო ორწლიან ეტაპს განახორციელებს. პროექტი მოიცავს 116 სოფელს და იძულებით გადაადგილებულ პირთა ოთხ დასახლებას აღმოსავლეთ საქართველოში და 60 სოფელს დასავლეთ საქართველოში. პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია მცირე ბიზნესების დაწყების მსურველთათვის საჭირო ცოდნის გადაცემა და ფინანსური დახმარება, რაც ხელს შეუწყობს ოჯახების შემოსავლების ზრდას და მათი კეთილდღეობის ამაღლებას. გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს უნარ-ჩვევების განვითარების ტრენინგებს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებების სკოლების მოსწავლეებისათვის და მათ გათვითცნობიერებას გარემოს დაცვის აქტიურ საკითხებში.

ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარება

2012 წელს დავასრულეთ ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ახლომდებარე დასახლებების მოსახლეობისათვის. პროგრამაში, რომელიც სკაუტური მოძრაობის საქართველოს ორგანიზაციის ხელმძღვანელობით განხორციელდა, ჩართო დაახლოებით 44 სკოლის 1700 მოსწავლე და 40 მასწავლებელი. მათ მონაწილეობა მიიღეს საინფორმაციო კამპანიაში, ტრენინგებსა და ლონისძიებებში, რომლებიც მიზნად ისახავდა მოსწავლე-ახალგაზრდობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, რათა მათ დამოუკიდებლად გადაჭრან მათი დასახლებების წინაშე არსებული გარემოსდაცვითი პრობლემები. მათ ასევე შეიძინეს აუცილებელი ინდივიდუალური უნარ-ჩვევები, რომლებიც ცხოვრების ყველა ეტაპზე გამოადგებათ.

ჩვენი შეფასებით, 1700 პირდაპირი ბენეფიციარის გარდა, პროგრამით არაპირდაპირ ისარგებლა დაახლოებით 3400-მა ადამიანმა. პროგრამის მთავარი მიღწევებია:

- „ლიდერობისა და სკაუტური მოძრაობის მსოფლიო გარემოსდაცვითი პროგრამის“ ეგიდით, 174

მოსწავლე დაესწრო ტრენინგებს ლიდერობის უნარებში. გარდა ამისა, სუთასზე მეტ მოსწავლეს ჩაუტარდა ინდივიდუალური უნარ-ჩვევების განვითარების კურსი, ხოლო ორმოცამდე პედაგოგმა გაიარა გადაამზადება სამოქალაქო განათლების საკითხებში.

- განხორციელდა 544 მცირემასშტაბიანი გარემოსდაცვითი პროექტი.
- 60 პროექტი დაფინანსდა მიკრო-გრანტებით.
- 173-მა მოსწავლემ გაატარა არდადეგები ორ საზღვარსა და ბანაკში, სადაც ახალგაზრდებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ თანატოლებისთვის გაეზიარებინათ მიღებული ცოდნა და გამოცდილება და დაეცვათ მომავალი პროექტები.

ენერგოეფექტური ტექნოლოგიები ადგილობრივი მოსახლეობისთვის

2012 წელს დავასრულეთ ენერგოეფექტურობის პროექტი, რომლის ფარგლებში მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ენერჯის უსაფრთხო და რაციონალურად გამოყენების მეთოდების შესახებ, აგრეთვე, ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და პროდუქციის შესახებ და გაცემის შედეგად შეეძინათ ცოდნა და გამოცდილება შეღავათიანი სესხი.

2012 წლის ივნისში დასრულებული პროექტის პირველი კომპონენტი, სახელწოდებით „ენერგოეფექტურობის“ შემდეგ ძირითად ლონისძიებებს მოიცავდა:

- ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე დანადგარების შესახებ, მათი მუშაობის პრაქტიკული დემონსტრირება და ინსტრუქტაჟი.
- ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შეძენით დაინტერესებულ ოჯახებზე მცირე სესხების გაცემა, ბანკების ადგილობრივი ფილიალების მეშვეობით;
- სესხით სარგებლობის წასახალისებლად შეღავათიანი პირობების შეთავაზება.



ჩვენი დახმარებით სოფლის საბავშვო ბაღი მზის პანელებით აღჭურვა.

პარტნიორობა უსაფრთხოებისათვის

ჩვენი პროგრამები ხელს უწყობს საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებას უსაფრთხოების საკითხებში.



გიორგი ღლონტი
პროექტის მენეჯერი, „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა სრულად ემხრობა BP-ის გრძელვადიან მიზანს, რომ ხელი შეუწყოს BTC და SCP მარშრუტების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ინიციატივა უზრუნველყოფს ხელსაყრელ საემიანი გარემოს შექმნას და აძლევს შესაძლებლობას ადამიანებს, რომ მაქსიმალურად ისარგებლონ გრძელვადიან შედეგებზე გათვლილი სოციალური ინვესტიციებით. ინიციატივა ხელს უწყობს მოსახლეობაში BP-ის, როგორც „კეთილი მეზობლისა“ და პარტნიორის იმიჯის დამკვიდრებას, რისი ნათელი გამოხატულებაც არის კომპანიის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის განწყობის შეცვლა. ნაცვლად უწინდელი „თქვენ უნდა მოგვცეთ“ დამოკიდებულებისა, ადამიანებს ექმნებათ განცდა, რომ „ჩვენ ერთობლივად შევძლებთ ამის გაკეთებას“. საჭიროა მოსახლეობასთან უკვე მიღწეული ნდობის, მათი გაზრდილი შესაძლებლობებისა და გამოცდილების სასიკეთოდ გამოყენება, დაინტერესებულ მხარეებთან გამჭვირვალე დიალოგისა და ურთიერთობის გაუმჯობესების გზით.

ირაკლი იზორია

დირექტორი, პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის

BP-მ უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ფონდის წარმატებულ მუშაობაში. კომპანიის ფინანსური მხარდაჭერით, ჩვენ განვახორციელეთ პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა მოზარდებს შორის საგზაო უსაფრთხოების წესების ცოდნის გავრცელებას, მუშაობას საკანონმდებლო ინიციატივებზე, ზოგადად საქართველოს საზოგადოების ინფორმირებას და დამოკიდებულების შეცვლას საგზაო უსაფრთხოების მიმართ. ვიმედოვნებთ, რომ BP მომავალშიც გააგრძელებს იმ ინიციატივების ფინანსურ მხარდაჭერას, რომლებიც გზებზე უბედური შემთხვევების რიცხვის შემცირებას ემსახურება.

პროექტის მიმდინარეობის სამი წლის განმავლობაში, ენერგოავტობუსმა დაახლოებით 63 ათას დამთავლირებელს უმასპინძლა და ორჯერ იმოგზაურა მთელი საქართველოს მასშტაბით, იმყოფებოდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სხვა დიდ ქალაქებში, აგრეთვე რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში.

პროექტის მეორე კომპონენტი იყო შეღავათიანი სამომხმარებლო ენერგოკრედიტების გაცემა მოსახლეობაზე, საყოფაცხოვრებო პირობებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დასაწერად. ამ მიზნით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) 6,6 მილიონი დოლარის ოდენობის შეღავათიანი საკრედიტო ხაზი გაუხსნა ორ კომერციულ ბანკს საქართველოში, ხოლო ენერგოკრედიტების სტიმულირებისთვის შეიქმნა სუბსიდირების სქემა, რომელიც BP-მ და მისმა პარტნიორებმა 0,2 მილიონი დოლარით დააფინანსეს და რომელიც შეძენილი ენერგოეფექტური პროდუქციის ღირებულების 15%-ის მომხმარებლისთვის დაბრუნებას ითვალისწინებდა. ბანკების მიერ სულ შეიქმნა მერე ენერგოკრედიტი გაიცა და მათმა ჯამურმა თანხამ ერთ მილიონ დოლარს გადააჭარბა. სუბსიდირების სქემის ფარგლებში გადახდილი თანხამ დაახლოებით 160 ათასი დოლარი შეადგინა.

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები საქართველოს მოსახლეობისთვის

BP-ის დაფინანსებით და „ენერგოეფექტურობის ცენტრის“ მონაწილეობით დაწყებული ახალი ინიციატივა ითვალისწინებს რამდენიმე (დაახლოებით 15-20) სადემონსტრაციო პროექტის განხორციელებას, ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და განახლებადი ენერჯის გამოყენებით. პროექტები განხორციელდება სპეციალურად შერჩეულ

საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში (საბავშვო ბაღებში, საავადმყოფოებში და ასე შემდეგ), ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. პროექტი მიზნად ისახავს, თვალნათლივ უჩვენოს მოსახლეობას ენერგოეფექტური პროდუქციისა და დანადგარების (მაგალითად, მზის პანელების, მიკრო ჰიდროელექტროსადგურების, ბიოგაზის დანადგარების და სხვა) პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები, რაც ხელს შეუწყობს ენერგოეფექტური ტექნოლოგიების მეტ პოპულარიზაციას და, ამასთანავე, CO₂-ის ემისიების შემცირებას.

პროექტის ფარგლებში უკვე განხორციელდა გარკვეული სამუშაოები, მათ შორის, დამონტაჟდა მზის ენერჯიაზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები სოციალურად დაუცველი ბავშვების სახლებსა და სკოლის შენობაში, აგრეთვე თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლაში. გარდა ამისა, ჩატარდა შენობების თბოიზოლაციის სამუშაოები, დამონტაჟდა ენერგოეფექტური ღუმელები, გამოიცვალა განათება და კარ-ფანჯარა შეიცვალა იზოლაციის მეტი ხარისხის მქონე მასალით. ამ პრაქტიკული ნაბიჯების გარდა, რომლებიც უფრო კომფორტული გარემოს შექმნას და ენერჯის დაზოგვას უზრუნველყოფს, პროექტი ასევე ითვალისწინებს საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას ენერგოეფექტურობის საკითხებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება საქართველოში: პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის

BP საქართველო 2008 წლიდან აფინანსებს ფონდის – „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ – საქმიანობას, რომელიც პოპულარიზაციას უწყევს საგზაო უსაფრთხოებას და ამ მიზნით ახორციელებს საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროექტებს.



ჩვენ მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მოზარდები, მთელი საქართველოს მასშტაბით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებს ეცნობიან.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ინიციატივების ფარგლებში, ჩვენ უამრავ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ.



ვახტანგ ბუცხრიკიძე

„თიბისი ბანკის“ მთავარი აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ბანკის – „თიბისი ბანკის“ ხელმძღვანელობამ გააცნობიერა, რომ პროექტების მართვის თანამედროვე მეთოდოლოგიის ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ თანამშრომლებმა მათ წინაშე დასახული ამოცანები შეასრულონ, დადგინდეს ვადების და ხარისხის სტანდარტების სრული დაცვით. ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ბანკს ესაჭიროებოდა დახმარება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ახალი პროექტების დაწყება, რესურსების მართვა, ხარისხის კონტროლი და სამუშაო პროცესების გაუმჯობესება.

2009 წლის შემდეგ, ბანკმა უამრავ თანამშრომელს მისცა შესაძლებლობა, რომ ესწავლათ პროექტების მართვის კოლეჯში და შეეძინათ უფრო სწრაფი და მოქნილი გადაწყვეტილებების მიღების უნარი იმასთან დაკავშირებით, თუ ბაზრისთვის რა ახალი პროდუქტების შეთავაზება იქნება მიზანშეწონილი. სწავლების კურსი იმდენად შედეგიანი აღმოჩნდა, რომ მას ესწრებოდნენ არა მხოლოდ პროექტების მენეჯერის თანამდებობაზე მომუშავე პირები, არამედ ბანკის სხვა თანამშრომლებიც, რომელთაც საკუთარი სახსრებით დაფარეს სწავლის საფასური.

კოლეჯის მსმენელებს შორის იყო ბანკის დირექტორთა საბჭოს ოთხი წევრი, მათ შორის გენერალური დირექტორი. კოლეჯის სასწავლო კურსის გაგვამდ დირექტორებს მისცა შესაძლებლობა, რომ პირადად გასცნობოდნენ, თუ რა უნარ-ჩვევებს იძენდნენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლები და რა სირთულეების გადალახვა უწევდათ მათ ამ პროცესში. გარდა ამისა, მათ აითვისეს ახალი მეთოდების დანერგვისა და გამოყენების საკითხები. დირექტორების მონაწილეობამ სასწავლო პროცესში საგრძნობლად შეუწყო ხელი კომუნიკაციის გაუმჯობესებას და პროექტების მართვის მძლავრი პოტენციალის შექმნას, ორგანიზაციის ყველა დონეზე, მმართველი გუნდის ჩათვლით.

„დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პროექტების მართვის კოლეჯი ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლო დაწესებულებაა საქართველოში, პროექტების მართვის სფეროში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ჩვენი ბანკის რამდენიმე შუალედური რგოლის მენეჯერი პროექტების მართვის კოლეჯის კურსდამთავრებულია, რაც პროექტების მართვის ხარისხზე დადებითად აისახება. გვსურს გამოვხატოთ მადლიერება BP-ის მიმართ ასეთი შესანიშნავი შესაძლებლობისთვის.“

ფონდი აქტიურად თანამშრომლობს სამთავრობო სტრუქტურებთან, ბიზნესებთან, მედიასთან და სამოქალაქო საზოგადოების ფართო წრეებთან და ატარებს კამპანიებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს გზებზე ავტოავარიებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და ტრავმების შემთხვევების შემცირებას.

ფონდის მიერ ჩატარებულ კამპანიებს შორის იყო საქართველოში უსაფრთხოების ღვედების პოპულარიზაცია. 2010 წელს საქართველოში ამოქმედდა კანონი, რომლის მიხედვით უსაფრთხოების ღვედების ხმარება სავალდებულო გახდა. დამოუკიდებელი მხარის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა უჩვენა, რომ უსაფრთხოების ღვედების მოხმარების მიჩვევები მკვეთრად არის გაზრდილი, რამაც ხელი შეუწყო სასიკვდილო შემთხვევების რიცხვის კლებას. 2012 წელს საქართველოში საგზაო უსაფრთხოების კულტურის ამაღლებაში შეტანილი წვლილის აღსანიშნავად, ორგანიზაციის მიენიჭა პრინც მაიკლის სახელობის საერთაშორისო პრემია საგზაო უსაფრთხოების სფეროში.

პარტნიორობის მიერ ასევე შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამა მოსწავლეებისთვის, რომელიც ეხმარება მოზარდებს, რომ აიმაღლონ ცოდნა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებში და უკეთ გააცნობიერებინა პოლიტური პროექტი განხორციელდა საქართველოს შვიდი დიდი ქალაქის 80 სკოლაში. კვლევებმა უჩვენა, რომ პროექტის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა საგზაო მოძრაობის წესების ცოდნის დონე მოზარდებს შორის. მუშაობა გაგრძელდა 12 წლამდე ბავშვებს შორის ავტოავარიებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და მძიმე ტრავმების შემთხვევების შემცირების მიმართული და ამ მიზნით საინფორმაციო და პრაქტიკული გაკვეთილები ტარდება, სპეციალურად მოწყობილ საგზაო მოძრაობის ცენტრში.

კიდევ ერთი პროექტი დევნობთ „იყავი ხილული, იყავი დაცული“ განხორციელდა თბილისში,

ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში და გზებზე ფეხით მოსიარულეთა დაღუპვის შემთხვევების რიცხვის შემცირებას ისახავდა მიზნად.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობა

ჩვენ ჩართული ვართ გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივის საქართველოს ქსელში, რომელიც წარმოადგენს ფორუმს საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის, რომელზეც ისინი ბიზნესსაზოგადოებას უზიარებენ დადებით გამოცდილებას, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის განხორციელების სფეროში. გლობალური შეთანხმების ინიციატივის მმართველი კომიტეტის თავმჯდომარედ 2012 წელს არჩეულ იქნა BP საქართველოს საგარეო ურთიერთობის დირექტორი. ფართო წარმომადგენლობითი ფორუმის წინაშე ჩვენი გამოვლას თემა იყო „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და საჯარო სექტორის როლი“.

არასამთავრობო სექტორის განვითარება

ჩვენ გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები, რათა გაზრდილიყო საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ჩვენი მხარდაჭერით მიმდინარე სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამებში.

მაგალითად, ქვემოთ აღწერილი „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ ფარგლებში, ჩვენ ხელი შევუწყვეთ ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებას, რათა მათ დამოუკიდებლად გაეგრძელებინათ პროგრამის განხორციელება. კონკურენტული ტენდერის გზით გამოვლინდა ორი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია – „ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი“ და „რეგიონალური განვითარების ასოციაცია“, რომლებიც უხელმძღვანელებენ „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ მეოთხე ფაზის განხორციელებას, რომელიც 2012-15 წლებში არის დაგეგმილი.



BP-ის მიერ დაფინანსებული პროექტების მართვის კოლეჯის კურსდამთავრებულები კოლეჯის გამოსაშვებ ცერემონიაზე.

განათლების ხელშეწყობა

მაია თევზაძე

საქართველოში სურსათის უვნებლობის გაუმჯობესების პროექტის ხელმძღვანელი, IFC Advisory Services

სოფლის მეურნეობის მდიდარი ტრადიციების მიუხედავად, 2005-2009 წლებში საქართველოში სურსათის იმპორტის მოცულობა გაორმაგდა, იმპორტის ღირებულებამ 87,8 მილიონი დოლარიდან 200 მილიონ დოლარს მიაღწია და მნიშვნელოვნად გადააჭარბა ექსპორტის ღირებულებას. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ქვეყანაში სურსათის უვნებლობის სათანადო სტანდარტების არარსებობა და ის ფაქტი, რომ სურსათის უვნებლობის საკითხებს ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ადგილობრივი მწარმოებლების მხრიდან.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ეს პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოში სურსათის უვნებლობის სტანდარტების დახვეწას და ამით ქართველი სურსათის მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. BP-ისა და პარტნიორების მხრიდან პროექტის თანადაფინანსების სახით გამოიყო 0,8 მილიონი აშშ დოლარი, პროექტის სამუშაოები პერიოდისთვის, რასაც დაამატა ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარება. ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი კონკრეტული სამუშაოები:

- სურსათის ქართველი მწარმოებლებისთვის გასაღების ბაზრებზე შესვლის შესაძლებლობების გაზრდა, სურსათის უვნებლობის საკითხებზე მათი ინფორმირების და პრაქტიკული რეკომენდაციების შეთავაზების გზით: პროექტის დასკვნით ეტაპზე სურსათის მწარმოებლების გამოკითხვებმა უჩვენა, რომ სურსათის უვნებლობის საკითხების ცოდნის დონე მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი და 390-ზე მეტმა კომპანიამ ამაღლა კვალიფიკაცია სურსათის უვნებლობის საკითხებში. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ კურსებსა და კონფერენციებზე 1180-ზე მეტმა ადამიანმა გაიარა მომზადება სურსათის უვნებლობის საკითხებში.
- სურსათის უვნებლობის სფეროს მართვის სისტემის დანერგვა საცდელ რეჟიმში, ამ სფეროში ადგილობრივი პოტენციალის განვითარების მიზნით: სისტემა წარმატებით დანერგა ოთხ კომპანიაში და ხელი შეუწყო ამ კომპანიების რეალიზაციისა და ინვესტიციების მოცულობის ზრდას. დაგეგმილი 4 მილიონი დოლარის ნაცვლად, ინვესტიციების საერთო მოცულობამ დაასაღებინა 22,9 მილიონი დოლარი შეადგინა.
- სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა და ამ სფეროს მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების კვალიფიკაციის ამაღლება, საერთაშორისო მოწინავე პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად: კავთა რეკომენდაციები სურსათის უვნებლობის საკითხების მარეგულირებელი ორი საკანონმდებლო აქტის მისაღებად, რომლებიც ამჟამად უკვე ამოქმედებულია. მარეგულირებელი ორგანოების მოხელეებს ჩატარდა ტრენინგები და კვალიფიკაციის ასაძლიერებელი კურსები.

„BP-ის მხრიდან სურსათის უვნებლობის პროექტის მხარდაჭერა ნათლად მეტყველებს კომპანიის სურვილზე, რომ თავისი წვლილი შეიტანოს თლიანად ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. BP და პარტნიორები აღნობიერებენ, რომ სურსათის უარყოფა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია. მათმა მონაწილეობამ მნიშვნელოვნად განაპირობა პროექტის წარმატება, სურსათის უარყოფის სექტორში სტანდარტების დახვეწის მიმართულებით“.



ჩვენ ვაგრძელებთ განათლების პროგრამებისა და ინიციატივების მხარდაჭერას საქართველოში.



IFC-სთან ერთად, მონაწილეობა მივიღეთ საქართველოში სურსათის უვნებლობის სტანდარტების დახვეწაში.

სტანდარტების დახვეწა პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად

ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ საერთაშორისო დახმარების სააგენტოებთან და კრედიტორ ორგანიზაციებთან, მათ შორისაა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD). გასულ წლებში IFC-სთან საქართველოში კორპორაციული მართვის სტანდარტების ამაღლების ინიციატივის ფარგლებში ვთანამშრომლეთ. ამჯერად, IFC-სთან ერთად დავაფინანსეთ სამუშაოები პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა სურსათის წარმოების სექტორში მოქმედი სტანდარტების დახვეწას, რაც მნიშვნელოვანია როგორც შიდა, ისე საექსპორტო ბაზრებისთვის.

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს ფინანსური მხარდაჭერა

ჩვენ ვმონაწილეობთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) საქმიანობაში, რომელიც BP-ის მიერ 2004 წელს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული „ვალდებულების“ ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი 300 ათასი დოლარის ოდენობის გრანტით არის დაფუძნებული. საბჭო თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ სხვა ბიზნესსაბჭოებთან, ვაჭრობისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით. ბიზნესსაბჭოს წევრები არიან: საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ამერიკის სავაჭრო პალატა, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია და ქართველ ექსპორტიორთა ასოციაცია. 2012 წელს ჩვენ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს საქმიანობა ვაშში 30 ათასი ევროთი დავაფინანსეთ, რაც ჩვენს საწევრო გადასახადსა და დამატებით სავაჭრო თანხს მოიცავს.

პროექტების მართვის კოლეჯი

პროექტების მართვის კოლეჯის (PMC) გახსნა მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფო და კერძო სექტორის ორგანიზაციების დახმარებას, პროექტების მართვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. კოლეჯის სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, მსმენელებს ენიჭებათ ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის პროექტების მართვის მაგისტრის სერტიფიკატი და ეძლევათ საფუძვლიანი ცოდნა, შემდგომში პროექტების მართვის პროფესიონალის (PMP) სერტიფიკატის მისაღებად, რომელსაც Project Management Institute (PMI) გასცემს.

კოლეჯმა ფუნქციონირების პირველი სამი წლის განმავლობაში 194 მსმენელი მიიღო. აქედან 174-მა კოლეჯი მაგისტრის სერტიფიკატი დაამთავრა, ხოლო 11-ს პროექტების მართვის პროფესიონალის სერტიფიკატი მიენიჭა. კოლეჯის სტუდენტების კონტინენტს შეადგენენ მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერები ასევე მეტი სხვადასხვა ორგანიზაციიდან, მათ შორის არიან როგორც კერძო კომპანიები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფო სექტორის კომპანიები. 2012 წლის ივნისში გაიმართა პროექტების მართვის კოლეჯის კურსდამთავრებულთა მესამე ნაკადის გამოშვების ცერემონია და 55 კურსდამთავრებულს მაგისტრის სერტიფიკატი გადაეცა.

2012 წელს პროექტების მართვის კოლეჯის დაფინანსება გავაგრძელებთ კიდევ ორი წლით და ამ მიზნით დამატებით გამოვყავით 0,55 მილიონი დოლარი. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მხრიდან კოლეჯის თანადაფინანსება 0,13 მილიონ დოლარს შეადგენს. ესკალური პროექტების მართვის კოლეჯის კურსდამთავრებულთათვის შემუშავდა პროგრამების მართვის ახალი სასწავლო გეგმა, რომელიც პროექტის მენეჯერის კვალიფიკაციის მქონე პირებს პროფესიონალური წინსვლის დამატებით შესაძლებლობებს სთავაზობს.

განათლების ხელშეწყობა

განათლების სექტორში ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა პროექტები, რომლებიც სწრაფ შედეგებზე იყო გათვლილი, მათ შორის, სკოლის შენობების რემონტი, აგრეთვე გრძელვადიანი ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლე ახალგაზრდებში მართვის უნარ-ჩვევების განვითარებას და მათი ცოდნის ამაღლებას, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას და პროექტების მართვის სფეროებში. საქართველოში განათლების სფეროს ხელშეწყობა დიდი ხანია ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა თბილისში

ჩვენ ვაგრძელებთ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) დაფინანსებას. სკოლა მიზნად ისახავს სწავლებისა და კვლევის უმაღლესი სტანდარტების დანერგვას ეკონომიკის სწავლების სფეროში სამხრეთ კავკასიის რეგიონში. 2012 წელს სკოლამ მიიღო სტუდენტების მემკვიდრე ნაკადი, რეგიონის რამდენიმე სხვადასხვა ქვეყნიდან.

BP საქართველო ციფრებში

ჩვენი მაჩვენებლები შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, კადრების მართვის და კომერციული საქმიანობის სფეროებში, 2008-2012 წლებში

საქმიანობის მაჩვენებლები	2008	2009	2010	2011	2012
ტრანსპორტირებული ნახშირწყალბადების საერთო მოცულობა (მილიონი ბარელი ნავთობის ეკვივალენტი)	281.4	349.7	346.5	313.8	300.7
სოციალური ინვესტიციები (მილიონი დოლარი) ^ა	8.0	8.5	8.2	3.4	3.2

შრომის უსაფრთხოება ^ბ	2008	2009	2010	2011	2012
BP-ის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა	0	0	0	0	0
BP-ის კონტრაქტორის დაღუპვის შემთხვევა	0	0	0	0	0
გაცდენილი სამუშაო დღეები (DAFWC) ^გ – პერსონალი ^დ	0	0	0	0	0
გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე (DAFWCF) – მხოლოდ ტრავმები ^ე – პერსონალი	0	0	0	0	0
აღრიცხვადი პროფესიული ავადმყოფობისა და ტრავმების შემთხვევები ^ვ – პერსონალი	5	3	0	1	1
აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე (RIF) ^ზ	0.26	0.17	0	0.07	0.06
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა ^თ	6	2	5	9	6
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე ^ი	0.71	0.25	0.71	1.12	0.66
ნამუშევარი დრო ^კ – პერსონალი	3,873,410	3,507,005	3,108,395	3,066,299	3,400,626
გავლილი კილომეტრები ^ლ	8,503,842	8,120,198	7,077,498	8,055,182	9,152,233

გარემოს დაცვა ^მ	2008	2009	2010	2011	2012
ნახშირწყალბადების დაღვრის შემთხვევების რაოდენობა ^ნ	2	2	2	0	0
დაღვრილი ნავთობის მოცულობა (ლიტრი)	4,715	5,520	25,454	0	0
დაკარგული ნავთობის მოცულობა (ლიტრი)	0	320	3,700	0	0
პირდაპირი ნახშირორჟანგი (CO ₂) (ტონა)	251,090	285,415	255,321	277,183	266,887
პირდაპირი მეთანი (CH ₄) (ტონა)	147	311	325	339	315
პირდაპირი სათბურის აირები (BP-ის წილი) (CO ₂ -ის ეკვივალენტი ტონებში)	76,443	88,289	79,122	85,765	83,013
გოგირდის ორჟანგი (SO _x) (ტონა)	88	102	90	78	79
აზოტის ოქსიდები (NO _x) (ტონა)	1,992	2,309	2,116	2,017	1,963
არამეთანური ნახშირწყალბადები (NMHC) (ტონა)	72	1,206	1,204	1,212	1,166
განთავსებული სახიფათო ნარჩენი (მ ³)	352	691	545	643.5	480.8
განთავსებული არასახიფათო ნარჩენი (ტონა) ^ო	497	423	335	316	394.6

თანამშრომლები	2008	2009	2010	2011	2012
BP საქართველოს თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	536	405	398	438	490
საქართველოს მოქალაქეები BP საქართველოს თანამშრომელთა შორის (%)	93	95	96	95	94

შენიშვნა: 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნები

- ა ეს ციფრები გამოსახავს BP-ისა და მისი პარტნიორების მიერ გადახდილ „ნაღდ“ თანხებს, მათ შორის, BTC-ის გრანტისა და BP-ის „ვალდებულების“ ფარგლებში გაცემულ თანხებს. BTC-ის გრანტისა და BP-ის „ვალდებულების“ შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ, შესაბამისად, BP საქართველოს 2005 და 2006 წლების „მდგრადი განვითარების ანგარიშები“.
- ბ უსაფრთხოების მონაცემები მოიცავს საქართველოში განხორციელებულ ყველა საქმიანობას, რომლებიც წინამდებარე ანგარიშში არის აღწერილი (პროექტები, ექსპლუატაცია (BTC, SCP, WREP, სუფსის ტერმინალი, ექსპლუატაციის დამხმარე ობიექტები), ადმინისტრაცია და Air BP).
- გ გადგენილი სამუშაო დღეები (DAFგ): სამუშაოსთან დაკავშირებული ტრავმა ან ავადმყოფობა, რომლის შედეგად დგება ქვემოთ ჩამოთვლილითაგან რომელიმე გარემოება:
- BP-ის თანამშრომელმა ვერ შეძლო მუშაობა, ტრავმის ან ავადმყოფობის გამო, ნებისმიერი ერთი დღის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, იგეგმებოდა თუ არა მისი მუშაობა სამუშაო გრაფიკის მიხედვით.
 - ექიმის ან ჯანდაცვის სხვა ლიცენზირებული სპეციალისტის რეკომენდაციის მიუხედავად, რომ თანამშრომელი სახლში დარჩენილიყო, იგი მაინც გამოვხადდა სამუშაოზე.
- დ BP-ის პერსონალში იგულისხმება BP-ის ყველა თანამშრომელი, BP-ის ყველა კონტრაქტორი და BP-ის ყველა დირექტორი.
- ე DAFWCF: გადგენილი სამუშაო დღეების სიხშირე; BP-ის პერსონალის მიერ მიღებული ტრავმების რაოდენობა, იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე. BP-ის კონტრაქტორების პერსონალის მიერ მიღებული ტრავმების რაოდენობა, იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე.
- ვ აღრიცხვადი პროფესიული ტრავმები და ავადმყოფობა: აშშ-ის შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების ადმინისტრაციის (OSHA) სტანდარტის მიხედვით, აღრიცხვადობას განაპირობებს კრიტერიუმების ორი ჯგუფი: ზოგადი და კონკრეტული. თუ ავადმყოფის ან ტრავმის შემთხვევა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებიდან რომელიმე, მაშინ ის აღრიცხვად შემთხვევად უნდა ჩაითვალოს. ზოგადი: დაღუპვა; გადგენილი სამუშაო დღე (დღეები);

- შრომის შეზღუდული უნარი ან სხვა სამუშაოზე გადაყვანა; სამედიცინო დახმარების საჭიროება, პირველადი დახმარების გარდა; გონების დაკარგვა; ექიმის ან ლიცენზირებული სამედიცინო პერსონალის მიერ დიაგნოსტიკური სერიოზული ტრავმა ან ავადმყოფობა.
- კონკრეტული: ნახშირი ნეფსით ან ისეთი ბასრი სამედიცინო იარაღით მიღებული ჭრილობა, რომელიც დაზიანებულია სხვა ადამიანის სისხლით ან პოტენციური ინფექციის მატარებელია; სამუშაოდან ჩამოშორება სამედიცინო მიზეზებით, მთავრობის მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით; პროფესიული საქმიანობით გამოწვეული სმენის დაქვეითება (სმენის სიმახვილის ტესტმა უნდა უჩვენოს 10 დეციბელის სხვაობა მიმდინარე ფონურ მარეზონანსთან შედარებით, ხოლო სმენის დაქვეითების ჯამური მარეზონანსი 25 დეციბელით ან მეტით უნდა აღემატებოდეს აუდიომეტრულ ნულს).
- ვ აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე: BP-ის თანამშრომლების აღრიცხვადი ტრავმების საერთო რაოდენობა, იმავე პერიოდში BP-ის თანამშრომლების მიერ ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე. კონტრაქტორი: BP-ის კონტრაქტორების პერსონალის აღრიცხვადი ტრავმების საერთო რაოდენობა, იმავე პერიოდში BP-ის კონტრაქტორების მიერ ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე.
- თ ავტოსატრანსპორტო შემთხვევები: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მთავარ ან მცირედ გზებზე მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, რომელიც იწვევს სხეულის დაზიანებას, ზარალს/ზიანს, გარემოზე მიყენებულ ზიანს, მიუხედავად იმისა, პირდაპირ ეხება თუ არა BP-ს და/ან მის კონტრაქტორს თუ რომელიმე მესამე მხარეს, ან შეიძლება თუ არა ავტოსატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება. ეს არ მოიცავს ყველა იმ ავტოსატრანსპორტო შემთხვევას, როგა:
- BP-ის თანამშრომლის ავტოსატრანსპორტო საშუალება კანონიერად იყო გაჩერებული;
 - ავტოსატრანსპორტო საშუალება მოძრაობდა მძღოლის სახლიდან სამუშაო ადგილამდე ან პირიქით მიმართულებით.
 - მიყენებულია მცირე დაზიანება ან ცვეთა (მაგ., საქარე მინაზე კენჭის მოხვედრა, შეღებვის ფენის მცირე დაზიანება)
 - ავტოსატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეულია ქურობის ან განდღობის აქტის მიხედვით;

- კომპანიის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოყენებულია არასამუშაო მიზნებით (მაგ., პირად საქმეზე ან სამსახურისგან თავისუფალ დროს).
- ი ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე (TVAR): მსუბუქი ავტომანქანების, სატვირთო ავტომანქანებისა და პორტატული ტექნიკის გადაადგილებისას მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა, ყოველ ერთ მილიონ გავლილ კილომეტრზე.
- კ ნამუშევარი დრო: BP-ის პერსონალის მიერ ნამუშევარი საათები იმ დანაყოფის შემადგენლობაში, რომელიც ანგარიშების საგანს წარმოადგენს.
- ლ გავლილი კილომეტრები: BP-ის ან კონტრაქტორების კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, მათი პერსონალის მიერ სამსახურებრივი მიზნით გავლილი კილომეტრების რაოდენობა. მასში შედის სამსახურებრივი დანიშნულებით, ნაქირავები/იჯარით აღებული ან კერძო ავტოსატრანსპორტით გავლილი კილომეტრების რაოდენობა.
- მ ყველა გარემოსდაცვითი მარეზონანსი ასახავს BP-ის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი გაფრქვევების სრულ მოცულობას, გარდა „სათბურის აირების პირდაპირი გაფრქვევის წილობრივი მარეზონანსისა“, რომელიც უჩვენებს მხოლოდ BP-ის წილს გაფრქვევებში იმ საწარმოებიდან, რომელშიც BP-ის წილობრივი მონაწილეობა გააჩნია. 2005 წლის მონაცემები მოიცავს BP-ის საქმიანობას ბაქო-სუფსის მილსადენსა და სუფსის ტერმინალზე. 2006 და 2007 წლების მონაცემები მოიცავს საქართველოში BP-ის საქმიანობას სამივე მილსადენსა (BTC, SCP და WREP) და მათთან დაკავშირებულ ობიექტებზე.
- ნ ნახშირწყალბადების დაღვრა: ერთი ბარელი (159 ლიტრი, ანუ 42 ამერიკული გალონი) მოცულობის ნებისმიერი თხევადი ნახშირწყალბადის დაღვრა. პირველადი გარსაგმის ჰერმეტიკის დარღვევა არის მასალების არაგემოური და უკონტროლო გაღვრა პირველადი გარსაგმოდან.
- ო არასახიფათო ნარჩენი მოიცავს საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, საკვების ნარჩენებს, მინისა და სხვა მასალების ნარჩენებს, რომლებიც მცირედ დადამუშავებას არ ექვემდებარებიან.

დამოუკიდებელი საგარანტიო განცხადება BP-ის მენეჯმენტს

წინამდებარე ანგარიში შემოწმებულია BP ჯგუფის აუდიტორის — Ernst&Young-ის მიერ. ანგარიშის შემოწმების უმთავრესი მიზანია დადასტურება იმისა, რომ ტექსტში მოყვანილი BP-ის მდგარადი საქმიანობის ამსახველი მტკიცებულებები, განცხადებები და მონაცემები ფაქტებით არის გამყარებული. ამ პროცესის მიზანია, რომ ანგარიშის შინაარსის საიმედოობა შესაძლებელია, დამოუკიდებელმა მხარემ დაამოწმოს. Ernst&Young-ის მიერ განხორციელებული სამუშაო და მათი დასკვნები იხილეთ ქვემოთ.

დამოუკიდებელი საგარანტიო განცხადება BP-ის მენეჯმენტს

BP საქართველოს 2012 წლის მდგარადი განვითარების ანგარიში (შემდგომში — „ანგარიში“) მომზადდა BP საქართველოს მენეჯმენტის

მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მოძიებასა და წარმოდგენაზე. BP-ის მენეჯმენტის ინსტრუქციების მიხედვით, ჩვენი მოვალეობაა, ქვემოთ აღწერილი პროცესის შესაბამისად, გადავამოწმოთ ანგარიში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, მონაცემებსა და საკითხებზე დასკვნების გამოსატანად.

შემოწმებისას პასუხისმგებლები ვართ მხოლოდ BP p.l.c.-ის მენეჯმენტის წინაშე, მათთან შეთანხმებული ტექნიკური დავალების (TOR) შესაბამისად. ამიტომ ჩვენ არ ვიღებთ რაიმე სხვაგვარ პასუხისმგებლობას, სხვა პირისა თუ ორგანიზაციის წინაშე. ნებისმიერი შესაძლებელია ამ ანგარიშს მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა დაეყრდნოს.

როგორ გავაკეთეთ დასკვნები

ეს შემოწმება დაიგეგმა და განხორციელდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის სტანდარტის — ISAE3000-ის¹ შესაბამისად.

ანგარიში შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სათანადოდ არის თუ არა ანგარიშში ასახული 2012 წელს BP საქართველოს საქმიანობასთან დაკავშირებული ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც ყურადღება გაამახვილა მასმედია, გამოიკვეთა თავად BP საქართველოს მიერ მდგარადი განვითარების საკითხების მიმოხილვისას ან აისახა შიდა დოკუმენტაციაში.

- შესაბამისობაშია თუ არა ანგარიშში მოყვანილი, მდგარად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია BP-ის მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ განმარტებებთან და მტკიცებულებებთან.

- შეესაბამება თუ არა ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები მდგარადი განვითარების შესახებ შესაბამისი ბიზნესდანიყოფების დონეზე აღრიცხულ მონაცემებს.

ჩვენი დასკვნების ჩამოსაყალიბებლად, გადავდგით შემდეგი ნაბიჯები:

1. შევისწავლეთ მედიაში გამოქვეყნებული სტატიები და შიდა დოკუმენტები, რომლებიც აღწერს 2012 წელს BP-ის მიერ საქართველოში განხორციელებულ მდგარადი განვითარების ხელშეწყობის საქმიანობას, მათ შორის, დამოუკიდებელი შემოწმების ანგარიშები და ეთიკის სერტიფიკატი.
2. შევისწავლეთ BP საქართველოს მიერ ანგარიშში გადმოსაცემი ძირითადი საკითხების შერჩევის პროცესი.
3. შევისწავლეთ ანგარიშში მოყვანილი მონაცემებისა და განცხადებების დასადასტურებლად წარმოდგენილი ინფორმაცია და განმარტებები. ანგარიშში ასახული მონაცემების შესახებ დოკუმენტაციის განხილვისას, არ შეგვიმოწმებია თავად მონაცემთა შეგროვების, შეჯამებისა და აღრიცხვის პროცესი, ქვეყნის ან ობიექტების დონეზე.

შემოწმების დონე

მტკიცებულებების მოპოვების ის პროცედურები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ, გულისხმობს შეზღუდული მასშტაბის შემოწმებას, რომელსაც ჩვენი დასკვნები ეყრდნობა. მტკიცებულებების შეგროვების ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურები უფრო მცირე მასშტაბისაა, ვიდრე სრულფასოვანი აუდიტი (როგორცაა, მაგალითად, ფინანსური აუდიტი) და, შესაბამისად, ჩატარებული შემოწმებაც უფრო შეზღუდულია.

ჩვენი დასკვნები

ჩატარებული შემოწმების საფუძველზე და ტექნიკური დავალების შესაბამისად, ანგარიშის შესახებ წარმოდგენთ ჩვენს დასკვნებს, რომელთა გაცნობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ზემოთ მოყვანილი ტექსტი, სათაურით „როგორ გავაკეთეთ დასკვნები“.

1. არის თუ არა განხილული ანგარიშში ძირითადი საკითხები?

ჩვენთვის არ არის ცნობილი BP საქართველოს მდგარად განვითარებასთან დაკავშირებული რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ყურადღება გაამახვილა მასმედია, ან გამოვლინდა საქართველოს არსებითი მნიშვნელობის მოვლენების შიდა მიმოხილვის შედეგად და რომელიც ამ ანგარიშში არ აისახა.

2. არის თუ არა BP საქართველოს მდგარადი განვითარების ხელშეწყობი საქმიანობის ამსახველი მონაცემები და განცხადებები დადასტურებული განმარტებებითა და მტკიცებულებებით?

ჩვენთვის არ არის ცნობილი რაიმე არასწორი განცხადება, რომელსაც შეიცავს BP-ის მენეჯმენტის მიერ BP საქართველოს მდგარადი საქმიანობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები და მტკიცებულებები.

ჩვენი დამოუკიდებლობა

როგორც BP p.l.c.-ს აუდიტორი, Ernst&Young-ი ვალდებულია, დააკმაყოფილოს აუდიტორული პრაქტიკის ბიუროს (APB) აუდიტორთა პროფესიული ეთიკის ნორმების მოთხოვნები. Ernst&Young-ის დამოუკიდებლობის პოლიტიკა ვრცელდება ფირმაზე, პარტნიორებსა და პროფესიონალ თანამშრომლებზე. აღნიშნული პოლიტიკით იკრძალება ჩვენს კლიენტებთან ნებისმიერი ისეთი სახის ფინანსური ურთიერთობა, რომელიც შეამცირებს დამოუკიდებლობის დონეს ან, შესაძლოა, ამგვარად იქნეს განხილული. პარტნიორებსა და პერსონალს მოეთხოვებათ, რომ ყოველწლიურად დაადასტუროთ თავიანთი საქმიანობის შესაბამისობა ფირმის პოლიტიკასთან.

ჩვენ ყოველწლიურად ვატყობინებთ BP-ს, მოხდა თუ არა ისეთი შემთხვევა, მაგალითად, აკრძალული მომსახურება, რაც ჩვენს დამოუკიდებლობაზე იქონიებდა გავლენას. 2012 წელს ასეთი შემთხვევა ან მომსახურება არ ყოფილა.



Ernst & Young LLP,
ლონდონი
მაისი 2013

¹ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც არ გულისხმობს აუდიტსა და ისტორიული ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვას (ISAE 3000).

ტერმინების განმარტება

BTC

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი

CBO

სათემო ორგანიზაცია

CDI

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა

CO₂

ნახშირორჟანგი

DAFWC (f)

შრომის უნარის დაკარგვის მიზეზით გაცდენილი სამუშაო დღეები (სიხშირე)

EDDF

ნავთობის ავარიულად ჩამოსაცვლელი ობიექტი

EMS

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა

EU

ევროკავშირი

EUGBC

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო

ESIA

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება

GHG

სათბურის აირი

HSE

ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვა

IDP

იძულებით გადაადგილებული პირები

IEC

დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი კონსულტანტი

IFC

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

ISET

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა

Mmboe

მილიონი ბარელი ნავთობის ეკვივალენტი

Mmscf

მილიონი სტანდარტული კუბური ფუტი

NGO

არასამთავრობო ორგანიზაცია

PMC

პროექტების მართვის კოლეჯი

PSG

ნავთობსაქანი სადგური საქართველოს ტერიტორიაზე

SCP

სამხრეთ კავკასიური გამსადენი

WREP

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (იგივე, ბაქო-სუფსის ნავთობსადენი)

დამატებითი ინფორმაცია

BP აქვეყნებს ინფორმაციას საკუთარი არაფინანსური ვალდებულებებისა და საქმიანობის შესახებ – ჯგუფის, ქვეყნებისა და ცალკეული საწარმოების დონეზე, ელექტრონული ფორმით. კომპანიის ვებსაიტის დამთვალიერებლებისათვის შექმნილია აგრეთვე ამ ინფორმაციის მოსაძებნი ინტერაქტიული რუკა.

ანგარიშგება BP ჯგუფის დონეზე

ჩვენი მდგრადი განვითარების ანგარიშგების პროცესის განუყოფელი ნაწილია ჩვენი ვებსაიტი www.bp.com/sustainability, რომელიც შეიცავს დაწვრილებით ინფორმაციას კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ მრავალ სხვადასხვა საკითხზე. ვებსაიტი ასევე შეიცავს დეტალურ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სფეროებში ჩვენ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

BP ჯგუფის 2012 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში გამოქვეყნებულია ინგლისურ, რუსულ, ჩინურ და ესპანურ ენებზე.
www.bp.com/aboutourreporting

ცალკეული ქვეყნებისა და საწარმოების ანგარიშგები

ჩვენ ვაქვეყნებთ ანგარიშებს ჩვენი საქმიანობის შესახებ ანგოლაში, ავსტრალიაში, ამერბაიჯანში, კანადაში, გერმანიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკაში, ტრინიდადი და ტობაგოსა და თურქეთში. გარდა ამისა, გაგვაჩნია ოცდაათამდე მსხვილი საწარმოსა და ობიექტის მდგრადი განვითარების ანგარიშების არქივი.
www.bp.com/countrysustainabilityreports

პრაქტიკული მაგალითები

პრაქტიკულ მაგალითებში ნაჩვენებია ჩვენი მდგრადი განვითარებისკენ მიმართული ძალისხმევა, კონკრეტული სიტუაციების მაგალითზე, და ის, თუ რა არსებითი ცვლილება შეგვიძლია მოვახდინოთ ჩვენი პოლიტიკითა და პროცედურებით ადგილობრივ დონეზე.
www.bp.com/casestudies

გამომხმარებელი

თქვენი ამრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. შეგიძლიათ მოგვწეროთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე, საგარეო ურთიერთობათა განყოფილების სახელზე, ან ელ-ფოსტით მისამართზე: bpgeosust@bp.com

BP საქართველო, თბილისი 0160, ს. ცინცაძის ქ. #24

BP საქართველოს გასული წლების „მდგრადი განვითარების ანგარიშების“ გაცნობა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.bpgeorgia.ge

მადლობები:

დიზაინი: ბესიკ დანელია, *IB Design*
ფოტოგრაფები: გელა ყაველაშვილი, *Internews*